



F 106.

1883
VI-2

ქართული ბიბლიოთეკა

1883

359

№ I. იანვარი.

ქუთაისი.

თ. პეტრე გ. წულუკიძის სტამბა.

1883

1883

Дозволено Цевзурою, Тифлисъ 23 Февраля 1883 года.

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება.

ჩვენს პაციფიკურულს მკითხველს საზოგადოებას დიდი ხანია ვაცნობთ ქართული თვითნაირი ქართული განცხადება, რომელიც, როგორც ადგილობრივი გაზეთებში დაბეჭდილის განცხადებისაგან დაინახავდნენ, შესდგება სხვა-და-სხვა ურთიერთი და რუსული რომანების და მოთხრობების თარგმანებშიდგან. თუმცა ვი იშვიათად, მაგრამ, იმიუდო გვადქვს, სან-და-ხან, თვით ქართული ორიგინალური რომანები და მოთხრობებიც ვუბეჭდვით ჩვენს მკითხველს. ამ საფუძველზე შევუდგით იმ აზრით, რომ იმ საზოგადოებას, რომელმაც უცხო ენაში არ იცის, უბეჭდვით რამდენიმე რიგისანი წიგნი. ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენში თან-და-თან ვრცელდება ვითხვის ხალისი, არამც თუ იმ წარჩინებულს თქვამებში, რომელთაც მამა პაპიდგან, შთამომავლობიდან შთამომავლობაზე შეუცვლელ ანდერძათ გადადის ქართულს ლიტერატურაში ჯერჯერად განვითარება, ამ ქამად და-ბალ ხალხშიაც იმდენად გავრცელდება ქართული ვითხვის სურვილი და აგრეთვე სხვა და სხვა მწერლობის გაცნობა, რომ, ვგონებთ, სულ უსაზღვრესად და ურეტო არ იქმნება ჩვენგან ამ საფუძველზე. ამისათვის ჩვენ ვთვითნებთ, რომ ამისთანა განცხადებას შეუძლია ჩვენს საზოგადოებაში თან-და-თან განვითარდეს და განაბლიეროს ვითხვის სურვილი და ხალხშიც განვითარდეს ჩვენის პაციფიკურული მკითხველის საზოგადოება.



უბისა, რომ წრფელის თანაგრძობით და რჩევით სკლს
 მოგვიწყობს. რასაკვირველია, ჩვენი ქრისტიანული ღირ-
 სება ან ნაკლებადანება დამოკიდებული იქნება უბო-
 პიულის მწიქლების რიგთან თხზულებების ამორჩევად
 და მათ სწორად გადმოთარგმნაზე. ვუცდებით ეს ჩვენი
 სურვილი შეძლებისა და ვგარად სინდისიანად აღვას-
 რულოთ და თუ თავდაპირველად ჩვენი დაპირება უნა-
 კლებლოდ ვრ შევასრულოთ, იმედი გვაქვს, საზოგადოება
 მკაცრად არ მოგვეკიდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ
 მაღლობით მივიღებთ შედეგით გინდ სიწყვიტად გა-
 მოთქმულს გონიერს და გულ-წრფელს შენიშვნას, რომ
 მლითაც ჩვენ შემდეგისათვის დიდის სიამოვნებით ვი-
 სულმძღვანელებთ.

მამულის სამაგალითო შვილი.

(ფრანგული მითხრობა ქალმ. განიორისა)

მამულის სამაგალითო შვილი.

(ფრანგულში მოთხრობა ქალბ. განიორისა.)

ფრანსუაზ ბერჰარდის სახელი ღირსია, რომ მლ-
წასის მატთანეში ჩაიწეროს საუკუნო სახსენებლად *)

მლწასური პრტყელი პირის სახე ქერა თმა, ჰქონდა,
მოთეთრო და დაფიქრებული, მშვიდობიანობის, სიკე-
თის, სიმამაცის და სიმტკიცის გამომეტყველი ლურჯი
თვალების პატრონი იყო.

რა საქმესაც დაადგებოდა, მკვიდრათაც შეასრულე-
ბდა; ისეთი კეთილშობილება ეტყობოდა, რომ შემ-
ხედავს გაუკვირდებოდა, ტყე-ველში გადღილი ქალი,
აპისთანა პიტოლსანი როგორ გამოვიდა.

როცა იმისა ცნოვრებას შეიტყოზთ, აღარც იმისი
საქციელი გაგიკვირდებათ.

*) ელზასი და ლოტარინგია ტანდენსაჲ საუკუნეს საღრანგეთს
ეკუთვნოდა და იმისი ერთგულა სალსი იყო. ბოდა. 1870 წელსა
საღრანგეთსა და პრუსიას შუა თში ასცყდა, ეს თბი თჳში, ანუ
პრუსიანთა ელზასი და ლოტარინგია, პრუსიამ წაართვა საღრანგეთს
სრულითა და სოტრით თრანდუში, ელზას-ლოტარინგიელუში-პრუსიის
ქვეშევრდომნი გასდნენ თავის საუმიდეთოდ; ამ გატრუმოვით ეს თბი
თჳში ბალაან უმაცათლთა და დაჩაგტული.



მცდა ათის წლისა დაქვრივდა, ოთხი წერილ-
 შვილი დარჩა: სამი ვაჟი და ერთი ქალი. საცხოვრე-
 ბლად მხოლოდ კარგად თავისის ხელით მოწყობილი
 ერთი ფერმა *) ჰქონდა ვოგეის მთებზე ახლო.
 თავისი პატარა მამულის შემუშავებას მხნეთ შეუდგა
 შვილების დასადელოდ. მიწას მუდამ თვითან ყოჩა-
 ლათ აბრუნებდა, როგორც ყველა მღვანელებს ჩვე-
 ულებათა ჰქონდათ. უდაბური ტყე გაჰკაფა, სადაც
 დაკლაქნილი და ფუტუროხეები იყო; ის ადგილი იმე
 გააუფთავა, რომ მშვენიერი მხიარული მინდორი გა-
 მოიქმნა და ზედ სვია დასთესა.

სადაც უწყალოდ ჩირგვები იყო, იქ თამბაქო და
 სელი გააჩინა.

სადაც თუთის ხის ტოტები მა ვლისა და კოწა-
 ხურის ჩირგვებში იხლართებოდნენ, იქვენახი გააშენა.

მღვანის ნიადაგის შემუშავებას დიდი შრომა
 და მეცადინეობა სჭირდება, რომ ნაყოფი გამოვიდეს
 რამე და მშრომელი დააჯილდოვოს. გერპარდის ქვრი-
 ვმაც იმდენი იმეცადინა და იმდენი ღვაწლი დასდვა,
 რომ უწყალოდ ადგილი კარგად გააპოხიერა და კი-
 დეც დაჯილდოვდა; ასე რომ ამ დაულალავმა და მე-
 ცადინე დედაკაცმა თავისი გულის წადილი შეისრულა:
 თავისი სამი ვაჟიშვილი კარგად გამოზარდა; განათ-
 ლებული ცმაწვილები გამოვიდნენ და თავისი სამშო-

*) ფერმა აზის-სასლ-კარ-მინადრთშია ე. ი. კარმიდამო თა-
 ვასამოსტნათ, მალათ, ვინასაჲ და კარკათ შუბ რწაჲჟუღლას სას-
 ნაჲ-სათეს მიწჳით,



ბლო ქვეყნისათვის თავგანწირულები. ორი უფროსი ვაჟი სენსირის საწავლებელში გამოზდილები სამხედრო სამსახურში შევიდნენ. სტეფანემ დრაგუნის კაპიტანობა მიიღო, ქლოდმა სპაჰის ლეიტენანტობა. ქველად უმცროსი შრანცი ერთს სამეურნეო სასწავლებელში იწებოდა. მეურნეობა უნდა ესწავლა, რომ მერე დედასთან ერთად ემუშავნა. პატარა ძალიერი, ლამაზი ქრისტიანა სულ დედასთან იყო და ოჯახის მართვას შეელოდა. თავისი მხიარული ხალათით ყველას ამხიარულებდა. წვრილ-ფეხი ბევრი გააშენა, რაც ბაღში ყვავილები და ვარდები დარგო, ყველად უმშვენიერესი თვითან იყო; შერმაში მიმსვლელ-მომსვლელს, ყველას ესიამოვნებოდა იმისი დანახვა.

ამ ოთხს შვილს ძალიან უყვარდათ თავი იღებდა, დიდ პატივსა სცემდნენ და იმისთვის თავს არ დაზოგავდნენ.

მართის სიტყვით, ეს იყო ერთი ძველებური მღვდისური, პატიოსნებით სავსე ოჯახი.

თითონ ქვრივი სულითა და გულით ისეთი ერთგული არსება იყო თავისის სამშობლო მღვდისა, რომ უსაზღვრო პატრიოტობა ჰქონდა გულში დანერგილი. პრუსიელებისას იტყოდა ხოლმე, ავ-გული ხალხი არისო, ფარისეველნი არიანო, ორპირობა სჭირთო, სიწუწუკე და გაუმაძღრობაო. ეს სიძულვილი სხვა ნემეცებისა კი არ ჰქონდა.

ქრისტიანას უმანკო და წმინდის გულით უ ვარდა ერთი ნიჭმბერეული ყმაწვილი კაცი, რომელიც მან-



ლობელს ზალა¹ იაში იყო მოჯამაგირედ. შოველს კვირა-დღეს მოდიოდა ეს ყმაწვილი და ძრისტინასთან ერთად მუზიკას ერთობოდნენ.

ბერძარდის ქვრივი ამათი ტრფიალების წინააღმდეგი არ იყო. ის იყო დანიშნენ კიდევცა, როდესაც პრუსიასა და საფრანგეთს შუა დიდი ომი გამოცხადდა. ძარლ შორლიხი (ძრისტინას დანიშნულის სახელია) კანონის ძალით შირტემბერგის ჯარში უნდა შესულიყო.

საცოლ-ქმრონი ერთმანერთს დიდის მწუხარებით გამოეთხოვნენ, ძრისტინას ეგონა ძარლ შორლი¹ის წასვლით გული მომწყდაო.

შიქრათაც არავისა ჰქონდა, ეს ომიანობა როგორ დაბოლოვდებოდა.

ბერძარდის ქვრივს ეგონა, საფრანგეთი გაიპარჯვებსო და თავის ქალს ძრისტინას არ უშლიდა საქმროს ერთგული ყოფილიყო!

მოგებ¹ენებათ, გამარჯვებული აღვილად შეიწყნარებს დამარცხებულს!

მაგრამ, განა არ შეიძლებოდა საფრანგეთი დამარცხებული ო!

ეს საზარელი ფიქრი მხნესა და გულადს დედაკაცს მოსვენებას არ აძლევდა, რადგან ორი იმისი უფროსი შვილი მაკ-მაჰონის ჯარში იყვნენ და იმ ჯარს დიდი შეტაკება ელოდა.

ეს ი ო 7 მარიაშობისთვის.

ღილიდგან მოყოლებული წამ-და-უწყუმ მოიხმოდა ზარბაზნების გრგეინვა, თითქო შორეული ქექა-ქუზილი

არისო. თითო თოფის, ან ზარბაზნის გავარდნას თითო მსხვერპლი ხომ მაინც დაჰყვებოდა! იქნება ამ ერთ-ერთმა გასროლამ ძირს დასცა, დასქრა, ან მოჰკლა ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ჩვენ გვიყვარს ან ძვირფასად მიგვაჩნია! ვინ იცის, რა მდგომარეობაში არიან, იქნება ძირს ნოტიო მიწაზედ ჰყრიან დაჭრილები, დამახინჯებულები! მომაკვდავს სულთ ებრძვის და გვერდით კი არავინა ჰყავს, რომ უკანასკნელს ჟამს ან მოუაროს, ან საუკუნოდ გამოეთხოვოს, მეგობრულად ხელი ჩამოართვას და სამუდამოდ თვალები დაუხუჭოს!

აღრე დილიდგან მოკიდებული ზერჰარდის ქერივი და ძრისტინა განცვიფრებით, გულის ცახცახით ყურს უგდებდნენ ზარბაზნების საშინელს გრგვინვას; მწუხარენი აქეთ იქით იყურებოდნენ, თითქო თვითანაც მებრძოლნი ყოფილიყვნენ. დედას თავისი ვაჟი-შვილების ჯავრი აძრწოლებდა და ყმაწვილს ქალს კი ძმების ჯავრთან საქმროს ჯავრიც უწუხებდა სულსა.

მზის პირამდინ მივიდოდნენ ხოლმე, იქნება შეგვხედეს ვინმე და ამბავი გავიგოთ რამეო, მერე შეწუხებულნი და გულ-ჩათუთქულნი ისევ დაბრუნდებოდნენ შინა.

შრანცი ნიუვილის ქალაქისაკენ მირბოდა ხოლმე და მოჰქონდა სხვა და სხვა ნაირი ამბები. ხან იტყოდა მტრებმა გვაჯობესო, ხან იტყოდა მაკ-მაჰონის ჯარმა ორმოცი-ათასი პრუსიელი გაჟლიტაო.



ასე მწუხარენი ამბების მოლოდინში იყვნენ და ხან იმედი ეძლეოდათ, ხან უიმედობა დედასა და შვილსა.

ჯერ ახალი ამბავი არა იცოდნენ რა; სალამოს ცხრა საათზედ შესწყდა ზარბაზნის ხმა.

მრთს მხარეს უნდა გაემარჯვნა და რომელმა აჯობა, რომელი დამარცხდა, არაინ იცოდა!

ზამარჯვება კი უსათუოდ უნდა ჰქონიყო ერთს რომელსამე მხარეს.

ღელის პირად რომ გ^ა მიდიოდა, უცებ გამოჩნდნენ იმ გზაზედ თურქოსები (ფრანკუზის სალდათები), უიარალო ცხენებს მიაჰყენებდნენ როგორც შეეძლოთ და ფეხდაფეხ ღრაგუნები მისდევდნენ სავერნის ძალაქისაკენ.

როგორც ზღვის ნაპირას ხომალდები აღიან და ჩადიან, ისე ადამიანების გროვა აღიოდ-ჩადიოდა ამ გზაზედ. სხვა-და-სხვა ნაირი ჯარები ზუავების, ცხენოსნების, მონადირენი ერთი ერთმანერთში ისე არეულიყვნენ, რომ ვერ გაარჩევდა ადამიანი. ამდენი ხალხის ასე დაფრთხობა და დამარცხება დიდს უბედურებას მოასწავებდა!

როცა მოულოდნელათ ნიაღვარი მოვა, წალეკავს არე მარეს, იქ მყოფი სულდგმული გაქცევით თუ უშველის თავს, თორემ დაიღუპება; სწორეთ ასე იყო ამ ხალხის საქმე.

ისე მირბოდნენ თავ-ჩალუნულები, ქუდები, თოფი-იარაღი და სხვა სატარებელი ყველა გზაში დაჰ-

კარგოდათ. უკან იმათ ქვეითი ჯარი ეწევოდა და იჭერდა. ზარბაზნები მოჰქონდათ, ურმები მოდიოდნენ და ზედ დაჭრილი მომაკვდავი ჯარის კაცები იწვნენ, ღრმა ძილისთვის მიეცათ თავი.

ამ გვარი საუბედურო და სამწუხარო მეზავრობა იყო მთელს ღამეს.

ბერჰარდის ქვრივმა თეთრად გაათენა შვილების მოლოდინით, მაგრამ ისინი არსადა ჩნდნენ; იმის სახლში რომ სალდათები შემოდდიოდნენ საქმლისა და სასმლის სათხოვნელად, ყველას ჰკითხავდა ხოლმე შვილების ამბავსა, მაგრამ არავინ იცოდა, რა დაემართა მესამე სპაჰის ჯარსა. ძრისტინა ვერა ჰბედავდა ან საქმროს ამბავი ეკითხა, ან ერთობ ვირტემბერგელებისა, რადგან ისინი მტერთაგანნი იყვნენ.

ჴრანცს დედის მწუხარება უფრო აწუხებდა. საფრანგეთი დამარცხებულაო, მღწასი დაუპყრიათო, ამ ფიქრმა ისე გაამწარა ჴრანცი და პატრიოტულმა გრძნობამ ისე აიტაცა, რომ მტრების საწინააღმდეგოდ წასვლა განიძრახა. «დედა ჩემო, ჩვენს სამშობლოს რომ უბედურება მოადგა, ყველა მოვალენი ვართ შევიარაღდეთ და მტერს ვებრძოლოთ; თუნებას მომცემ, ხვალვე წავალ და ჩვენი ძვირფასი მღწარვისთვის შევევბმი მტერსა. თავს დავსდებ იმის დახსნისათვის!»!

ბაჩუმდი, შვილო, უპასუხა შეძრწუნებულმა დედამ, გაჩუმდი, რას ამბობ, ჩვენ ვილა გვიპატრონებს. შენ რომ წახვიდე?

ზანთიადისას უცებ გაიღო კარი და შემოვიდა ერთი ჯარის კაცი, დასისხლიანებული, ტალახში ამოსვრილი, დაქანცული, იატაკზედ დაეცა.

გერჰარდის ქერივმა შეჰკივლა, კაპიტნის მსახურად რომ იცნო. მივარდა და სულ შეგუებებული ვედრებით შეჰქურებდა.

საღდათიც მღუმარეთ იკო.

«ჩემი შვილი»? ბოლოს წამოიძახა დედაკაცმა. ქაცმა თვალეზი ძირს დაუშვა.

თქვენმა შვილმა, სთქვა ამაჲ, თავისი უკანასკნელი-გამოსალმება დამაბარა თქვენთანო.

ქერივიც ძირს დაეშვა დაჭრილთან, «კლოდი»? ძლივს წარმოსთქვა დედამ.

«ისიც ვნახე, როცა დაეცა დამოკედა, დასუსტებულია ხმით ამოილულულულა დაჭრილმა საღდათმა.

შბედური დედა წამოდგა ფეხზედ, წელში გაიმართა, თითქო საომრად მოემზადო, მარდათ და მედიდურად მიუბრუნდა თავის უმცროს ვაჟსა და გარკვევით უთხრა.

«შრანც! ახლა კი შენც უნდა წახვიდე!

ხვალ დილაზედ წადი!»

II

ორი კვირა გავიდა, რაც შრეშვილეს ქალაქი აიღეს მტრებმა და საფრანგეთშიაც გაჩნდა ომიანობის მიმდევრო უბედურება: სხვა და სხვა ნაირი ვახშირებული და გადამდები სწეულება.

მანამდის ხელმწიფის შვილის ჯარი მოგვწის მთებისაკენ მიდიოდა შტენმეცისა და შრიდერიკ-მარლის ჯარებთან შესაერთებლად, ღენერალის შერდერის ჯარი სტრასბურგი აკენ მოდიოდა, რომ გარს შემოსდგომიყო. ამითი მთელის მლხაის ქვეყანა თავარ დაცემული იყო. ბევრს ახსოვდა უწინდელი შესევა პრუსიელებისა და ქვეყნის აფორიაქება იმათგან.

დაშინებული ხალხი ტყეებში გარბოდა თავის შესაფარებლად. მაჭრები ღუქნებსა ჰკეტავდნენ, ვისაც რა გააჩნდა, ყველას ფაცი-ფუტით ურმებ ედ აწყობდნენ და ეშურებოდნენ, თითქო მამათ-მთავარის აბრაამის ღროს, - როდესაც თავისს სა'ონელს მიერეკებოდნენ და იძახოდნენ: არიქა მთაში, მთაშიო!

რაც რამ მოგე ი აკენ გ'ა და ბილიკები მიდიოდა, ყოველგან ჰედა იყო მტირალი დედაკაცებისა და მამვრალი ბავშვებისა; ღონე მიხდილნი ზოგი აქ წაი'ცევოდა, ზოგი იქა, ღველს ფეხის გადადგმა'ედ; იმათში კაცებსაც სხვა სხე აღარ ედვათ, თუ არ სასოწარკვეთილებით გამხეცებული.

საღამოს ხუთი საათი იყო, მ'ე ჩადიოდა და თავის სხივებით ოქროს ფრად ანათებდა ნიუფილის არე მარე'ა ისეთი მღუმარება იყო იქ ჩამოვარდნილი, რომ ადამიანი იტყოდა, აქ არავინ არისო!

ძრისტინას პატარა ბალი მშვენიერის ყვავილებით და ვარდებით შემკული სხვა და სხვა სა'იამოვნო სუნნელებასა ჰფენდა იმ დაცარიელებულს კუთხე'ედ. მხოლოდ იმათს ეზოში ორიოდე ქათამი კაკა-



ნებდა და მარდი მამალი მალალის ხმით გაჰროდა,
თითქო ხალხს აღვიძებდა!

მრთს მთის ძირში თეთრი ძროხები ბალახსა
სძოვდნენ. ტირიფის ხეებით შემოღობილს ვაკე მოედან-
ზედ აქა იქ ბ?ის ბუჩქებს ოქროს ფერი შუქი გადას-
დებიყო და თვალთათვის მშვენიერი შეახედაობა
ჰქონდა იქაურობასა.

ასე შემკულს და მშვენიერს მხიარულს მხარეს
როგორ უნდა ყოფილიყო მწუხარება და უბედურება?

ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ დამშვიდებულს ცას
ქვეშე აღამიანის გული აქე გადაქარბებით მწუხარე
შეიქნებოდა როდისმე!

ფრანცი გაემგზავრა და მ.როლელს ჯარში შე-
ვიდა სალდათად. ზერჰარდის ქვრივმა თავისი ქალი მე-
გობრის ოჯახში გაგზავნა დროებით ერთს მივარდ-
ნილს სოფელში.

თვითან კი ფერმაში მარტო დარჩა.

მტერს აუღია ნიუვილია ქალაქიო, ამბობდნენ
და საცაა აქაც მოაწევსო.

ძვრივი მოუთმენელად ელოდა ამბებს. ამბობ-
დნენ, ვითამ წინა ღამეს პრუსიელებსა და ფრანცუის
მაროლელს ჯარს შეტაკება მოსვლოდნო. ხშირად მი-
ვიდოდა ხომე დედაკაცი კარებთან, ტყისკენ იყურე-
ბოდა, საითაც გზა მიდიოდა და სულ-განაბული ყურს
უვდებდა, იქნება მოდიოდეს ვინმეო.

შეგებ მოესმა ტყიდგან რალაც ხმაურობა, გაჰყვდა გზას და დაინახა, რომ ხეებსა და ხეებს შუა მალალი, აწოწილი ქულები მობზინავდნენ.

ღედაკაცი ელოდა გულ-გაქვავებული. ჯერ ორი ჰულანი მოაქვენებდნენ ხვალ-ამოდებულნი და თვალები მგლებივით უნათებდათ; შეასხედავად საზარელი რამ იყვნენ. ბერჰარდის ქერივი უძრავად იდგა ფეხ ედ და როცა, ცხენოსნები გადმოხტნენ, ჰკითხა, რა გეზავთო?

— შიე, უბასუხა ერთმა კარგის ფრანცუზულის ენით, როგორ თუ რა გენებავს! მე მენებავს ჩემი ბატალიონი დავაბინავო; გეშია, კარგი სადილი მოგვიემზადე ამავე წამა.

— მე თქვენ არას მოგიმადებთ და არას მოგცემთ, უბასუხა დარბაისლურად პატიოსანმა ღედაკაცმა, ბატონები თქვენა ხართ და რაც გენებოთ, თვითან მიირთვით

— მე-ჰუ! შენ თუ მაგ კილოთი გველაპარაკე, უნდა გვიფრთხილდე; ჩვენ გვითხრეს, რომ აქ რამდენიმე მსროლელი ჯარის კაცი უნდა იყოს!

— აქ არავინ არის, დაძებნეთ.

— აქ ახლო-მანლო ტყეებში უნდა დაგენახათ?!

— მე არავინ მინახავს.

ამდროს ქედვედ რალაც თოფის სროლა გაიმართა, ფერმას რომ გარდმოჰყურებდა.

— სტყუვიო, მიაძახა აფიცრმა და რევოლვერი მიუმიწა მკერდში ღედაკაცსა.

ამან თვალიც არ დახამწა.

— რამდენნი არიან, დაუღრიალა აფიცერმა. დედაკაცმა ხმა არ გაცა.

ამასობაში შავი ღრავუნები შესცვივნენ ქედზედ და ტყის შემოუბრინეს.

ღამდებოდა. შველა მხრიდგან თოფების ქანჩუხი მოიშობდა.

ძვრივი განაბული უგდებდა ყურსა. შოველი თოფის დაცლა იმის გულს ლახვარივით ეცემოდა.

შეცრად რაღასაც მოძრაობას მოჰკრა თვალი და გაარჩია, რომ ვიღანიც სვიაში ქურდულად მოიპარებოდნენ.

«დედავ ჩვენა ვართ,» მოესმა ხმა.

— მალე შემოდითო, უბასუხა დედამ და ორმოცი კაცი შევიდა თითო-თითოთ ფერმაში.

თვალის დახამწამებაზედ მოეწვენენ ღრავუნებთან საბრძოლველად.

რაც კი ხელში მოჰხვდათ, ურმები, გუთნები, თუ სხვა სასოფლო იარაღები, ან სახლის ავეჯულობა, ყველა ერთი ერთმანეთზედ შეაწყვეს და კედლად ამართეს ე. ი. ბარრიკადა გააკეთეს, მეორე სათოფეები გამართეს ფანჯრებში და კარებში. შედგნენ.

მთის წვეროებიდგან ზოზინით ამოძაფალმა მთვარემ სინათლე გადააფინა იმ პატარა ხეობას.

მართ, წამს რომ მსროლელებმა გაფანტეს, ღრავუნები ისევ შეიყარნენ და ფერმას მოაშურებდნენ,

როგორც კი ცხენებს შეეძლოთ. იერიში მოიტანეს საშინელი იერიში. ბარბიკადა აიღეს, სახლის კარები და ფანჯრები აღვიდალა შეამსხვრიეს, ფერმასაც აღარა უკლდა რა, იმასაც ააოხრებდნენ. მსროლელები გამხეცებულს მტერს ჩაუცვივდებოდნენ ხელში.

ბერჰარდის ქვრივი მოწმად აღგა ამ თავგადადებულს ბრძოლას. ზოგნი კიდევ ამბობდნენ, ბარემ დაენებდეთო, ხომ გაიმარჯვეს და რაღას გავაწყობთო.

— როგორ თუ დანებდეთ, მიაძახა დედაკაცმა, არასდროს! მაშ თქვენ სულ ვერ იცნობთ მაგათა! მაგათ არც არავისი პატივი იციან, არც არავის შეწყნარება. ღვებოცენ ყველას, — არა, არა!

— თავს უშველეთ, თავსა, აი, აქეთა. უკან გაბრუნდა და კარი გააღო. თვითან ჩალის კონას წაავლო ხელი, კარებთან რომ ეგდო, და ცეცხლი მოუკიდა..

ბაიქეცით, განუმეორა მსროლელებს და მისცა ცეცხლი თავის ძვირფასსა სასიხარულოთ მოსაგონებელს ფერმას, იმ ფერმას, რომელსაც თავისი ოცი წლის დაუცხრომელი შრომა და ოფლი შეაწირა.

ცეცხლმა შეაყენა მტერი.

მაგრამ ამ ქალს, გმირული მოქმედებით გადარჩენილი მსროლელები მაინც ჩაუცვივდნენ მტერს ხელში რამდენისამე ღლის უკან.

ბაჯავრებულმა და გაცეცხლებულმა პრუსიელებმა მხეცურად გადაუხადეს მსროლელებს, რომ იმათ ასე უმაგრდებოდნენ, პრუსიელები რომ ნაუ-



ვილის გაშორდნენ, ზერჰარდის ქვრივიც კი დაიხიზნა, სადაც ჰრისტინა ჰყავდა.

მერე, როდესაც დაბრუნდნენ და თავისს ბინას მოახლოვდნენ, ჰრისტინა დედას მიეკრა და უთხრა შეშინებულმა: ერთი შეხედვე დედა, გზის პირას ეს რა მოჩანს? მგონი სალდათებია, და ნეტა ვინ უნდა იყვნენ, პრუსიელები, თუ ჩვენები? რა უძრავად არიან, საკვირველია, იმათი ფეხები თითქო მიწას არ ეხება!

ზერჰარდის ქვრივი გულ-ათრთოლებული და შიშით თვალ-შეჩერებული ხმა ამოუღებლად იყურებოდა იქითკენ. რას ნიშნავდა ესა? ახლო რომ მივიდნენ, მაშინ გაარჩიეს მსროლელების ტანისამოსი და უფრო გააჩქარეს ფეხი.

საზარლობა! თურმე ჩამოკიდებულნი იყვნენ. პირის სახე გალურჯებულები, სისხლით შესვრილნი, დამზინჯებულნი. ამ მხეცებს ჯერ ცხვირი და ყურები დაეჭრათ და მერე მაგალითისათვის შარა გზის პირად ჩამოეხრჩოთ.

ამ საზარელის სანახავისაგან ზერჰარდის ქვრივს სისხლი ყელში მოაწვა. ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

გაშმაგებული ხანერთს მკვდ არს მივარდებოდა, ხან მეორეს, იქნება ჩემი შვილიც ამათში იყოსო.

ამ დამწკრივებულის მკვდრების ბოლოში ფრანცის გვამიც იყო ჩამოკიდებული. დედა მიუბრუნდა თავის ქალსა და უთხრა:

არას დროს, გესმის შენ ქრისტიანა, არას დროს
არ შეიერთავ შენ არც ერთს ამ ბარბაროსთაგანსა,
არას დროს! ათას წილად მირჩევნია მკვლარი ვნახო
და ნემეცს კი არ ვაპყვე.

III.

მკრის წლის შემდეგ ომი გათავდა. მხეცურად
მოხერხებულის ომის წყალობით, საფრანგეთის სუ-
ლითა და გულით ერთგული მლზასი ნემეცის თემად-
პროვინციად შეიქნა.

საზიზღარმა მძლეველმა მეტის მეტად გადაჭარბებუ-
ლი ძლიერება იხმარა ახლად დამორჩილებულის ხალხის
დასათრგუნველად, ერთობ შეავიწროვა, ის და თანეუბ-
ნებოდა ან განემეცდით და აქ დარჩითო, ან და ფრანცუ-
ზებად თუ გინდათ დარჩენათ, გადით ამ ქვეყნიდგან.

ბერჰარდის ქვრივი, თუმცა მლზასელი იყო, მაინც
კიდევ უფრო მკვიდრი ფრანცუზი იყო, თავის დღეში
პრუსიელად არ გახდებოდა, არ განემეცდებოდა, ამ
საზიზღარს სახელს არას დროს არ დაირქმევდა.

«რასაკვირველიაო, ამბობდა ხოლმე ეს ქვრივი,
ზოგი ფრანცუზიც უნდა დარჩეს მლზასში, იმიტომ
რომ მლზასი პრუსიელებისათვის გესლიან მუწუკად
უნდა იყოს. როცა გადახდისა და შურის გების დღე
მოვა, ყველა მლზასელები უნდა აჯანყდნენ, თავისი
სისხლის მსმელების საწინააღმდეგოდ. მე კი არ შე-
მიძლია აქ დარჩენა, რადგან ვერ დავმალავ, რომ უ-
ზომოთა მძულან ისინი.»

თავის ფერმას უნდა მოშორებიყო.

იმ ადგილს, სადაც ოც წელიწადს დაუღალავად თავის ხელით მუშაობდა, სხვა და სხვა ხეხილები და ხეები დარგო, მიწდვრები დახნა და დათესა. - მს-ლამაზი მშვენიერი მოსახლ-კარობა და კარმიდამო ახლა საზარლად ეჩვენა, რაკი საპრუსიო ქვეყანაში მოექცა. ველარ შესძლო, სულს ველარ ითქვამდა, სულ ერთიანად ჰყიდდა თავის მამულს, იმ მამულს, რომელიც ბედნიერსა და სამო დროს აგონებდა, როდესაც ოთხის შვილის დედა იყო, და ახლა კი აღარც ერთი აღარა ჰყავდა!

მს იყო 1872 წ. ლეინობისთვის დამდევს.

მითს დროს კეკლუცად მოწყობილი ფერმა, მაღალის ხეებით შემკული, სადაც თითქო იღუმალი ბედნიერება სუფევდაო, ახლა ისეთივე შესახედავი იყო, როგორც ომის მეორე დღეს, მიწგრეულ-მონგრეული, აოხრებული.

რადგან ეს სამაგალითო მამულის შვილი სამუდამოდ წასვლას ემზადებოდა, აღარა შეუკეთებია რა.

სახლის ჭერინახევარზედ გადმოწოლილიყო გვერდზედ და იქიდგან შიგნითი ოთახები მოსჩანდა. ქედლებზედ ტყვიის განარბენს ადგილებში სინათლე ისე გადიოდა, თითქო ვარსკვლავები ანათებდნენო.

მზო ცარიელი იყო, ხან და ხან მხოლოდ ყვავის შესაზარი ხმა მოისმოდა. მკენარეები: ასკილი. ხვარკლი, ქორის ძუა, მიხაკი, ია, ჩიტავაშლო და სხვა ყვავილები ერთად დახლართულიყვნენ და იმი-

თი ლამაზი ქობი რომ იყო ბალში გაკეთებული, ეხლა ისიც ძირს დაცემულიყო. ბერჰარდის ქვრივი ერთის მოხუცებულის მსახურის დახმარებით სამგზავროდ ემზადებოდა.

რაც რომ სახლის ავეჯულობა ცეცხლს გადურჩა, ყველას ერთად მოუყარა თავი და სარაიაში დააწყო. რანაირად შეიცვალა ახლა ეს ღია სახე სიკეთის გამომეტყველი. ახლა მოწყენილი თვალები საშინელის მწუხარების გამომეტყველი შეიქნა.

შუინ რომ გაშლილი და სწორე შუბლი იყო, ახლა დიდი მწუხარე ნაკეცებით შეიმკო. ტუჩებზედ სიძულვილი და ტანჯვის დაღი დაესვა.

ამდენის მწუხარების მამაცურად ამტანი დედა-კაცი ტანში კი არ იყო მოხრილი ჯერა.

მიხრა-მოხრა ისეთი მარჯვე და მტკიცე ჰქონდა, როგორც შეეფერება პატიოსანსა და უშიშარს მამულისათვის თავ-გადადებულს ადამიანს.

სალამო იყო, ცამოღრუბლული, სწვიმდა და ქარი ჰქროდა.

ამ დროს კარები ვილამაც დაარაკუნა.

შინ უნდა ყოფილიყო ასე გვიან ფერმაში მომსვლელი?

«ზაღე კარი, იოსებ, სთქვა ბერჰარდის ქვრივმა.

იოსებმა კარი გააღო.

მრთი ქერა ყმაწვილი კაცი გამოჩნდა კარის ბქეზედ.

«ბერჰარდის მეუღლეს ვახლავარ, სთქვა მოსულმა და მიუახლოვდა ქალს გადასახვეწად.



მაგრამ ბერპარდის ქერივმა ისე შედიღუჲად და ამაყად გადახედა, რომ ყმაწვილი კაცი ისე გაქვავდა, თითქო დალურსმესო.

— რა გინდათ აქ, ჰკითხა ქალმა.

— მე მოვედი, რომ თქვენი დანაპირი შეგასრულდებინოთ.

— რა დანაპირი?

— მელარ მიცანით ძარლ შორლიხი?

— თქვენი სახელი ვიცოდი ერთხელ, თქვენ კი აღარ გიცნობთ. თქვენ ნემცი ხართ და მე ნემცს არას დროს ხელს არ ჩამოვართმევ. არას დროს არ მივესალმები.

ჭრისტინა ხომ მიცნობს; ჭრისტინას ხომ უყვარვარ, ჭრისტინას! სად არის ჩემი ჭრისტინა?

— იმისი ნახვა გინდათ?

— ახლავე, ამავე წამს. ისევე ისე მიყვარს მე ისა; ერთი წამიც არ გასულა, რომ მე იმის ფიქრში არა ვყოფილვყავ, თუმცა კი ჩემი ბარათების პასუხს არა მწერდა. ნახეთ აი ამ მარცხენა გვერდზედ გულთან იმისი სურათი და ყვაველი « არ დამივიწყო » თვითან რომ მაჩუქა ჩემის წასვლის დროს.

— ძარგი, ახლავ ნახეთ, წამოდით.

ღედაკაცმა სარაიას ერთი პატარა კარი გააღო და ერთს დაბნელებულს კუთხეში ძარლ შორლიხმა მოჰკრა თვალი სამს დიდს რკინის ყუთსა. მართს იმათგანზედ დამკვნარი თეთრი ყვაველების გვირგვინი იდვა, ამ სამის კუბოს წინ წმინდა სამთელი ენო.

— ქრისტიანს რომ ვერა ვხედავ, ეს რა ამბავია, წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა ათროლოლებულის ხმით.

— ქრისტიანა მანდ არის, უპასუხა ზერჰარდის ქერივმა და მიუთითა იმ კუბოზედ, რომელზედაც გვირგვინი იყო. თქვენ უყვარდით იმას, მაგრამ თქვენს თავს სამშობლო არჩია და მოჰყვდა. ჩემთვის ათას წილათა სჯობია ამ კუბოში მკედარი მეგულგბოდეს და ნემეცის ცოლად კი არა! გესმისთ, თუ არა, ძარღუ შორღიხ?

ძარღმა კუბოს წინ მუხლები მოიდრიკა და ქეთინს მოჰყვა.

— მთხივე შეილები დამეხოცა, სთქვა დედა-კაცმა აკანკალებულის და ყრუ ხმით, ნემეცებმა დამიხოცეს. ეს არ აკმარეს, სამშობლო წამართვეს, დამილუპეს ეს ქვეყანა, სადაც ჩემი წინაპრები განისვენებენ, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრებდი, სადაც საუკუნო განსვენებას ველოდი. არა თუ მე არ ვინდომე, რომ ქრისტიანა ნემეცს გაჰყოლოდა ცოლათა, მე ისიც არ ვინდომე, რომ იმისი ცხედარი აქ დარჩენილიყო. ამ მეორე კუბოში ჩემი შრანცის ცხედარია, მესამეში ჩემი ქმრისა; ეს არის ჩემი დაუფასებელი საუნჯე და თან მიმაქვს. *)

ჩემი სტვა ორი ვაჟის გვამი არ დაუბრუნებიათ ჩემთვის და იმათი ცოდვა დაედვათ, ვინც სი-

*) ამ გვარს სჯიმე ერთი არ მომხდარა ელზასში, ზუგბან იყო ამისთანა შეშთსუფა, რომ ვინც გადაესახლუნდა, თავის მკვდარს ამოთხრდა ხოლმე და თან მიჰქონდათ.

ცოცხლე მოუსწრაფა. იმათი გვამი თუმცა აღარ არის ქვეყანაზედ, მაგრამ სული იმათი მლზასში უნდა დარჩეს, რომ თავის დროზედ გადაუხადოს მტერს ჩვენი ქვეყნის გაუბედურება.

ძარლი ფეხზედ ადგა, დიდად შეძრწუნებული, როცა დედაკაცი ლაპარაკობდა.

— ღიად ღირსნი არიან პრუსიელები მაგ გვარის სიძულილის. მეცა მძულან! საზიზღრათა მაქვს იმათი მტარვალობა, გაუმადლოება და აე-გულობა. შანა ჩვენ ვირტემბერველები კი არა ვართ იმათი მსხვერპლი! ყველა ნემეცი ხომ არ არის პრუსიელი, ჩემო ბატონო! სანემეცო ქვეყანაში ბევრია ისეთი ხალხი, რომ დიდის სიამოვნებით უკუაგდებდნენ პრუსიის საძაგელს უღელს. როდესაც მოვა დრო და სამართალი მოგვევლინება, — მაშინ მლზასი აღსდგება და მეც გვერდში ამოვუდგები მლზასელებს. ახლა კი ნება მოჰეცით, დედა გიწოდოთ. ძარლი ასე ლმობიერად რომ ლაპარაკობდა, შერჰარდის ქერივს თითქო მტრის სიძულილი დაუსუსტდამო და ისე გაულმობიერდა გული, რომ მდულარე ცრემლები გადმოედინა უბედურს დედაკაცს. რა რომ შვილები დაეხოცა და სამშობლო ქვეყანა აუოხრეს, ჯერ არ უტირნია, ეს პირველი იყო, რომ ცრემლები გადმოყარა.

ძარლს ეგონა, გული გამოიბრუნაო და გადახვეწა დაპირა, მაგრამ დედაკაცმა არ მიიკარა.

«გვედრებით, ეხვეწებოდა ყმაწვილი კაცი, ჩემი ქრისტიანს დაკარგვით გამწარებული მაქვს ახლა სიცოცხლე და რომ იმისი სახელი უფრო სამწუხარო მოსაგონებელი არ გამიხდეს, გვედრებით.»...

«როდესაც მღწასი დაუბრუნდება საფრანგეთს და პრუსიის ქვეშევრდომი აღარ იქნება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიძლებ თქვენის ხელის ჩამორთმევას. მარტო იმ დღეს შევიძლებს საფრანგეთის ხალხი ნემეცებს შეუკრივდეს.»

ულუნე ლოჩთფიდვანიძისა.



ხუთი წელი ისპანიის მონასტერში.

გრენვილ მურრის ნაამბობი სიკვდილის წინათ.

I.

როცა ზენრი ავენენტი მოვიდა სათხოვნად მამა-ჩემთან და დედი-ნაცვალთან, რომ ისინი დათანხმებულიყვნენ ჩვენს ქორწინებაზედ, სრული დარწმუნებული ვიყავი, უარს არ ეტყოდნენ, და ბედნიერის ღიმილით მივაცილე იგი მამი-ჩემის კაბინეტის კარამდის. სრულიადაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ მე საბრალოს ამდენი მწუხარება გადამწყდებოდა. სასიხარულო ლოდინით გავატარე ნახევარი საათი ფანჯარასთან, სადაც ვიდექი და მზიარულად ვიმღეროდი.

ბოლოს ზენრი, მამი-ჩემის თანხლებით, გამოვიდა კაბინეტიდგან, მიაშურა დერეფანს, ისე რომ სასტუმრო ოთახისკენ ერთი-ც არ მოუხედნია. ბავიდა ჩვენის სახლიდკან და ერთი-ც უკან არ მოიხედა. მე ჩემს თვალს არ ვუჯეროდი. მართი-ც არ შემომხედა, არც არაფერი მანიშნა. მერ ვავიგე, რა ამბავი უნდა მომხდარიყო. ქველა იგრძნობს, თუ რა ნაირის სასოწარკვეთილებით, კრძალვითა და მწუხარებით მივადევნე თვალი მიქავალს



საქმროს. **მ**ოჰ! ნეტავი ქალებიც ისე თავისუფალი ყოფილიყვნენ, როგორც ვაჟები! მინდოდა ბარჩის დავწეოდი და მეკითხნა, თუ რისთვის მიდიოდა ასე უცნაურად, რომ ერთი სიტყვაც არ მითხრა. მე რომ მის ადგილზედ ვყოფილიყავ, რასაკვირველია გამოვედევნებოდი მას და რაც გულში მქონდა ყველაფერს განვუცხადებდი, მაშინ ჩვენ შორის აღარა იქნებოდა რა გაუკებარი და არც არაფერს ქვეყანაზედ არ შეეძლებოდა ჩვენი განშორება; მაგრამ ყმაწვილი ქალი ვიყავი და ადგილიდგან დაძრვის მოხერხებაც არ მქონდა. **მ**ვალები დამბზნელდა, ფერი მეცვალა, და მთელის სხეულის თრთოლით ჩავეკეცე საგარძელში.

მთახში მალე შემოვიდნენ მამა-ჩემი და დედინაცვალი. **შ**კანასკნელი იყო სუსტის აგებულების და, რადგანაც ჩემს გარდა მას მომვლელი არაფერს ჰყავდა, ძალიან ვუყვარდი. მაგრამ ეს სუსტი ქალი მამა-ჩემის მორჩილი მონა იყო, და მე მაშინვე მივხედა, რომ მამამ მოიყვანა ის იმისათვის, რომ ხმა ამოუღლებლად, მხოლოდ თან დასწრებით, დახმარებოდა ჩემთან ლაპარაკში. მე ვიყავი მამა-ჩემის ერთად-ერთი შვილი პირველის ცოლისაგან, მაგრამ ოდნათაც არ ვყვარებივარ, თუმცა სხვა ექვს შვილს ძალიან ვალერსებოდა. ჩემთან კი ერთობ გულ-დახშული იყო, თვალს მარიდებდა, ჩემთან ყოფნა და ლაპარაკი ეძინებოდა. ძალიან უბედური ვიქნებოდი, რომ ჩემი სიყმაწვილე თითქმის სულ შკოლაში არ გამეტარებინა. მას აქეთ, რაც მე სახლში დაებრუნდი, მამა-ჩემი კიდევ უფრო გულ-გრი-

ლად იყო ჩემთან, მაგრამ უზრდელად და მკაცრად ერთხელაც არ მომპყრობია, თუმცა თავის საყვარელს შეიღებს კი ხშირად უჯავრდებოდა.

იმ კაცმა... იმ პასტორმა... მთხოვა შენი თავი! ძალიან მაკვირვებს და მაბრაზებს, რაგორ აბედინებდი მას შენს აშიყობას: ის კაცი ამბობს, პასტორის ჯამაგირს გარდა ცოტაოდენი სხვა საშუალებაც მაქვსო, რეკტორის ადგილსაც მალე მივიღებო, მაგრამ მაინც არ შემიძლია დავუჯერო მას. რაც უნდა იყოს, მე ამ ქორწინების თანახმა არა ვარ და სანამ ჩემს ხელში იქნები, მას ვერ მიგათხოვებ.

უზომოდ შეესწუხდი, მაგრამ ესეც ვიფიქრე: ახლა ცხრამეტის წლისა ვარ და ორის წლის შემდეგ სრულ-წლოვანი ვიქნები და თავისუფალიც; მაშინ კი ვერაფერს დამიშლის მეთქი მამა-ჩემი. მამამ თითქო გაიგო ჩემი აზრი და დიდის წყრომით დაუმატა:

— შენ უსაცილოდ შეასრულებ ჩემს ნებას?

— მე არ გავთხოვდები თქვენდა უნებურად, მივეუგე მე.

მამა ჩემი იყო მალალი, მოსრული და ჯანმრთელი დამიანი. მისი ელვარე შავი თვალები ისე მკაცრად შემომცქეროდნენ, რომ ცოტა არ იყოს შემეშინდა, არ შემომარტყას მეთქი.

— მე არასოდეს არ დავთანხმდები ამ ქორწინებაზედ, დაიყვირა მან, — ჰკრა ფეხი სავარძელს და წაქცია: ათის წლითაც უხნესი რომ იყო, მაშინაც ყოველ-გვარს საშუალებას ვიხმარდი, დამეშალა



ეგ ქორწინება. აი რა არის სიმღერის გაკვეთილები, საკვირაო შკოლები და სხვა და სხვა სისულელე. მე ახლავე ბოლოს მოვუღებ ყველა ამ საქმეს, წავალ რექტორთან და პეენენტს დავაბეზლებ და შენც ვერ გამოხვალ სახლიდგან ჩემდა უნებურად.

მამას ფერი ეცვალა გაჯავრებისაგან; დამიწყო საოცარი მკაცრი საყვედურები, მამრალეზა პირ-მოთხეობას, გულ-გრილობას, თავ-მოყვარეობაც არა გაქვსო, მეუბნებოდა. დედი-ნაცვალი ატირდა; ამ ტირილმა მამა-ჩემი კიდევ უფრო გააბრაზა. მრისხანედ ესაყვედურებოდა იგი ჩემს დედი-ნაცვალს: შენ მეტის მეტად სულელი ხარო, შენ ვერ ჩაუნერგეო შეილებს სრული პატივის ცემა დედ-მამისადმი, რომ ისინი უსაცილოდ მათი მორჩილი ყოფილიყვნენ. ძალი მეტად შეაწუხა ამ ნაირმა ლანძღვამდა როცა მამა ოთახიდგან გამოვიდა, ტირილი განაგრძო; მე ის გულზედ მივიკარ და ვცდილობდი დამემშვიდებინა. დიდ ხანს ჩუმი ვტიროდი, მერმე დედი-ნაცვალი ცოტათი დამშვიდდა და ათრთოლებულის ხმით მითხრა:

— ალა, ნუ ეწინააღმდეგები მამა შენს, ის ფიცხია როგორც ბავში, მაგრამ სიფიცხე მალეც გაუვლის ხოლმე. ჩემის გულსათვის შეასრულე მის ბრძანება.

მე შევჰპირდი, მამის მორჩილი ვიქნები მეოქი. შემდეგ დედი-ნაცვალმა, როგორც ვალი აწვევდა, დამიწყო თხოვნა, პეენენტზედ ხელი აიღეო; ცოტა ხანს იქით გამგზავნა მეორე ოთახში, რომ დაბრუნებულს მამას ერთად აღარ ვენახეთ.



აქამდის არ გამომიცვლია მე დიდი მწუხარება, ახლა კი ისეთი საოცარი უბედურება შემემთხვა და ისეთ ნაირად შემამწრუნა, რომ ერთი საშუალება-ღამრჩებოდა მე უბატრონოს, — მეტირა საკმაოდ; ამასთანავე მე სრულიად ვერ გამეგო მამი-ჩემის საქციელი: რადგან ის გულ-გრილად მექცეოდა, მეგონა დიდის კმაყოფილებით მიმათხოვებდა, ვისაც უნდა ვეთხოვე. ზენრი ავენენტი კარგის ოჯახის შვილი იყო. პასტორის ჯამაგირსა და შეპარცბულს ადგილს გარდა კიდევ ექნებოდა წლიურად შემოსავალი 200 გირვანქა სტერლინგი; *) და ჩემს მდგომარეობაში მყოფი ყმაწვილი ქალი უკეთესს საქმროს ვერცკი იშოვნინდა. მამა ჩემი იყო ერთის სირაჯის უმცროსი ამხანაგი; ცროვრების საშუალება საკმაო ჰქონდა, მაგრამ მდიდარი არ ყოფილა. ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემთვის, რატომ არ სურდა მამა-ჩემს ავენენტისათვის მივეთხოვებინე. ავენენტის საკმაო საშუალება ჰქონდა და კაცადაც ცუდი არ ყოფილა. მრთელს უბანში ავენენტი ყველას ერთობით უყვარდა და წინა კვირაში თვითონ მამა ჩემიც ძალიან აქებდა მას. მამი-ჩემის ყოფა-ქცევა იმდენად გაუგებარი იყო ჩემთვის, რომ ვიფიქრე: იმიტომ ხომ არ ეწინააღმდეგება ჩემს ქორწინებას ავენენტთან, რომ შემაწუხოს და გამაუბედუროს მეთქი.

მის დღეს მე აღარ გამოვსულვარ ჩემის ოთახიდან, იქ მოქონდათ ჩემთვის სასმელ-საჭმელი. ჩემი დან-ძმანი, უთუოდ, მიხვდნენ, რომ მამა-ჩემი

*) სტერლინგი იტალიისური ფულია, უდრის ჩვენურს შვიდ მან-



გამწყრალი იყო ჩემზედ და აღარ შემოდლიოდნენ ჩემ-
და სანახავად, არც მამა მეჩვენებოდა. მესამე დღეს,
კვირა იყო და მიბრძანეს ეკლესიაში წამოდლო. მივხვდი
რომ პვენენტი აღარ უნდა ყოფილიყო პასტორად
ჩვენს ეკლესიაში; ეს ჩემი წინათ-მოსაზრება სრუ-
ლიად გამართლდა: რექტორი მარტო სწირავდა;
ამას გარდა, ეკლესიიდან რომ გამოვდიოდი, მო-
მესმა ორის ქალის ბაასი, რომელნიც ლაპარაკობ-
დნენ პვენენტის ქალაქიდან წასვლაზედ.

ის წასულა, ჩემთვის კი არაფერი შეუტყო-
ბინებია! ბავიდა რამდენიმე დღე და მე მაინც
ამოდ ველოდი მისგან ამბავსა. ბარრის ხმის ამოუ-
ღებლობა ყველაზედ უფრო სამწუხარო იყო ჩემთვის.
მამაცურად ავიტანდი ბარრის დაშორებას, რომ
ჩემთვის ეოქვა მაინც: დამიცადე, მოითმინე, უფრო
მარჯვე დრომდინო. ჩემასიყვარულშიაც ვიბოვნიდი,
საკმაო ძალას, გავქცეულიყავ დედ-მამის სახლიდ-
გან და ჯვარიც დამეწერა, თუ კი ის მოითხოვდა
ამას. ჩემი სასოწარკვეთილება მატულობდა ყოველ
საათობით და ყოველ წამობით. მადა სრულიად და-
მეკარვა და მალე ავადაც გავხდი. მქიმები ვერ მიხ-
ვდენ ავად-მყოფობის მიზეზს და ჰაერის გამოცვლა
მირჩიეს.

ამ დროს მამა-ჩემმა გამომიცხადა, ისპანიაში
მივემგზავრებო საქმისათვის და შენც თან უნდა წა-
გიყვანო. მას აქეთ, რაც პირველად შემომწყრა,
იმას არაფერი უწყენინებია ჩემთვის, მაგრამ ჩვეუ-

ლებრივ გულ-გრილად მექცეოდა. მე უფრო მეხალისებოდა დავრჩენილვიყავ ინგლისში, ვინემ წავყოლოდი მას ისპანიაში, მაგრამ მას არა უკითხავს რა ჩემთვის ამ საკანზედ.

მა აღვილი საქმეა, ალა, მითხრა მამამ და ამასთანავე მოსამაახურე გოვოსაც უბრძანა, ჩაეღაგებინა ჩემი ბარგი. — როგორ არა გრცხვენია შენისთანა ლამაზს, რომ თავს იტებს ვილაცა პასტორის გულისათვის? სვეილიიღვან რომ დაბრუნდები, მაშინ უფრო გონიერად მოისაზრებ ყოველივეს.

მსსიტყვები მან წარმოხსთქვა იმნაირის ღიმილითა და კილოთი, თითქო დამცინოდა. ჩემი ღები და ძმები მეუბნებოდნენ, რა ბედნიერი ხარ, რომ ისპანიაში მიემგზავრებიო, თითქო ეხარებოდათ ჩემი იქ წასვლა. ამისათვის არ მინდოდა ჩემთვის უმადურობა შეეწამებინათ და ისე ვაჩვენებდი თავს, როგორც სრულიად კმაყოფილი, თუმცა გულში კი ამას არა ვგრძნობდი.

უკანასკნელს დღეებში, სანამ ჩვენ გავემგზავრებოდით, მე გულ-მწუხარე ვეკითხებოდი ჩემს საბრალო თავს, თუ როგორ უნდა მოვპყრობოდი ავენენტის? მინდოდა წიგნი მიმეწერა, მაგრამ მაგდენი გაბედულება აღარ მქონდა. რატომ თვითონ ის არაფერს მწერდა: ურიგოდ ხომ არ მიაჩნდა მას მიწერ-მოწერა აშიყთა, თუმცა ახალ გაზდა ქალს ამგვარი საქციელი აღკრძალული აქვს და უწესოებათაც ეთვლება. ღედი ჩემისაგან ვიცოდი, ერთი ბარათიც არ ჰქონდა მას



მიღუებული ჩემს სახელზედ. მხოლოდ ერთი აზრი მანუგეშებდა და მამხნეებდა: ვფიქრობდი, უთუოდ საგულისხმო რამე განიძრახა მეთქი. მერმე ისიც ვიფიქრე: რაც მეტს სიმხნეს გამოვიჩინ ამ საქმეში, რაც მეტს წვალებას გავივლი, ბარბა მეჭად უფრო დაათასებს ჩემს სიყვარულს მეთქი. რალა გაეწყობოდა, ნაღვლიანად და გულ-მწუხარედ გავემგზავრე მე ინგლისიღგან.

სისწრაფით გავიარეთ ჩვენ მრთელი საფრანგეთი და ისპანია. ასე მალე ჩემი მორჩენა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, მაგრამ ვაგონში უფრო დამშვიდებული მაინც ვიყავ, რადგან მამა სრულიად არ დამლაპარაკებია, ის როგორღაც სულ ჩაჩუმებული იყო. როგორც იქნა ხუთის დღის შეუწყვეტელის მგზავრობის შემდეგ სევილიას მივალწიეთ. იმდენად დაღალული ვიყავი, რომ, შევედით თუ არა სასტუმროში, სადაც ოთახი დავიჭირეთ, მაშინვე ლოგინში ჩავეგდე, თუმცა მზე კიდევ მალლა იყო. მეორეს დღეს საღამომდი არ წამომდგარვარ. მრავალის კოლოების გამო, ღამე ძილი შეუძლებელი იყო. ღლით მოსამსახურე გოგო შემოვიდა, მოკალადი შემომიტანა და მითხრა: მამა თქვენი საქმეზედ წავიდაო, თქვენ დაგიბარათ, საღამომდინ საწოლიდგან წუ წამოდგებითო, სანამ სიცხე არ გავივლისთ და სასეირნოდ გავლას არ შეიძლებთო.

ამას შემდეგ მამა აღარ მინახავს. საღამოს მისი წერილი შემომიტანეს, იწერებოდა: საქმეების გამო

იძულებული ვარ, სამის დღის ვადით ქალაქიდგან გა-
ვიდეო. მეტის მეტად ცუდის გზების გამო, შენი თან-
წყევანა არ შემოძლიან და რადგან სასტუმროში შენი
მარტოდ დატოვება არ მინდა, ამისათვის მე ვსთხოვე
პარმელიტის დედათ-მონასტრის წინამძღვარს, რომ-
მელიც ინგლისურს ენაზედ ჩინებულად ლაპარაკობს,
სამის დღით დაგაბინაოს და ყველაფერი შესამჩნევი
სველიაში გაჩვენოსო. ამასთან კიდევ უმატებდა:
ამ წერილს გადმოგცემსო მონაზონი, რომელსაც
წინამძღვარი გამოგზავნის შენდა წასაყვანად.

მოსამსახურე გოგომ მითხრა დამტვრეულს
ფრანცუზულს ენაზედ: ძირს ორი მონაზონი გიცდი-
სო. მე სიჩქარით ჩავიცვი, ჩავაწყვე საკვოიაჟში, რაც
უფრო საჭირო იყო ჩემთვის, ჩამოვედი კიბეზედ დერე-
ფნისაკენ; იქ დავინახე ორი მონაზონი საშუალის ტანის,
მათ ეცვათ შავი და ერთობ ახირებული გრძელ-სა-
ხელოებიანი კაბები. მათ მდაბლად თავი დამიკრეს,
მაგრამ, როცა მე დაველაპარაკე, თავი გაიქნიეს, ჩვენ
არა გვესმის რაო. ჩაუჯექი მათ საძაგელს და ბინ-
ძურს ეკიპაჟში, რომელშიაც ორი ხარი იყო გაბმული.
მეოთხედს საათს მოუნდით გზაზედ სიარულს. მზე
ახალი ჩასული იყო, სიცხეც საოცარი. მონაზვნები
ისხდნენ ჩემს პირდაპირ დაღუმებული და თავე ჩალუნული.
ბოლოს, შემოუარეთ ერთს მაღალს კედელს და გაჩერ-
დით ალაყაფის კარებთან, რომელზედაც ეკიდა ჯვარ-ცმა.

მე დამშვიდებულად გავიარე ამ ბნელის შე-



ნობის შესსავალი კარები, სრულიად ჩემს ფიქრში არ ყოფილა, თუ ეს შეიქნებოდა მთელის ხუთის წლით ჩემი საპყრობილე.

II.

მეგონა, სასტუმრო ოთახში შემიყვანდნენ, და იქ წინამძღვარს ენახავდი; მაგრამ მონაზვნებმა გამატარეს ბალი, მიმიყვანეს დიდს ძველს შენობასთან, რომლის ვაება კარების წინ დაარაწკუნეს ზარი. ძარი გაიღო და წინ შემოგვეგება მოხუცი მონაზონი, რომელსაც ხელში ფანარი ეჭირა. შემდეგ ოთხივე ჩვეშვით კიბეზედ და შევედით ბნელს, რვეალთალიანს ზალაში. შანრიანმა მონაზონმა შეალო ერთი რომელიღაც კარი და გაგვეცალა. შევედი თუ არა სენაკში, კარი მაშინვე მიიხურეს და მისი გასაღები ორჯელ გადაატრიალეს.

პირველს წამში იმ ნაირად შევშინდი, რომ გონება დამეკარგა, მაგრამ, რადგანაც მე ისე ვიყავი აღზრდილი, რომ ცრუ მორწმუნე არ ვყოფილვარ, გონზედ მალე მოვედი. ზულ-გრილად წარმოვიდგინე ყოველივე, რაც უკანასკნელს დროში შემემთხვა და მიუხედი, რომ მამა-ჩემმა განგებ მომიყვანა ისპანიაში, უნდოდა ამ მონასტერში დავემწყედოე. მონასტერში დარჩენა სრულებით არ მაშინებდა. შოველთვის იმას ეცდილობდი: სჯულზედ მტკიცედ ვყოფილ-

ვიყავ, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც ბარბი ავე-
 ნენტის გავეცანი. მამა-ჩემს რომ პირ და პირ ეთქვა
 ჩემთვის: შენი მონასტერში შეყვანა მსურსო, მხო-
 ლოდ პირობას ჩამოვართმევდი, რომ სჯულზედ შეუ-
 ცვლელობის ნება მქონოდა, დანარჩენში სრულებით
 არ ვეწინააღმდეგებოდი, როგორც უნდა მომპყრობოდა
 ჩემს სრულ-წლოვანებადის. წინამძღვარიც კეთილი
 გულის ყოფილიყო, დავეყენებინე რიგიანს ოთახში
 მოეცა ჩემთვის ინგლისური წიგნები, ნებაც მქონოდა
 სახლში ბარათის მიწერია; რასაკვირველია, უფრო მო-
 ხარული ვიქნებოდი გამეტარებინა დრო აგრე მყუდ-
 როდ და წყნარად, სანამ სრულ-წლოვანი შევიქ-
 ნებოდი. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სენაკი,
 სადაც მოულოდნელად გავჩნდი, ინგლისის ყოველ
 გვარ საპყრობილედ უარე იყო. მებელი სრულიად
 არ ყოფილა შიგ, ერთს ლოგინს გარდა, ისიც უეწ-
 როდ. იატაკი იყო მიწის, მრავალ ადგილს და-
 ხეთქილი და ჩაღრმავებული; კედლებს ნოტიობის
 გამო აქა-იქ ხავსი მოსდებოდა. მინა ჩაუამელს კა-
 რების სანათურში, მკრთალი სინათლის სხივი შემო-
 დიოდა. მიჯექი ლოგინზედ გაშტერებული და ვერ
 მიმხვდარვიყავ, ჭკუა შევიშალა, თუ სიმაღლე ვიყავ.

ბავიდა ერთს საათზედ მეტი. ჩემს გარემო უცნა-
 ური სამარის ღუმილი იყო, ჩემის საათის კაკუნი
 ისმოდა. შრთხილად მივებარე კარებსა, სადაც ხელი
 შევაველე პატარა სანათურის რკინის მოაჯარს. და-
 ნახვით ვერა დავინახე რა, რადგანაც გარედგან მოხუ-



რული იყო ასაწევ-დასაწევის დარაბით. ძარებს მივა-
ყურე და გავოცდი, გავიგონე საშინელი ხმა-მაღალი
კვნესა, როგორც გავდა მეზობლად სენაკში უნდა
ყოფილიყო. ისეთ ნაირად გავოცდი, რომ სისხლი
ძარღვებში ერთბაშად გამიყინდა. ამ საშინელს კვნესას-
თან მალე მოისმა კარების რახა-რუხიც; მაშინ კი
ცხადად მივხვდი: "შფოთაედა ჭკუიდგან შეშლილი,
მაშა'ადამე მე ყოფილვარ გიჟების ლა'არეთში და
არა მონასტერში.

ამ საშინელის ამბავის შეტყობამ სრულიად წა-
მართვა დანარჩენი მხნეობა. თავზარ-დაცემული, იმედ-
დაკარგული დავიჩოქე და შევეთხოვე ღმერთს დახმა-
რება. სოტად რომ დავმშვიდდი, დაღონებული ლო-
გინში ჩავეგდე გაუხდელად და დიდ-ხანს ვქვითი-
ნებდი; უკანასკნელად დაქანცულობამ დამაძლია და
მკვდარსავით მიმეძინა.

რა წამს სინათლე შემოვიდა სენაკში, გამომე-
ღვიძა. ღილის ექესი საათი იყო. წარმოვიდგინე, სად
ვიჯავი და ხელ-ახლად თვალები ცრემლებით ამევსო;
ყოველს ჩემს ღონის ძიებას ვხმარობდი თავი შემემგა-
რებინა; ვცდილობდი რამე ნაირად ამეტანა ჩემი მწუ-
ხარება: ვიცოდი რა აუცილებელად საჭირო იყო ჩემთვის
მხნეობა და გულ-გრილობა, რომ ამეტანა ის გან-
საცდელი და გაჭირვება, რომელსაც მიმზადებდა ჩემი
ბედ-კრული მომავალი. ამოვიღე საკვოიაჟიდგან, რაც
ხელ-პირის დასაბანად საჭირო იყო, ავიღე კუთხეში
მიმდგარი წყლით სავსე თუნგი, პირიც დავიბანე და

ხელიც; მერმედ ამოვიღე ლოცვანი და წავიკითხე დილის ლოცვა. ძითხვა ვათავებული არა მქონდა, რომ კარი გაიღო და შემოვიდა ორი მანაქონი, მაგრამ ისინი კი არა, რომელნიც წინა ღამით ვნახე. ხმა ამოუღებლად მანიშნეს, თან წამოგვეყვიო. მეც ნიშნებით გავაგებინე, პალტოს ჩავიცვამ და თავს დავიხურავ მეთქი. თავი დამიქნიეს და საკვოიანედაც მიმითითეს. იმედი მომეცა და გული სიხარულით ამეცსო: უთუოდ, აღარ უნდა დავბრუნებულვიკავ ამ გულ-საკლავ სენაკში.

ზავიარეთ შუშაბანდი, რომელიც გაზს უვლიდა მწვანე ეზოს; შემდეგ მივადექით კარებს. ძარვები გაიღო და უეცრად გავჩნდით დიდს ოთახში. მანება სტოლთან იჯდა ქალი, რომელიც წინამძღვარი მეგონა შესახედავად ოცდა-ათის წლისას გვანდა, მშვენიერი შავი თვალები ჰქონდა და წმინდა სანთელისავით მკრთალი ფერი. წინ სტოლზედ ეწოჯვარ-ცმა და რამდენიმე წიგნი. მკაცრად შემომხედა და მითხრა ჩიქორთულის ფრანცუზულს ენაზედ და არა ინგლისურად, როგორც მოველოდი:

— თქვენ ცუდი ქალი ხართ, რაღაც საშინელი გიტრიალებსთ თავში, (თავზე ხელი მიიღვა) თქვენ გყავთ ბორბოტი სული, რომელმანც ხელი აგადებინათ თქვენის კეთილის დედ-მამის სარწმუნოანებაზედ. ახლა შეიქენით ურჯულო. (მან სასოებით პირ-ჯვარი გამოისახა; მონაწერებმაც მიბადეს) თქვენ დალუბეთ ახალ-გაზდა პატრის სული, რომელიც,

თქვენის წყალობით, ეპისკოპოსმა გამოაგლო თაგის ეპარხიიდან.

— ვინ გითხრათ ეგ? შევვირე მე, სულ ერთიანად გაწითლებულმა, — ამაში არც ერთი სიტყვაც არ არის მართალი.

— ჟოველივე ეს მიამბო მამამ თქვენმა, უგემურად მიპაუხა წინამძღვარმა, — ის ხომ ნამდვილი ფრანგია. თქვენ მისთვის გული მოგიკლავს.

— შთუოდ, ვერ გაიგეთ, ვუთხარი მე, -მეგონა ერთ-მანეთის ლაპარაკს ვერ მივხდნენ, რადგან მამაჩემმა ფრანკულული ნაკლებად იცოდა და წინამძღვარი ინგლისურს ენაზედ სრულებით არ ლაპარაკობდა.

— არა, მომიგო მან: მამა-თქვენს თან მოჰყვა ახალ-გადა პატრი, რომელიც ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა და დაწვრილებით გადმომცა თქვენი ამბავი. მამა თქვენმა დაგტოვათ აქ იმისათვის, რომ მოიწინაოთ და განიკურნოთ საოცარის სენისაგან. ჯერ ყმაწვილი ხარ და შეუქლებელია, თქვენის სულის წაწყმენდის ნება მოგცეთ. უნდა განვაგლოთ თქვენგან ბოროტი სული. ამ პარკში რა გიწყევიათ? დამეკითხა მე.

— ბავსენი საკვოიაცი, რომლიდგანაც ამოშტაცა ლოცვანი და დაბადება და დააგლო ძირს იატაკზედ.

— შეჩვენებული ურჯულო წიგნები! შესძახა მან და მრისხანედ შემომჩივრდა. რა რომ მოწასტერი დაფუძნებულა, მას მერმეთ არა უნახავთ რა ამათი მსგავსი.

მა წიგნები იმას გარდა, რომ ჩემს სარწმუნოებას ეკუთვნოდა, ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, იმიტომ რომ ნაჩუქარი მქონდა ჩემის მასწავლებლის ქალი-საგან, რომელიც ძალიან მიყვარდა. სიჩქარით ავიღე წიგნები და თვალ ცრემლიანმა, გაჯავრებულად უპასუხე:

— როგორ არა გრცხვენია, ქალბატონო!

— როგორ ბედავთ, იცით ვის ელაპარაკებით?

შემომძახა მან და მედიდურად თავი მაღლა ასწია. ჩვენ მალე გადაგაჩვევთ მაგისტანა შეუპოვრობას. ახლავე გააგდეთ ხელიდან ეგ წიგნები.

— არაფრისათვის! უთხარი მე და წიგნები გულედ მივიკარ. ჩემი სჯული თქვენს სჯულზედ უარესი არ არის და არც გამოვიცვლი, თუ გინდ ერთს წელიწადსაც დავრჩეაქ, ამისათვის ნუ ირჯებით, ჩემი გაფრანგება შეუძლებელია. ნუ დაივიწყებ, რომ ინგლისელი ქალი ვარ და იცოდეთ, თუ ძალა დამატანეთ, ბევრს ინანებთ.

ჩემდა ბედათ, წინამძღვარი ღვთის მოყვარე და ძალიან პატიოსანი იყო მასშივერ შენიშნავდით ვერც ცუდ-ქალობას, ვერც სიმხდალეს. მრისხანედ შემომხედა, რადგან მე გაბედვით შევუბრებდი მას, ცალი ხელით თვალი დაიხუჭა, თითქოს ღმერთს ევედრებოდა, ერჩია მისთვის, თუ როგორ მომპყრობოდა მე. მართის წამის შემდეგ თავი შეიკავა და სრულიად დამშვიდებულმა შემომხედა, მერმეთ უკან მოიხედა და რაღაც უთხრა მონაზვნებს, რომელთაც ოთახიდან

გამომივანეს და საკვოიაციც თან წამოიღეს.

მეგონა აღრინდელს სენაკში მბრუნებდნენ, მაგრამ მოვსტყუვდი. წინამძღვრის სასტუმრო ოთახთან რიგიანს ოთახში შემიკვანეს. შანჯრები ჰქონდა რკინის მოაჯარით და ვენეციურის ფარდებით დაბურული. შიგ იღვასუფთა ლოგინი, სტოლი, სკამი და კამოდი. იატაკი ჰქონდა ხისა; კედელზედ ლოგინთან ეკიდა დახატული ჯვარ-ცმა. მონაზვნებმა დამტოვეს ოთახში და გავიდნენ, კარი პირვანდელსავით არ ჩაუკეტნიათ.

ძალიან მიამა ეს ახალი მოწყობილობა, მხოლოდ არ მასვენებდა და მაშუოთებდა ის ცრუ ამბავი, რომელიც წინამძღვარისათვის გადაეცათ. შერ მოვისაზრე, რა უნდა ეთქვა მამი-ჩემის მომყოლს პატრს, რომ ჩემი დედ-მამა ფრანგია, მათ და უნებურად მე თითქო სარწმუნოება გამოვიკვალე, ახალ-გაზდა პატრს ჭეშმარიტების გზა დავაკარგვიე. იქნება მამი-ჩემის სიტყვები ვერ გაიგო, ან და მამამ განგებ უ ეთხზა ეგ ამბავი.

მე არ მჯეროდა თუ მამა-ჩემს ამდენი ცუდ-კაცობა შეეძლო. თუმცა უკანასკნელს დროს ფიცხლად და უწყალოდ მეპყრობოდა, მაგრამ ეს ჩემის აზრით წარმოსდგებოდა იმ სურვილისაგან, რომ დავეშოოებინე მე იმ კაცს, რომელიც მას სიძეთ არ უნდოდა. შოველივე ეს ამბავი, მეგონა, გამოიწვია გაუგებრობამ, რადგან პატომა ინგლისური ენა საკმაოდ არ იცოდა. შრიად შემავიწროებელი და სამყუბარო იყო ჩემი

მდგომარეობა, მაგრამ ამ უბედურებაშიაც მამხნევებდა ის ტკბილი აზრი, რომ მე ვიტანჯებოდი ავენენტი-სათვის. რასაკვირველია, თუ მამა-ჩემმა ამ გვარი უკიდურესი საშუალება მოიხმარა, სჩანს ბარრის ხელი არ აუღია ჩემს ქრმოზაზედ და არც სიტყუა მიუტია შესწყვიტოს ჩემთან მიწერ-მოწერა. საბრალო ბარრი, რაც უნდა შეწუხებული ვიყოთ ახლა ჩვენ, რაც უნდა სამძიმო იყოს ეს დრო ჩვენთვის, ხომ ჩვენი ბედნიერება გადადებულია მხოლოდ ჩემს სრულწლოვანებამდინ. როდესაც ეს მძიმე განსაცდელის დრო გაივლის, ჩვენი ბედნიერება და ნეტარება უფრო სრული და უნაკლულო შეიქნება.

მრთს საათს შემდეგ ჩემს ოთახში შემოვიდა ერთი მონაზონი, გაშეშებული პირის-სახით. მრთი სიტყვაც არ უთქვამს, თითქო მუნჯი ყოფილიყოს, ისე დააწყო სტოლზედ ერთი ფინჯანი მოკოლადი და ერთი საინი რძეში გაკეთებული ჰური და წავიდა. ბუშინს აქეთ არა მეჭამა-რა და დიდის სიამოვნებით შევექეცი საუზმეს, მომემატა მხნეობა და ღონე. ჩემი ოთახის კარები დაუკეტელი იყო, მოვინდომე შემეტყო, თუ რამდენი თავისუფლება მქონდა მონიჭებული ჩემის მანსპინძლებისაგან.

ბამოველ შუშაბანდში, დავინახე ის მონაზონი, რომელმანაც საუზმე მომიტანა. მონაზონი მიდი-მოდიოდა, გულზედ ხელ-დაკრეფილი და თავ-ჩალუნული; გვერდით ჩაუარე, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია.



როცა ათ ნაბიჯზედ დავშორდი, მოვიხედე, ის ისევე-
ისე თავ-ჩალუნული მომსდევდა; გავიარე შუშაბანდი
და გადავედი ერთს დიდ მშვენიერს ბაღში.

მართს თვალის გადავლებახვედ, ბალი მომე-
ჩვენა დაუბოლოებელი, რადგან მისი გარემო კედ-
ლები სულ ერთიანად ხეებით იყო დაფარული. ბაღ-
ში იდგა დიდრონი ფორთოხლის ხეები, ტყის ლე-
ღვების ხეივანი, ორი თუ სამი საუცხოვო კედარი
და სხვა და სხვა ფერი ყვავილების ბუჩქები. ზოგი
მონაზონი მუშაობდა ყვავილების ბუჩქებზედ, ზოგი
სხვა და სხვა ხილს კრეფდა, ზოგს ერთი ადგი-
ლიდგან მეორეზედ გადაჰქონდა მინის თავსახურავეები
რომლის ქვეშ იზრდებოდნენ ვაება დიდი ნესვები
თვითეული მონაზონი ერთი-მეორეზედ საკმაოდ და-
შორებული იყო და დადუმებულნი მუშაობდნენ,
თითქო დაყრუებულან და დამუნჯებულანო.

ღილის რვა საათი იყო და მზე ჯერ კიდევ არ
აღებულა. ღილის სიამოვნებით გავისერიწე ხეივანში.
შევხედი რამდენსამე მონაზონს; ზოგი ერთი სკა-
მებზედ ჩამომსხდარი ვინ: ზოგი მათგანი როგორც
მიუახლოვდებოდი, მაშინვე ზურგს შემომმაქცევდნენ და
თითქო ქვისაგან გამოქანდაკებულს სტატუად იცეო-
დნენ. მიფიქრე: უთუოდ, ამ ბაღში ადამიანის ხმა არ
გაგონილა მეთქი. შეცრად შემოუარე წაბლის ხეი-
ვანს და მოულოდნელად გაჩნდი პატარა ქალების
გროვასთან, რომელნიც მხიარულად თამაშობდნენ
ღარბოდნენ, ტიკტიკობდნენ და იცინოდნენ. რო-

გორც ეტყობოდათ, ფხიზელი ზედამხედველი არ უნდა ყოლოდათ: მოხუცი მონაზონი იჯდა ხის ძირში და სთვლიდა. შმაწვილებს შავი შალის კაბები ეცვათ, ბექებზედ კეკლუცად წამოესხათ შალები, ხელში ეჭირათ მარაგები და თმები ყვავილებით დაეშვენებიათ.

ზავჩერდი, საშინლად შემრცხვა, მერმეთ მიუახლოვდი ყმაწვილებს. იმათ თამაში შესწყუციტეს და განცვიფრებით ყურება დამიწყეს. ხმა ამოუღებლად თავი დაუკარი, იმათაც თავაზიანად პასუხი მიგეს. როცა გვერდი ჩაუარე და ცოტათი დავშორდი, ყმაწვილები ისევ-ისე იცინოდნენ და ტიკტიკებდნენ, უთუოდ, ვერ მიხვდნენ, საილამ გავჩნდი მათთან. როგორც უნდა ყოფილიყო, მათმა დანახვამ ძალიან გამახარა ისინი უთუოდ ამ მონასტერში იზრდებოდნენ, **მ** ღმერთო ჩემო! ვიფიქრე მე, უბედურად არ ჩავთვლიდი აქ ჩემს თავს, ოღონდ კი ჩემთან ლაპარაკს ვინმე ისურვებდეს.

მაკრამ მთელის დღის განმავლობაში არავინ დამლაპარაკებია. მითქმის ცხრა საათზედ, როცა გვრიანად ასიცხდა, დავბრუნდი ჩემს ოთახში. ის მონაზონი, რომელიც ყოველგან დამსდევდა, შემოვდა ჩემთან და ხელით მანიშნა, თუ როგორ უნდა ჩამომეშვა ვენეცაური ფარდები. შრთის წამის შემდეგ შემოვიდა მეორე მონაზონი: ოთახი წყლით მომირწყო. რწყავდნენ ქველ მეოთხედს საათის განმავლობაში, ამიტომაც ჩემს ოთახში საკმაოდ გრი-



ლოდა. ჩემის ბაღში ყოფნის დროს დიოგენეზედ
 ფარდა ჩამოეკიდნათ ბუზების მოსაგერებლად, სტოლ-
 ზედ დაეწყოთ სასტუმროდგან მოტანილი ჩემი
 ბარგი, რომლოდგან სულ ერთიანად ამოეცალათ
 ჩემი წიგნები, ინგლისიდგან მოტანილი. ახლა კი
 ცხადათ დავინახე: მამამ მომატყვილა, ეგ იყო განა?
 მონასტერში რამოდენიმე დღე დარჩებო? თუ კი
 ამისთანა საშინელა სიცრუეს მოახერხებდა, წინამ-
 ძღვარის მოტყვილებაც, რასაკვირველია, არ გაუჭირ-
 დებოდა. რაც უნდა იყოს, ამ გვარი აზრი მამა-ჩემზედ
 შედგენილი იმდენად შემადრწუნებელი და შემაწუ-
 ხებელი იყო ჩემთვის, რომ გადავსწყვიტე, აღარ
 მეფიქრნა მის საქციელზედ, სანამ ამ საქმეს კარგად
 არ გამოვიკვლევდი. ძარგად ვიცოდი, რომ მამა-ჩემს
 შეეძლო ჩემს სრულ — წლოვანებამდინ, რომელს
 სკოლაშიც უნდოდა შევეყვანე და იმიტომაც ამ
 მონასტერში ყოფნა მერჩია და განვიძრახე წინამ-
 ძღვრისათვის მეტხოვა: რომ მოეცა ჩემთვის ისპანიუ-
 რის ენის სწავლია ნება.

ეს ჩემი განძრახვა კიდევ არ გადამეწყვიტა სრულიად,
 როცა მომესმა ფანჯარაში ქალაღდის შრიალი, რომ-
 ელიც შემოჰყო უცხო კაცის ხელმა. ქალაღდზედ
 კარანდაშით ინგლისურად ეწერა: « გთხოვთ, ნუ
 გაჟინიანდებით, ყველაფერში დაუმორჩილდით წინამ-
 ძღვარს, თორემ მეტის მეტად გაუბედურდებით.
 რომ წაიკათხოთ, ეს წერილინაკუწ-ნაკუწად დახიეთ.»

III.

რომელმა კეთილმა ა სულმა მომწერა ეგ წერილი? რა დიდათ მანუგეშებელი იყო ჩემთვის ის აზრი, რომ მონასტერში მე მარტო არ ვიყავი. აქაც იყო თურმე ინგლისელი ქალი, რომელსაც ჩემი ამბვის გაგება სურდა; მაგრამ ვერ გამიგია, რას ნიშნავდა ეგ სიტყვები: «წინამძღვარს ყველაფერში დაუმორჩილდიო!» ჩემი ძალ-დატანებითსჯულის გამოცვლა ხომ შეუძლებელი იყო, სხვათრეც კი მზად ვიყავ დაემორჩილებოდი ყოველსავე მონასტრის წესდებულებას.

მონასტერში დილით ძალიან ადრე იღვიძებდნენ ხოლმე. დილის ხუთ საათზედ ცისკრისას რეკდნენ, ცისკრის შემდეგ იწყებოდა დღიური მუშაობა მეორე დღეს ჩავიცვი ექვს საათზედ, მთავურე რიგის მიმცემს მონაზონს და დავეკითხე: «შემიძლიან თუ არა წინამძღვრის ნახვა? დადუმებულმა მონაზონმა შემეყვანა სასტუმრო ოთახში, იქ იყო წინამძღვარი მალალ ზურგიანს სავარძელში მჯდომარე, სწორედ ისე, როგორც პირველად ვნახე. მორიდებით ჩამოვჯექ და ნება ვთხოვე დედ-მამასთან ბარათის მიწერის.

— მამა თქვენს არა სურს თქვენგან ბარათის მიღება, მიპასუხა მან, — როცა სრულებით მოინანებთ ცოდვებს, მე თვითონ მივსწერ მას და მაშინ შეიძლება იმანაც მოგწეროსთ.



— შემძლიან რომელსამე საქმეში გავერთო?
ნება მომეცით ისპანიური ენა შევისწავლო.

— თანახმა ვარ, მაგრამ თქვენთან ლაპარაკის
ნებას ვერც ერთს მონაზონს ვერ მივსცემ, რომ
თქვენის უსჯულო ბოდვით მათ ჭკუა არ დაეხსნეს.

— ზაძლევთ სიტყვას, რომ სარწმუნოებაზედ
არას ოდეს არ დაველაპარაკო მათ.

— სიმშვიდით უნდა მოაღმინოთ ყოველივე.
რასაც სარწმუნოებაზედ გეტყვიან, უნდა დაჩუმდეთ.
ზახსოვდესთ, თუ რაიმეში შეეცილეთ, ეგ ეშმაკისა-
გან იქნება შეგონებული. ამის პირობას მაძლევთ?

— ღიად, გაძლევთ.

— პირ-ჯვარი გამოისახეთ.

— ღვემოარჩილე. ეს წინამძღვარს ძალიან მო-
ეწონა და განაგრძო უფრო ღმობიერის ხმით:

— შერწმუნები თქვენს სიტყვას, თუმცა დიდი
ცოდვილი კი ხართ, მაგრამ იმედი მაქვს მალე მოი-
ნანებთ. თქვენის მოქცევისათვის დღეს დილით ეკ-
ლესიაში შეუდგნენ ცხრა დღის ღვთის ვედრებას.
მუდამ ამაზედ უნდა ფიქრობდეთ. უნდა იცოდეთ,
რომ დღე და ღამ შეუწყვეტლად თქვენის მოქცევი-
სათვის ღოცულობენ.

სხადია, რაც ჩემზედ უთქვამთ, ყველაფერი
დაუჯერებია. ძალიან ზრუნავს ჩემის გაუზრანგები-
სათვის და ამით იხალისებს ერთგვარს მონასტირს
ცხოვრებას. მონაზვნებიც შეიქცია ჩემმა მოულოდ-

ნელმა შემთხვევამ. ნაღლიანად გამოველ წინამძღვრის ოთახიდან. სახლში წიგნის მიუწერლობა ძალიან მაწუხებდა. ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარევიყავ, მაჰი-ჩემის ნებით უნდოდათ ჩემი გაფრანგება, თუ ეს მხოლოდ გაუგებრობის გამო მოხდა. რაღა გაეწყობოდა. ნება ხომ მაინც გამოკითხოვე ისპანიურის შესასწავლად. ეს მაინც შევიძინე, ვფიქრობდი მე, და ეს ფიქრი მინუგეშებდა და მიხალისებდა ჩემს დაჩაგრულს გულს.

იმ დღით, ნაჭაუზმევეს, ბაღში დიდხანს ვსვინობდი. ღებრუნების შემდეგ მომესმა, ვილაცამ სენაკის კარებზედ მოარახუნა. შემოვიდა ოცდა-ხუთის წლის ახალ-გაზდა მონაზონი, ლამაზი სახის და მშვენიერის ფერ-ხორცის.

— მე მქვიან დაჲ სანტა ინკარნაცია, მოვედი თქვენთან, რომ ისპანიური ენა გასწავლოთ, მითხრამან და ყმაწვილურის ღიმალით გამიციანა.

— თქვენ ძალიან გულკეთილი ყოფილხართ, ვუთხარი მე, წამოვდექდა მეც ალერსიანად გაუღიმე. — თქვენს გარდა მონასტერში ბევრნი არიან ინგლისელი მონაზვნები?

— არა, მხოლოდ მე ვარ, წარმოსთქვა მან და გაწითლდა: ჩემი იყო ის პატარა წერილი გუშინ რომ მიიღეთ. საშინლად შევეცოდე, მაგრამ დღეს ყველაფერში გაეუტყდი წინამძღვარს, რომელიც იმდენად კეთილია, რომ თვითონ დამინიშნასასჯელი,

თუმცა სასჯელი ერთობ მცირეა

— არ ვიცი თქვენ შესცოდეთ ამით თუ არა, მაგრამ მე ძალიან მადლობელი ვარ თანაგრძნობისათვის, მივუგე მე.

— ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოვიქმედე წინამძღვრის ნება-დაურთველად, მერმე კიდევ თქვენ გთხოვდით დაგეხიათ ის წერილი და მით მინდოდა დამემალა ჩემის ცოდვის კვალი. მხოლოდ ეშმაკს შეეძლო შეეგონებინა ჩემთვის ამისთანა ბოროტი აზრი. ძალიან მსურს, ჩემო დაო, უცოდველი ვიყო, მაგრამ ძნელია ეს წადილი ამიხდეს.

— მონაზონმა ნაღვლიანად გააქნია თავი. ცხადათ სჩანდა, რომ მთელს სიცოცხლეს რაღაც ცოდვების მონანებაში ატარებდა. როდესაც დაახლოვებით გავიცანი, დავრწმუნდი, რომ ის მუღამ თავის ცოდვებზედ ფიქრობდა და შედიოდა მის მცირე მოქმედების დაწვრილებითს განხილვაში. ამ გვარს მონანებაში იმ ნაირს სიამოვნებას გრძნობდა, თითქო განგებ სცოდავდა, რომ ეპოვნა მიზეზი თავის დასჯისათვის.

იმისი ლაპარაკი სულ ამგვარს საგანზედ ტრიალებდა. მას ჰქონდა ცალკე წიგნი, რომელშიაც სწერდა თავის შეცოდებას: სიტყვით, საქმით და განზრახვით. ერთხელ ნება მომცა წამეკითხა იმ წიგნში რამდენიმე სტრიქონი, რომელიც ცხადად

ამტკაცებდა მის ყმაწვილურს და გამოუცდელს ხასიათს. შემდეგ გამომიცხადა, რომ ეველა ეს შენის მოწონებისათვის მოვიქმედე და ამისათვის თავიც უნდა დავისაჯო.

იმ ზომამდის შეჩვეოდა ღუმბილს, რომ კარგ მასწავლებლად ველარ გამოდგებოდა; თუ არ თავის ცოდვებზედ სხვაზედ ვერაფერზედ დაფიქრებოდა, მაგრამ იპანიური ენა ძალიან ადვილია და მეც გულს-მოდგინედ ვსწავლობდი, ასე რომ სანტა ინკარნაციასთან ლაპარაკით, სახელ-მძღვანელო წიგნების შემწეობით, მალე შევითვისე ენის კანონები. ღღეში თითო საათობით ორჯერ მასწავლიდა და მეც ძვირად ვაფასებდი მასთან ყოფნას, რადგან ის იყო ერთად-ერთი აჩება, რომელთანაც ლაპარაკი შემეძლო. სრულებით მარტოდ ვიყავი, თითქო განგდებული ანუ ჭირიანი ვყოფილიყო. ღღეში რამდენჯერმე ზარსა სცემდნენ მონაზვნების მოსაწოდებლად, თუ სალოცავში, თუ პურის საქმელს ოთახში, თუ სახელოვნოში და სხვ., მაგრამ მათთან ყოფნის ნება არ მქონდა. საქმელი მოჰქონდათ ჩემთვის ჩემს ოთახში: შვიდს საათზედ მოკოლადი, თერთმეტ საათზედ სადილო, რომელოც შესდგებოდა ხორცის, მწვანილის და მშვენიერის ხილებისაგან და ხუთზედ — ვახშამი თევზითა, ანუ ნანადარვეითა და კიდევ ხილით. როცა მოჰესურებოდა ბაღში დავსეირნობდა, მაგრამ ვერავინ ვერ გამომელაპარაკებოდა. სანტა ინკარ-



ნაციას არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, როგორც შენს სარწმუნოებას გამოიცელა და მონათლებიო, მაშინვე შენც იმ მოწაფეების რიცხვში ჩავთვლიანო, რომელთაგან უმრავლესობა ისპანიის საუკეთესო ოჯახებიდან არიანო და სანამ შენს სარწმუნოებაზედ იქნება, არც ვისმესთან ლაპარაკისა და არც ეკლესიაში შესვლის ნება არ გექნებაო. საბრალო, სანტა ინკარნაცია ძალიან ცდილობდა ჩემს მორჯულებას. როგორც მეუბნებოდა, არა თუ მარტო ისა, სხვებიც თორმეტ მონაზნამდის ყოველ-ღამ იტანჯებოდნენ და მთელს საათობით, დაჩოქილი ცივა იატაკზედ, მძიმე ეპიტიმიას იხდიდნენ, რომ მალე განთავისუფლებულნიყავ ბოროტის სულისაგან.

საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა, მაგრამ რა უნდა მექნა? რაც უფრო კარგად ვეცნობოდი მონასტრის ცხოვრებასა, თანდითან უფრო ნაკლებად ვგრძნობდი მიმზიდველობას იმ ბნელის ხარწმუნოებისადმი, რომელსაც ისინი აღიარებდნენ. მათი სარწმუნოება განსაკუთრებით ტანჯვა - წამებაზედ იყო დაფუძნებული და ამ შემთხვევისათვის ისინი დახელვანებული იყვნენ, მოვგონათ ყოველ-გვარი სატანჯველი. მონასტრის წესდებულება თავის-თავადაც სასტიკი იყო; მონაზნები ფეხ-შიშველი დადიოდნენ, შვალამე'ედ ღვებოდნენ და ლოცვაზე მიდიოდნენ. არ სკამდნენ, არც ხორცს, არც კვერცხსა, არც თევზსა და ერთმანეთთან ლაპარაკი შეეძლოთ მხოლოდ კვირაში ერთხელ, თითო საათობით, კვი-

რაობით სალამოს ლოცვის შემდეგ. იმისთანა სენ-
 კებში, მე რომ პირველი ღამე მონასტერში გავა-
 ტარე, მათ ეძინათ უწყურო ლოგინებზედ და საზო-
 გადოთ სისუფთავეს არ დაეძებდნენ. **თუმც** სანტა
ინკარნაცია ინგლისელი ქალი იყო, მაგრამ პირის
 დაბანა მაინც ცოდვით მიაჩნდა. იმ დღიდგან, რაც
 მონაზვნად შესდგა, მას ხელში საპონი არ აუღია;
 პირს არაოდეს არ იბანდა, მხოლოდ სოველს ხელს
 მოისვამდა პირზე და პირსახორცის უქონლობის
 გამო იმასაც არ მოიწმენდდა. ზაფხულობით ყოველს
 სამ კვირაში ერთხელ იცვლიდა სუფთა ტილოს
 პერანგს, ზამთრობით კი სამ სამ თვეობით ეცვა
 ხოლმე შავი მსხვილის შალის პერანგი. სხვა მის ტანი-
 სამოსს შეადგენდა შავი შალის გრძელ სახელოებიანი
 კაბა და სარტყელის ნაცვლად მსხვილი ბაწარი. **თმა**
ჭქონდა მოკლედ შეკრეჭილი, როგორც პატარა
 ბიჭს და ზედ ეხურა ჩეპეცი ვაება მიჩინოზის პირ-
 ბადეთი, რომელიც ხან ბეჭებზედ ჭქონდა ჩამოშვე-
 ბული და ხან პირზედ. **შკანასკნელის** შემთხვევი-
 სათვის პირბადე ორს ადგილს გამოჭრილი იყო
 თვალებისათვის. პირველად, რომ ვნახე ამნაირად
 პირბადეთი მორთული დიდად შევშინდი. **თუმცა**
 მონასტრის წესდებულება ფრიად მკაცრი იყო, მაგ-
 რამ მონაზვნები კიდევ უფრო იძნელებდნენ თავიანთ
 ცხოვრებას სხვა და სხვა სატანჯველითა და შევი-
 წროებით. რომელთაც იხინი ნება ყოფლობით თავს
 იღებდნენ. მხლანდელმა წინამძღვარმა მკა რომ ამ



ქართული
ენის ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამდებობაში შევიდა, მაშინვე შეამჩნია მონასტერში მეტის-მეტეი თავისუფლება და ყმაწვილური ენტუზიაზმით აღადგინა აღრინდელი სასტიკობა. მისმა სულიერმა გულის-მოდგინებამ ისეთი მიბაძულება აღსძრა მონაზვნებში, რომ წინამძღვარი იძულებული იყო შეეკავებინა ისინი, რომ მეტის-მეტეა წვალებითა და ხორცის მოკვდინებით არ განეტევებინათ სული. ის აღარ აძლევდა იმათ ნებას თვითონ დაენიშნათ თავისათვის სულიერი განკარგება, რადგან უწყალოდ და სწორედ ბარბაროსულად იწვალებდნენ თავს. შრთხელ ვილაცა მონაზონი გაუტყდა წინამძღვარს რალაც მძიმე ცოდვაში და სთხოვდა მიეცა მისთვის თავის დასჯის ნება, რომ ცოდვები სრულებით მოენანებინა. მეორეს ღღეს ისევ მივიდა და ხელ-ახლად გაუტყდა ისეთს შესაზარს ცოდვაში, რომ თავის დასჯის ნება აიღო. მონაზონმა მოიშინველა ბეჭები და სთხოვა თავის მსგავსს ცრუ-მორწმუნოებით გაშმაგებულს მონაზონს, ეცემა მისთვის სამას-სამოცდა-ხუთჯერ ბოლო გამოკრულის ბაწრით. მამოიარა თუ არა ეს საშინელი სატანჯველი, მკვდარ-ცოცხალი დეარდა წინამძღვრის წინ და სთხოვდა, კიდევ მიეცა ამ სასჯელის გაგრძობის ნება, რადგან მეორე შეცოდება სიცრუე იყო და მოიგონა იმ განძრახვით, რომ ღირსეულად დასჯილ იყო პირველი, შეცოდებისათვის. საიდგან შეეძლო ამ ცრუ-მორწმუნოებით გაშმაგებულს ქალს გონიერად ეპატონებინა ამათთანა საოცარის აღამია-

ნებისათვის?

«**10** ამას გარდა არავითარი ნება არ ჰქონდა მას შეუთლიყო იმ საჯელის განხილვაში, რომელსაც ნიშნავდა მონა'ტრის მოძღვარი, — სულელი მოხუცი — ფრანცისკანელი ბერი. **11** ა ყოველ პარასკეობით დადიოდა მონა'ტრის ეკლესიაში აღსარებისათვის. აგრეთვე ვერ შევიდოდა ერთ წოდებულის კეთილ საქმეები, ანუ ნება ყოფლობითი შესაწირავების განხილვაში. **12** ეს შესაწირავები მდგომარეობდა უფრო ხშირად, სასმელ საქმელის თემნაში. მშიერი მონა'ონი სუფრაზედ მჯდომი წარმოსთქვამდა მაგალითად აგრე: ნახევარი ჩემი სადილი წმინდა ანნასთვის შემიწირავსო. **13** თუ არ დანიშნულს დროედ, იმათ აღკრძალული ჰქონდათ სასმელ საქმელის მიღება, ი'ე რომ პაპანაქება სიცხეში, როცა მოსწყურდებოდათ ხოლმე, წინამძღვრის ნება დაუროთველად წყალს ვერ დალევდნენ. რასაკვირველია წინამძღვარი ამ შემთხვევაში უარს არ ჰყოფდა, მაგრამ ხშირად მოხდებოდა, რომ მონა'ონი წყლით სავსე ჭურჭელს პირთან მიიტანდა თუ არა, ისევ ძირს დადგამდა ამ სიტყვებით: «ყოველად წმინდაო ღვთის მშობელო! ეს წყალი შემიწირავს იმათთვის, ვინც საიქიოს იტანჯებიან.»

რადგან ამათს თავ-მოყვარეობას სხვა ა'პარე'ი არა ჰქონდა, ი'ინი ცდილობდნენ ერთი-მეორეს გადაჭარბებას სატანჯველის ატანაში, ამისგამო მათში ბევრი სწეულები და შეშლილები იყო. როცა რო-



მელიმე მონაზონთაგანი ჭკუიდგან შეიშლებოდა, ავად-მყოფობის დაგვარად ეპყრობოდნენ. **თუ** მონაზონი ავად გახდებოდა იმით, რაჲც ექიმები მელანხოლიას ეძახიან, ე. ი. თუ თვალში რამე ელანდებოდა, თავის-თავად გაუგებარს რასმეს ბუტ-ბუტებდა, თავის წამებას უმატებდა და ხშირად აბოდებდა, მაშინ მას წმინდათ მიიჩნევდნენ და თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. ამ ნაირად შეშლილს არავეითარს მონასტრის წესდებულების დარღვევას არ უშლიდნენ. ხან-დის-ხან კი შეშლილი გაბრაზდებოდა, საცოდავად ყვიროდა, ხარხარებდა, კბილებს აკრაჭუნებდა რა ღმერთს გამობდა. ამ შემთხვევაში იმას გამოაცხადებდნენ კულიანად და ჩაკეტავდნენ მარტოდ ერთს იმისთანა სენაკში, სადაც აქ მე გავატარე პირველი ღამე. ამისთანა ოთახებში, მონაზვნების გარდა სხვებსაც ამწყვედევდნენ. როგორც შემდეგ გავიგე, ისპანიაში არ ყოფილა წესი, რომლის ძალით ავად-მყოფი შეშლილად ეცნოთ. **თუ** ვინმე შეიშლებოდა, მაშინვე მონასტერში შეიყვანდნენ და გამოაცხადებდნენ: ესა და ეს მონაზვნად, ან ბერად შესდგაო და ვერც ვერავინ გაიგებდა, მართალი იყო თუ ტყუილი ეს ამბავი, რადგან ისპანიის მონასტრები მთავრობისაგან და მოუკიდებელი იყო.

როდესაც დაწვრილებით გავიგე მონაზვნების ცხოვრება, სანტა ინკარნაციასაგან (რომელიც ყველაფერს მელაპარაკებოდა, თუმცა ნაბრძანები კი

მქონდა არაფერი ეთქვა და ისიც დარწმუნებული იყო, რომ ასრულებდა თავის მოვალეობას.) შემხავდა მონასტერი და გადაესწვიტე, რომ მოვეკალით, მაინც არ მიმელო მათი სარწმუნოება; მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ერთი გარემოების მიზეზით, მთელის მონასტრის მცხოვრებლებმა მიიღეს ყოველგვარი საშუალება ჩემი გაფრანგებისათვის.

სხვა ნივთებთა შორის ინგლისი იდგან მოვიტანე სამხატვრო ალბომი; რადგან საკითხავი წიგნები არ მქონდა, ხშირად ალბომში კარანდაშით ეხატავდი. ერთხელ თან წავიღე ბალში, მინდოდა მშვენიერი მონასტრის ეკლესია დამეხატა. ერთმა მონაზონმა შენიშნა ჩემი მხატვრობა, გაიქცა და მოახსენა წინამძღვარს. მოვიდა მაშინვე წინამძღვარი მედიდურად დამადგა თავზედ, ხელი პორთფელს გაუწვდინა. საშინლად შემეშინდა; ალბომში რამოდენიმე სურათი მქონდა დახატული და მათს რიცხვში თვითონ წინამძღვარიც და სანტა ინკარნაციაც და განსაკუთრებით ორი მონაზვნის სურათები მეჭად სასაცილოდ იყო გამოყვანილი; მაგრამ გაწყრომის ნაცვლად წინამძღვარმა გამიღიმა და მკითხა:

— ძარგად ხატავთ? — ფორტეფიანოს დაკრია იციო?

— ღიად, ვეცი მიუუგე მე.

— მაშ, წამოდიოთ ჩემთან.

— თან გავყევი. თუმცა წინამძღვარი ჩემთან იყო, მაგრამ ერთი მონაზონთაგანი, რომელიც



სრულიად თვალს არ მაშორებდა, თან გამოძევად მივედი მონასტრის გვერდით მიშენებულს სადგომთან, რომელიც დანიშნული იყო მოწაფეებისათვის; შევედით ოთახში, სადაც იღვა მოშლილი ფორტეფიანო. მრთი ახალ-გაზდა, ჩვილმეტი-წლის ლამაზი ქალი იჯდა ფორტეფიანოსთან და გამებს უკრავდა, მოხუცის მონაზვნის მხედველობის ქვეშ, რომელიც სავარძელში სთვლემდა. როგორც კი შევედით ახალ-გაზდა ქალი წამოდგა და წინამძღვრის ბრძანებით გავილა ოთახიღვან. შემდეგ წინამძღვარმა მიბრძანა დამეკრა რამე.

შორტეფიანოზე ეწყო რამოდენიმე ნოტის რვეულები: მათ შორის სახალხო ლექსები და საშგალობელო ნოტებიც იყო. ნოტების ცოდნა რომ გამოძეჩინა, ჯერ ნოტებზედ დაუკარი, მერმე ჴეპირად — ოპერების ნაწყვეტები და სატანცაო. ორივე მონაზვნები აღტაცებით ისმენდნენ. წინამძღვარი, ჩემსკენ ჴურგ შექცევით, შეურყვევლად ფანჯარასთან იღვა; მერმე მომიბრუნდა აღელვებულის სახით და მითხრა:

— მამა-თქვენს კარგი სწავლა მოუცია თქვენთვის. — ახლა ეგ-ლა დაგრჩენიათ შევევედროთ ლმერთს, კეთილად მოგეხმაროსთ თქვენი სწავლა.

ამას შემდეგ წინამძღვარმა გადასწყვიტა, აუცილებელი საჭირო არიო, რაც შეიძლება მალე გაგაფრანგონო. მონაზვნები, რომელნიც შკოლაში ასწავლიდნენ, ერთიცარ ჰყოფილა ხატვისა და ფორტეფიანოზედ დაკვრის მკოდნე და რასაკვირველია, მე შემეძლო დიდი სარგებლობა მომეტანა მონა-

სტრიათის, როგორც ამ საგნების მასწავლებელს.

IV.

არ ვიცი შეხედულობით შემატყო თუ არა, და როგორც ეტყობოდა, წინამძღვარმა შეიცნო ჩემი ხასიათი და დარწმუნდდა, რომ ძალ-დატანებით ჩემი სჯულის გამოცვლა შეუძლებელი იყო. არც იმდენად გულ-კეთილი და ლმობიერი ჰყოფილა, რომ ჩემზედ აღერსით ემოქმედნა; მეჩუკი იმდენად ამაყი ქალი იყო, რომ ის თავის დღეში ამისთანა ცბიერობას და პირ-მოთნეობას არ იხმარდა. წინამძღვარი სულსხვა გზას დაადგა; წმინდა, სულიერს: მოიწოდა სულ ერთიანად მონაზვნის კრება და დაუნიშნა ჩემის მოქცევისათვის რვა დღის მარხულობა — არა ჩვეულებრივი ცხრა დღის ლოცვა, თხიზლობა და ხორციელად წამება. მისის ჰაზრით, სანამ მე არ მოვიქცეოდი, მონასტერში-იმყოფებოდა ბოროტი სული და შეეხვეწა მონაზვნებს, ეხმარათ ყოველ გვარი საშუალება, რომ ამ ნაირს უბედურებას ბოლო-მოღებოდა. მრთად ერთი საშუალება დაგვრჩენიაო, ამბობდა ის, ვილოცოთ შეუწყვეტლად და ვიწამოთ თავი. წინამძღვრის გხურვალე სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანეს მონაზვნები, რომელთაც წარმოიდგინეს თავიანთი თავი ჯვაროსნებად

ამის გამო ისე შევიწროებული ვიყავ, რომ



აღწერაც არ შემიძლია. შოველს ნაბიჯზედ ვხედავდი თუ უცხო პირები რანაირად იწამებდნენ თავა ჩემის გულსათვის. როგორც ოთახიდან გამოვიდოდი, ხან ერთს და ხან რამდენსამე მონაზონს უთუოდ დავეტაკებოდი, რომელნიც გართხმით ეგდნენ შუშაბანდის ცივს იატაკზედ და ამ დგომარეობაში მთელ საათობით ატარებდნენ და ჩუმიად თავის-თვის ლოცვებს ბუტბუტებდნენ. სანტა ინკარნაციამ, რომელსაც დღითი-დღე ფერი აკლდებოდა და უქლურდებოდა თავის ნებაყოფლობითის წვალებისაგან, მითხრა: მე და თერთმეტამდის სხვა მონაზვნებმა აღთქმა დავდევით, ორმოცი დღე ვიმარხულოთ და წყლისა და პურის მეტი არა ვაჭამოთ-რა, თუ მანემდი არ მოიქეციო. ზოგიერთები უქვეშაგებლოდ ქვის ცივს იატაკზედ იძინებდნენ, ზოგი პურზედ ნაცარს აყრიდნენ და ისე სჭამდნენ, რომ ავად გამხდარიყვნენ, სხვები ათას ნაირად სხვა და სხვა გვარი, სატანჯველით თავს იწამებდნენ. მართი ახალ-გაზდა მონაზონი, რომელიც ახალი შემდგარი იყო, საწოლში ეკლიან, ვარდის შტოებს იწყობდა და ბევრს სხვა და სხვა სატანჯველს იგონებდნენ მონაზვნები, რომლის წარმოდგენა მეტად მაძრწუნებს და მაშფოთებს.

რაც უნდა უწყალო გულის ადამიანი ჰყოფილიყო, იმასაც არ შეეძლო გულ-გრილად აეტანა ამ გვარი საოცრება, თორემ მე, რომელიც ბუნებით გულ-ჩვილი ვიყავი, როგორ შემექლო ამეტანა ეს

საშინელი მდგომარეობა; სულათა და გულით ვრცან-
 ჯებოდი და მალე ავადაც გაეხდი. პრაინ იყო,
 ჩემთვის რამე ერჩია; სრულიად არ ვიცოდი, რა უნ-
 და მექნა. რამდენი არ ვეცადე სანტა ინკარნაცია
 დამეჯერებინა, რომ მისი საქციელი უგუნური იყო,
 მაგრამ ჩემს საფუძვლიანს ლაპარაკს და ხვეწნას ყურს
 არ უგდებდა.

— ზნა თქვენ ფიქრობთ, რომ ლმერთა იამება
 თქვენი ამნაირად წვალება! უთხარი მე ერთხელ
 სანტა ინკარნაციის, როცა მარხულობას ის ისე მიე-
 სუსტებია, რომ ძლივს და ლაპარაკობდა.

— ლმერთი დაათვალება ჩემს განძრახვას, მომი-
 გო მან, ჩვენ ასე მცირე რამე შეგვიძლიან, მაგრამ
 ამ მცირედიდაც ის მადლიერი იქნება.

— ჰი, მაგრამ ჯან-მრთელობის ძალით დაკარგვა
 ხომ ცოდვია?

— ჩვენ ღარიბნი ვართ, შეგვიძლიან შევსწი-
 როთ მხოლოდ საქმელი და ჯან-მრთელობა. მე დიდის
 სიხარულით შევსწირავდი ჩემს სიცოცხლეს თქვენ-
 თვის, დაო.

— აბა მითხარით, რა უნდა შემძინოს თქვენმა
 სიკვდილმა? მე დავკარგავდი მხოლოდ ჩემს ერთად-
 ერთს მეგობარს ამ მონასტერში. ასეა განა? ნუ მე-
 უბნებით ამისთანა საოცრებას. ზული მტკივა ხოლმე,
 როცა თქვენგან ამისთანები მესმის.

— ნუ გეშინიათ, დაო, მომიგო მან და ნალ-
 ვლიანად თავი გაიქნია: — თქვენთვის სიკვდილის



ღირსი არა ვარ. პი დაჲ სანტა-მლმა, რომელიც
ქეშმარიტად წმინდა იყო, შესწირა თავის სიკაცხლე
თქვენთვის და ზეცამ კიდევაც მიიბარა მისი სული.
შესმისთ ზარის რეკა?

იმას ერთბაშად სახე გაუბრწყინდა, დავარდა
ძირს და დაჩოქილმა ჩუმაღ ლოცვა დაიწყო.

— ეს კვდრის ზარია, წარმოსთქვა მან: დღეს
ღლით გვითხრეს, რომ სანტა მლმა მოკვდაო. ია
ძალიან სუტი აგებულების იყო და იმდენად მარ-
ხულობდა თქვენის დახსნისათვის, როგორც არც
ერთი ჩვენგანი. აბა ყური დაუგდეთ, გარეთ შუშა-
ბანდში ფეხის ხმა ისმის.... ის მოაქვთ თქვენთან.

მართლაც კარი გაიღო და მეც დამიძახეს. მთლად
აკანკალებული გამოვედი შუშაბანდში. ძირს იატაკ-
ზედ ლეიბზედ იწვა ყმაწვილი, უდროვოდ დაუძლეუ-
რებული საწყალი მონაზონი. ზარს ეხვივნენ სხვა
მონაზვნები, რომელთაც ის აქ მოეტანათ. მტყო-
ბოდა, რომ საბრალო სულს ლევდა, ლაპარაკის
ლონე არ ჰქონდა, მაგრამ ნიშნით მიმიხმო და
უნდოდა, მომხვევოდა. სცდილობდა როგორმე გულ-
ზედ მივეყარ, მაგრამ ძალია აღარ ჰქონდა და სულიც
მალე განუტევა.

მე აღარ შემეძლო ამ ნაირი განსაცდელი ამე-
ტანა. როგორც უნდა მომპყრობოდენ, რა ძალია
უნდა ეხმარათ ჩემს წინააღმდეგ, მე მაინც ისევ ისე
უცვლელი ვიქნებოდი; მაგრამ სხვისი მწუხარებისა
და ტანჯვის მიზეზი რომ ვაგებდი და ამასთან ისიც

საქართველო
1925

გავიგე, რომ ერთი მონაზონი ჩემის გულისათვის შიშით მოკვდა და სანტა ინკარნაცია, რომ დღითი-დღე უძლურდებოდა უღონო სიკვდილით, ყოველ გვარს ფიზიკურს ტანჯვაზედ უარესი მემართებოდა. თან და თან ერწმუნდებოდი, რომ ჩემგან ქრისტიანობის უარ-ყოფას კი არ თხოულობდნენ, მათ სურდათ, რომ გავმხდარიყავ იმ სარწმუნოების გარეგნობით აღმსაარებელი, რომლისაც საფუძველი სრულიადაც არ განსხვავდებოდა ჩემის სარწმუნოებისაგან. ბანა ღირდა-კი ამისათვის წინააღმდეგობა გამეწია და მთელი მონასტრის მცხოვრები გამეწირა? რა კი ვხედავდი, რომ სანტა ინკარნაცია თან და თან უძლურდებოდა ნამეტანის წამებასაგან, მივაშურე წინამძღვარს და თვალკრემლიანმა გამოუტხადე, კათოლიკის სარწმუნოების მიღება მაურს მეთქი.

იმას საშინლად გავხარდა, გადამკოცნა და დამლოცა. მონასტრის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისიც გადაიხადეს. თვითოეულის სახეზედ განუსაზღვრელი სიამოვნება იხატებოდა. მხოლოდ მარტომე დავლონდი ამ დათანხმების გამო. დამამცირებელს მაცდურობამდინ მიმალწევიყენეს: ჩამომართვეს დაბადება და ლოცვანი და სამხარეულოში ჩემს თვალ წინ დასწევს. წინამძღვარს უნდოდა თვითონ მე ჩამეგლო ისინი ცეცხლში, მარგამ მე გადაწყვეტილი უარი უთხარი, ძალა აღარც მას დაუტანებია. საზოგადოდ ბევრს ნაკლოუფევანებას მაპატიებდნენ, რადგან



ჯერ მოუწათლავი ვიყავი და სუსტს არსევათაც მრაცხდენ.

მე მოკლედ გიამბობთ იმას, რაც შემდეგ მომავალს კვირაში შემეთხვა. სანამ მოვინათლებოდი მიჰაბარეს მოსამზადებლად ერთს მოხუცს სულელს ფრანცისკანელს ბერს, რომელიც მონასტრის მოძღვარი იყო. ის ყოველ დღე წინამძღვრის მისაღებს ოთახში მოდიოდა და მიხსნიდა სჯულის კანონებს, რომელიც თვითონ მას არ ესმოდა. მე მას მორჩილებით უსმენდი, ისე რომ ერთისთვის შემდეგ მონათვლის ღირსად მიცენეს და კიდევაც მომნათლეს დიდის ამბით. ნათლის-ღების საიდუმლო შეასრულა ადგილობრივმა არქიეპისკოპოსმა. მიმქმელად მოპატიჟებული იყო ვიღაც ღვთის მოყვარე გერცოგი თავის ცოლით, რომელნიც არც წინეთ და არც შემდეგ აღარ მინახავს. მტყობოდა, რომ ჩემმა მოქცევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სევილიაში. ჩემმა ნათლიებმა შემოიტანეს ჩემს სახელზედ ასი გირვანქა სტერლინგი და ერთი იმდენის შემოტანას კიდევ შეპირდნენ იმ შემთხვევაში, თუ მე შეესდგებოდი მონაზვნად. იმათ მაჩუქეს კათოლიკის ლოცვანი და მშვენიერი სპილოს ძელისაგან გაკეთებული ჯვარ-ცმა. საჩუქრები ხელში დავიჭირე და თეთრად ჩაცმული მიემართე ემბაზისაკენ, თითქოს მსხვერპლი განსასპეტაკებლად, წავსდექი ურიცხვით მაყურებელთ და მონაზონთ წინაშე, რომელთაც ამ გვარს შემთხვევაში მოაჯარის უკან ეჭირათ ადგილი.



ტერემონის დროს მე ამ აზრით ვნუგეშობდი, რომ მონაზვნები მაინც გულ-წრფელად დღესასწაულობდნენ ჩემს მოწუხებას. წინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათს დიდი ხნის ტანჯვა-წვალებას ამოდ არ ჩაუვლია. მკლესიიდან რომ გამოველ, თვითოეულმა მათგანმა ნახად გამკოცნა.

ამ წამიდან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება, რომელიც ბევრად მსუბუქი შეიქნა. წინამძღვარმა გამომიცხადა, რომ დიდს ნდობას მიმტკიცებს მით, რომ ხატვის და მუიკის მასწავლებლად მნიშნავს შკოლაში; მასთან სიტყვაც ჩამომართო, რომ არაფერი მეთქო მოწაფეებისათვის ჩემს წასრულს ცხოვრებაზედ და არც უნდა გამეგებინა მათთვის, რომ ძალ-დატანებით ვიყავი ამ მონასტერში მომწყვდეული.

— თქვენ კიდევ ტყვეთ რაცხთ თქვენს თავს? დამეკითხა მან და თვალის დაშტერებით შემომაჩერდა.

მეტი მეთი სულელი უნდა ვყოფილიყავ, რომ გულ-წრფელად მამეგო ჩემის საპყრობილის წინამძღვრისათვის და ამისგამო პირდა პირ პასუხს გადაუღეგ დავეუბარი.

— აქ ძალიან კარგად მექცევიან და უფრო ბედნიერი, უთუოდ, არსად არ ვიქნებოდი.

— მე კი სწორე შეხედულობაა თქვენს მდგომარეობაზედ, მაგრამ დაფიქრდით თქვენ იმაზედ, რომ მთელი სიცოცხლე შესწიროთ წმინდა ტაძარს.

— ო, ო! ქალბატონო! მე ჯერ სარწმუნოება



ახალი მიღებული მაქეს და არც დრო მქონია შეფიქრნა ამისთანა მძიმე კითხვაზედ.

— მე მართალია, მაგრამ თქვენ ახლა ჩვენის სარწმუნოებიაა ხართ და უნდა მიწოდებდეთ მე დედას. ძმაყოფილი ვარ იმ ცელილებით, რომელიც თქვენში მოხდა, მერსედეს. (ნათლიის პატივის ცემისათვის, ნათლის სახელად მიწოდეს მერსედეს.) თქვენ ახლა თავისუფლად ლაპარაკობთ ისპანიურს ენაზედ და სულ სხვა ნაირადაც უნდა გრძნობდეთ თავს მას შემდეგ, რაც ბოროტი სული განდევნილი იქნა თქვენგან.

— ღაღ, სრულიად სხვა ნაირად, მივუყე მე ნაღვლიანის გესლით.

— მე მივსწერე მამა-თქვენს თქვენს მოქცევაზედ, განაგრძო წინამძღვარმა: გინდათ თქვენც მისწეროთ რამდენიმე სიტყვა?

მკ, როგორ არა, დედავ, თუ ნებას მომცემთ, შევეყვირე მე, სიხარულით აღტაცებულმა.

— ჩემს ოთახში წამოდით და შემდეგ მოწაფეებთან წარგადგენთ.

მეგონა, რომ ახლა, ექვსი თვის მონასტერში ყოფნის შემდეგ, ნებას მომცემდნენ მამა-ჩემთან გრძელი ბარათი მიმეწერა, რომ მეკითხნა მისთვის, თუ რას ფიქრობს ის ჩემს მომავალზედ, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, წინამძღვარმა ნება მომცა გამეგზავნა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარი წერილი ისპანიურს ენაზედ, შიგ უნდა გამო-

მეცხადებინა, რომ სრული ბედნიერ ვეყავ სარწმუნოების გამოცვლითა და ჭეშმარიტის ეკკლესიის შედგომით. შიშისაგან ფერი შემაკრთა. ღვინახე, რომ სულ-ერთიანად ჩაქერილი ვიყავ: ვიცოდი, რომ ჩემს წერილს, რომელიც ჩემს გაფრანგებას ამტკიცებს, სახლში ყველას აჩვენებდნენ და შეიძლება ბენენტიისათვისაც წაეკითხათ. წინამძღვარს ისე შევეჩერდი, თითქო რასმეს ვეკითხებოდი. ძალამი სტოლზედ დავსდევ. წინამძღვარმა ჩემი მიუხდომელობა თავისებურად განმარტა:

— ზეშინიათ, მერსედეს, რომ კარგად ვერ სწერთ ისპანიურს ეანზედ, მკითხა მან.

— ღიად, მიეუგე მე.

— მე არაფერია; ასე ცოტა ხნის სწავლის შემდეგ, ის არ უნდა ელოდეს თქვენგან კარგ ნაწერს.

— ჩემს დედ-მამას ისპანიური ენის არა გაეგებათ რა.

— მართი თქვენი დებთაგანი ანუ ვინმე მეგობართაგანი გადათარგმნის თქვენს წერილს, წარმოსტევა წინამძღვარმა, უთუოდ, ეგონა, რომ მისი ენა მთელს ქვეყანაში გაერცელებული იყო.

ამ მუხაიფის წყალობით, მე დრო ვიზოვე, მომეფიქრნა ჩემი მდგომარეობა და კიდევ დავსწერე საკმაოდ ორ აზროვანი წერილი:

«საყვარელო მამა, ამ ჩემის ისპანიურად ნაწერის



წიგნისაგან დაინახავთ, რომ სულ ამაოდ არ დამიკარგავს ღრო. ღელა-წინამძღვარი ჩემთან ძალიან გულკეთილად არის და მეც შევეჩვიე მონაზნურს ცხოვრებას. მე არ შევეცვლი იმ სარწმუნოებას, რომელშიაც თქვენ და ღელა-ჩემმა გამომსარდეთ და რომელიც ეხლა უმეტესად ძვირფასი შეიქნა ჩემთვის. მომიკითხეთ ყველანი სახლში. თუ გიყვარდეთ, ნება მომეცით, წერილი მოგწეროთ და სამაგიეროდ მივიღო. თქვენი მოყვარული შვილი.»

წინამძღვარს ეგონა, ვთაჲმც ჩემი მშობლები კათოლიკები ყოფილიყვნენ და მეც სხვა სარწმუნოებაზედ გავეზარდეთ, რომელიც უკანასკნელ ღროს გამოვაცვალე. ამასათვის ჩემის წერილის შინაარსი იმას მოეწონა. წერილში ორი გრამატიკული შეცდომები მაჩვენა და ის კი ვერ შენიშნა, რომ ჩემი ახალი სახელი არ მიმაწერია.

— მე წერილი კარგია, მითხრა მან: ახლა კი შკოლაში წავიდეთ.

მაწაფეებს გავეცანი ისე, როგორც რიგი და წესი მოითხოვდა. მკამდინ ყმაწვილები სხვა დასხვა ოთახებში სწავლობდნენ. დაინახე, თუ არა წინამძღვარი, მაშინვე წამოდგნენ; თითოეულს მათგანს რიგ-რიგად გამაცნო, შემდეგ დიდის მორიდებით დასხდნენ ისევ თავიანთ ადგილზედ. უმცროს კლასში ერთი პატარა ქალი ისეთი ლამაზი და ჰკუიანი მომეჩვენა, რომ ხელი გაუწოდე, მაგრამ ხელის ჩამოართმევას, როგორც შევიწინე, არა ესმოდა-რა და ხელზედ მაკოცა.

ის გრანდის ქალი ყოფილიყო და ძალიანაც ამაყობდა თავის შთამომავლობით. მისი უფროსი დაც მონასტერში სწავლობდა, მაგრამ სხვა კლასში იყო.

მასწავლებლებად იყვნენ ექვსი მონაზონი. სამი ამათავანი კარგი ნასწავლი იყვნენ და სამმა კი სრულებით არაფერი არ იცოდა, წერასა და წმინდანების ცხოვრების კითხვას გარდა. მათში ყველაზედ უმცროსი მასწავლებელი, სანტა-ლორენცია, ძალიან ლამაზი და ჭკუიანი ახალგაზდა ქალი იყო, თუმცა კი ყველა მის მოწაფეებზედ უფრო ამაყი. ის იყო ღარიბი, მაგრამ შთამომავლობით დიდი-კაცის ქალი და იმ განძრახვით, რომ იმას სწავლება შეეძლო, მონასტერში უმზითვოდ მიიღეს. მონასტერში შავს სამუშაოს ე. ი. რეცხას, საჭმლის კეთებას და სხვა ამისთანაებს ასრულებდნენ ყოველთვის მონაზვნების-გლების ქალები, რადგან დიდებულის ოჯახის შეი-ლები, რომელნიც აქ რომლისამე უბედურების და სხვა მიზეზების გამო შემოდრიოდნენ, იმდენად თავს არ დაიმდაბლებდნენ და დაიმკირებდნენ, რომ საინები და საცვლები ერეცხათ. **მ**უ კი ოდესმე ამისთანა შავს სამუშაოს შეუდგებოდნენ, ეს იყო მხოლოდ იმათი ნება-ყოფლობით თავის-თავის სასჯელის მიღება; მაგრამ მასწავლებლების გარდა, ყველა თავის სენაკს ალაგებდა და სწუმენდდა ხოლმე, თუ კი ოდესმე საჭიროდ დაინახვიდა. **მ**ქვსი მასწავლებელი თავისუფალი იყვნენ ბევრ-გვარის მონასტრის წესის აღსრულებისაგან: ისინი ფეხ-შიშველი არასოდეს



არ დადიოდნენ, როგორც სანტა-ინკარნაცია. შო-
ველთვის ეცვათ წინდები და ბაშპაკები, საცვალსაც
საკმაოდ ხშირად იცვლიდნენ. სანტა-ლორენ-
ცია ძალიან ზრუნავდა თავის სილამაზუნედ; თავს
მშვენიერად ეხურა და ხელებიც თოვლსავით თეთრი
ჰქონდა; კბა ძალიან წმინდა მაუდისა ეცვა.
მთელს მონასტერში, ყველა მონაზვნების წარმო-
მადგენელი იყო. მოწათვები ყოველთვის იმას გამო-
ყავდა მისაღებს ოთახში. მშობლებს სანახავად და
კერაობით ისინი სახლში იმას დაჰყავდა ხოლმე.
მძინა რმ სენაკში, რომელიც უფროსის კლასის
საწოლ ოთახის გვერდით იყო, რომელსაც მხოლოდ
საბელი ჰქონდა სენაკის, თორემ მშვენიერის მეტე-
ლით და მოწათვებისაგან ნაჩუქრის სხვა და სხვა
გვარის ჩანებულისა სამკაულით იყო მოწყობილი.
მე გადამიყვანეს მის მეზობლად სენაკში, რომლის
თანჯარები ბაღისაკენ გადაჰყურებდნენ. ბევრსახუ-
რებოდნენ ორი მონაზონი — გლეხის ქალები.

ამ დროიდგან დღეში ორჯერ დავდიოდი ეკლე-
სიაში, ესადილობდი მოწათვებთან, მონასტრის საზო-
გადო სუფრაზედ დიდ ზალაში, რომლის ერთ ბო-
ლოში მომადლოთ იდგა წინამძღვრისა და ექვსი
სხვა მონაზვნების სტოლი. ისინი შეადგენდნენ
ორდენის რჩევას და მათ უწოდებდნენ დედას. ჰქონ-
დათ თეთრი ყოშების და გულზედ ეკიდათ წითელი
ჯვარი. ღანარჩინნი ოთხმოცდაათი მონაზონი ისე
დნენ გვერდით ორს გრძელ სუფრებთან. შუაში

იღვა სუფრა ოცდაათის მორჩილებსათვის. ზოგ-
ერთს მათგანს ნაცრის ფერი ანუ თეთრი კაბები
ეცვათ; ეს იმაზედ იყო დამოკიდებული, ვის რა
საშუალება და გემოვნება ჰქონდა. სხვებს ეცვათ
შავი კაბები და თეთრი პირ-ბადე. არც ერთს იმათ
განს თმა შეკრეჭილი არ ჰქონია.

მოწაფეები მხოლოდ კვირაობით და დიდს
დღესასწაულებზედ სადილობდნენ მონაზვნებთან. სხო-
მის კი მონაზვნებზედ ერთის საათით გვიან სხდებო-
დნენ ხოლმე სადილად. მასწავლებლებს სასმელ-საჭმე-
ლი კარგი ჰქონდათ და ბლომათაც მიირთმევდნენ,
შკოლის უფროსის, სანტა-ილდეფონსიას წაბა-
ძით, რომელიც ძალიან მსხვილი იყო და თით-
ქმის ყოველთვის სადილობას გარდა სთვლემდა. მალე
შეგნიშნე რომ სანტა-ლორენციას კარგი სმა და ჭამა
უყვარდა და ცხოვრებაში უნაკლოვანება. ის
სრულიად საჭიროდ არ რაკხდა თავის თავის დასჯას,
როგორც სხვები იქცეოდნენ ამ შემთხვევაში. შკლესი-
აში კადნიერად უფრო იღვა, ვინემ სასოებით. სარწმუ-
ნობებაზედ ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო ესიამოვნებო-
და ამ ქვეყნიურს ცხოვრებაზედ ტიტინი და ჩემი ფორ-
ტუბიანოზედ დაკვრა. სანტა-ილდეფონსიაც ამ შეხე-
დულობისა და გემოვნების იყო; ამისათვის არც მას
და არც მის საყვარელს სანტა-ლორენციას მკაცრი
წინამძღვარი არ უყვარდათ, რომლის გამოც წინამ-
ძღვარი შკოლის დასახელებად ძალიან ძვირად დადიოდა.

მე ძალიან გულსმოდგინედ და წარმატებით



ვასწავლიდი ჩემს მოწაფეებს, მაგრამ შინაურულად ვერ ვექცეოდი, ვერც დაუახლოვდი მათ, რადგან ჩქარს ისპანიურს ენაზედ ლაპარაკს ვერ შევეჩვიე და ყოველთვის ამის გამო ვსთხოვდი ნელად ელაპარაკნათ. ამას გარდა სხვა სამუშაოც ბევრი მქონდა: ყველას უნდოდა მუშიკის და ხატვის სწავლა და კეთილ-სინიღისიანად ოცდა-ორის მოწაფის სწავლება ყველამ იცის, მეტად ძნელია.

როცა საქმეში ხარ გართული, დრო მალე გარბის. თუმცა დაღონებული ვიყავ ბარბი ავენენტიის მოგონებით, მაგრამ დაჩაგრულს თავს ვინუგეშებდი იმ წარმოდგენით, რომ სრულ-წლოვანი შევიქნები თუ არა, მონასტერში ერთ დღესაც აღარ დავრჩები მეტქი.

V.

ზავიდა ორი წელი და დადგა ჩემთვის ოცნებით წარმოსადგენი განთავისუფლების დრო, მაგრამ მოულოდნელის უბედურის შემთხვევის გამო, არ შემეძლო მესარგებლებინა თავისუფლებით, თუმცა დიდი ხანია ამაზედ ვფიქრობდი. დილით, ჩემის დაბადების დღეს, წინამძღვარი მკვდარი ნახეს თავის საწოლში. შუკანასკნელს დღეებში ის ცუდად გრძნობდა თავის თავს, მაგრამ ავად მყოფობა არავისთვის არ შეუჩივლია და ამის გამო მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ყველა გააკვირვა. მონასტერში ისეთი არეულება

შეიქნა, რომლის აწერა ძნელია. მთელი დღე რებსა სცემდნენ და თითქოს რაღაც სასწაულით აებათ ყველას ენება. მონაზვნები, რომელნიც არასოდეს ერთს სიტყვასაც არ იტყოდნენ, ახლა უეცრად ალაპარაკდნენ. ლაპარაკობდნენ იმაზედ, თუ ვინ უნდა ჰყოფილიყო წინამძღვრად.

ნამეტანი სიტყვებას გამო, განსვენებული დამარხეს მეორე დღეს, ეკლესიაში თალის ქვეშ, საშინელ ბნელ შენობაში, რომელზედაც ეხატა მაცხოვარი და სხვა და სხვა წმინდანება საოცარსა და საშინარს კრკალებში ჩასმულნი, რომელნიც შეადგენდნენ ისპანიის ეკლესიების განსაკუთრებას. ეკლესიასთან იდგა მშვენიერი მარმარილოს ძეგლები ისპანიის სხვა და სხვა დიდებულის გვარის პირთათვის, რომელთაც თავიანთი სასაფლაო მიჩენილი ჰქონდათ. მონაზვნებს კი ეკლესიის გარშემო მარხავდნენ და მათ საფლავზედ უბრალო ხის შავს ჯვარს დაასობდნენ ხოლმე.

არ შეეცდები, ვგონებ, ვსთქვა, რომ მთელს მონასტერში მარტო მე დავსტიროდი გულ-წრფელად წინამძღვარს; სხვები კი მას პატივს უფრო სცემდნენ, ვინემ უყვარდათ; მართალია უკანასკნელს დროს წინამძღვარი სცდილობდა შეემცირებინა მისგან წინეთ დადგენილი სასტიკი წესები, მაგრამ მონაზვნები მაინც ვერ მოიმაღლიერა. ჩემთვის ძალიან კეთილი იყო, თუმცა ჩვეულებრივ თავ-დაჯერით კი მექცეოდა; ძალიან შევწუხდი, მაღლობის თქმა რომ ვერ მოვასწარი. რამდენისამეთვის განმავლობაში მე ვიყავი მო-



ნასტერში მეორდანედ და ამიტომაც წინამძღვრის წესის აგება დროსაც მე ეუკრავდი. მონაზვნები მშვენიერად გალობდნენ. წესს უკებდა თვითონ არხიებისკობოსი. როცა კუმო ჩაუშვეს საფლავში და არხიებისკობოსმა აკურთხა, მონაზვნები გარს შემოეხვივნენ საფლავს და ნაკურთხის წყლით მოასხურეს. შემდეგ დაუკარი გლოვის მარში, რომელიც მონაზვნებს თავის დღეში არ გაეგონათ.

მეორეს დღეს შეიკრიბა ორდენის რჩევა, ახალის წინამძღვრის ამოსარჩევად. რჩევა შესდგებოდა ექვსის მონაზვნებისა და არხიებისკობოსისაგან, რომელსაც ორი ხმა ჰქონდა, ერთი თავისი და მეორე, როგორც ხელმწიფის წარმომადგენელს, ორი დიდებული პირებისაგან: ერთის გერცოგისა და მარკიზის და ორის იმ შთამამავლობის წარმომადგენელისაგან, რომელთაც ეს მონასტერი დაუფუძნებიათ. სანტა ლორენცოა, რომელსაც მე დაუმეგობრდი, ძალიან აღშფოთებული იყო წინამძღვრის ამორჩევის მიზეზით და მითხრა, ორი პარტია არის შემდგარიო: ერთს სურს ამოირჩიოს გულ-კეთილი სანტა ილდეფონსია, მეორეს სანტა-ბარბალე, დიდის-ხნის მონაზონი, სახელ განთქმული თავის კეთილ-მოქმედებით. როგორც ეტყობოდა, იმას გამოირჩევდნენ, ვისაც არხიებისკობოსი ისურვებდა, რადგანაც მას უფლება ჰქონდა გადაედვა არჩევანი იმ დრომდინ, სანამ ყოველ გვარის მანქანებით არ მზრობდა რჩევის უმრავლესობას.

— პრეზისკოპოსი ისე მოიქცევა, როგორც გერკოგინია მნორიუსი ისურვებს, სთქვა ლორენციამ დაიმედებულის ღიმილით.

გერკოგინია იყო დედა ერთის ჩვენის მოწაფეთაგანის და ვიცოდი, რომ ლორენცია ხშირად დადიოდა მის სახლში.

— როგორ ფიქრობთ, გამოიჩვენებ სანტა-ილდეფონსიას? ვკითხე მე.

— რაც გავლენა მქონდა მოვიხმარე მისდა დასახმარებლად, მიპასუხა მან.

— იქნება თქვენ ამოვიჩიონ, დამ?

— შესაძლებელი იყო ამოვეჩიეთ, მიპასუხა ლორენციამ, მაგრამ ჯერ ჩემი რიგი არ დამდგარა.

— მოხარული ვიყავი, რომ სანტა-ილდეფონსიას ბევრი მომხრეები ჰყავდა და თუმცა ის იმდენად სუსტის ხასიათის იყო, რომ წინამძღვრად არ გამოდგებოდა, მაგრამ მაინც ამოვიჩიეს და მისი ადგილი ორდენის რჩევაში მისცეს ლორენციას. ლორენცია ოცდა-ხუთის წლის იყო, მაგრამ მაინც დედა უნდა დამეძახნა. ძხალს ადგილზედ ღირსეულად ეჭირა თავი, თითქო ყოველთვის მომლოდინე იყო ამ პატივსაცემის ადგილის და იმდენი ჭკუა და რიგიანობა გამოიჩინა, რომ მე ვეღარ ვსცნობილობდი ადრინდელს ლორენციას. შეიქნა ჩვენის შკოლის უფროსად და წინამძღვარის პირველი რჩევის მიმკვმიც ის იყო. შევლანი შესცქეროდნენ მას, როგორც მომავალ წინამძღვარს.

მისარგებლე მით, რომ წინამძღვარს ვუყვარდი,



ვუანბე ყოველივე გარემოება ჩემის მონასტერში მე-
 მოსვლის; განთავისუფლების და გამოსვლის სურ-
 ვილიც გაუმქლავნე. მოველივე მოძისმინა, მაგრამ
 ეტყობოდა ძალიან გააკცა ამ ამბავმა. ძემა შემასხა,
 რომ ამაზედ არაფერის არაფერი არ მოთქვამს
 აქამდის და შემპირდა, ახლავე მამას მივსწერ ამაზედაო.
 წინამძღვარის სიტყვები მეორე დღეს ლორენცამ
 მეგობრულის კილოთა განმიმეორა; მაგრამ ეს
 აღთქმა, როგორც ბოლოს გამოჩნდა, სულ სიცრუე
 იყო. მთელის წლის განმავლობაში, წინამძღვარი და
 ლორენცია მანანავებდნენ ცრუ იმედებით. ხან მარ-
 წმუნებდნენ, რომ მამა იწერება და გვპირდებაო ერთის
 თვის შემდეგ შენდა წასაყვანად ჩამოსვლასო; ხან
 გამოძიებადებდნენ: ავად გახდაო, თავის მოკვანურობა
 ორი კვირით გადადვო, ან ერთის თვით და სხ. სულ
 ამ სიცრუეებს ისე უბრალოდ და გულ-წუკლავით
 ლაპარაკობდნენ, რომ მე დაბრმავებული ვერწმუ-
 ნებოდი.

ამ ახლის წინამძღვრის მმართველობის დროს,
 მონასტერმა სულ სხვა სახე მიიღო. ამგვარ და-
 წესებულებაში, ყოველ გვარი ცვლილება შეადგენს
 სასიამოვნო გადასხვაფერებას ერთნაირის მოწყენილის
 ცხოვრებისას, რომელიც იქ სუუვეა. მეტა-მეტს
 თავისუფლებას მოსდევს სიმკაცრე და სიმკაცრეს
 თავისუფლება. თავდა პირველად შესცვალეს მუდამ
 დადუმების წესი, რომელიც ყველაფერზედ უფრო სამ-
 ძიმოა ქალისათვის; და როგორც მონაზვნებმა დაიწ-

ყეს თავის ნებისად ტიტინი, რასაკვირველია, სი-
ვოდნენ თავის მდგომარეობაზედ. ზოგს სურდა კარგი
საჭმელი, ზოგს წმინდა ჰაერი, სუჯთა საცვალი და
საბონი. სწევები მკაცრს ეპიტიმას ეწინააღმდეგებოდნენ
და სხ. შევლაზედ საკვირველია ია იყო, რომ მის
მონაზვნები, რომელნიც წინეთ მეტის-მეტის მკაც-
რობით განირჩეოდნენ, ახლა ყველაზედ მეტს ჰყვი-
როდნენ სიმკაცრის წინააღმდეგ.

ახალმა წინამძღვარმა, რომელმაც ხორცეულად
წამება არა სწამდა, მონაზვნებს ნება მისცა ეჭამათ
კვერცხი, თევზი, ერბო, შინაური ფრინველები, ნა-
ნადირევი და ჩვეულებრივის წყლის ნაცვლად სას-
მელად გაუჩინა ლიმონადი. სუფრაზედ ღვინოც გა-
მოჩნდა, როგორც ამბობდნენ ექიმის რჩევით სუს-
ტის აგებულების მონაზვნებისათვის.

ზანსვენებულს წინამძღვარის მართველობის
დროს, ერთი ექიმიც არ შემოსულა მონასტერში,
ახლა კი ყოველ დღე დადიოდა ახალის მოღის ექიმი.
ამ ალერსიანის ხნიერის ადამიანის სიარულმა, რომ-
ელიც მონაზვნებს უამბობდა ხოლმე სევილიის და
მადრიდის ახალ-ახალ ჭარებს, აღადგინა დიდისხნის
დახშული და მოკვდინებული კვლუცობა მეუღაბნო-
ებისა. ბევრმა მონაზონთაგანმა ზრუნვა დაიწყეს თავის
სილამაზებზედ, გულ-მოღვინედ პირს იბანდნენ, წინ-
დები და ბაშმაკებიც ჩაიცვეს. მათ ახირებულის თავ-
სახურავის ნაცვლად, მშვენიერად, კვლუცად თავი
მოიბრთეს. ამასთან არჩევში გამოხატებნეს, რომ წეს-



დებულების ძალით, იმათ უნდა ეცვათ თეთრი კა-
ბები, შავი ყოშებით და გულზედ უნდა წითელი ჯვრები.
ეკიდოსთ. მამოჩნდა, რომ შავი კაბები ახლად შემო-
ღებული იყო მხოლოდ ეკონომიისა რვის. მდიდარმა მო-
ნაზვნებმა მაშინვე გაიხადეს უწინდელი კაბები და სხვებ-
მაც მათ დაუყონებლივ წაბადეს. ზოგიერთნი ისე
შორს წავიდნენ, რომ ბაწრის ნაცვლად, რომლი-
თაც ისინი კაბებს იკრამდნენ, ახლა მშვენიერი
აბრეშუმის სარტყლები გაიკეთეს, გიშრის კრიალოს-
ნებით და სპილოს ძვლას ჯვარ-ცმით დადიოდნენ.
მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი ცვლილება ის იყო,
რომ მონაზვნებს ნება ჰქონდათ მონასტრიდგან გა-
მოსვლის. აღრინდელის წინამძღვრის დროს, მასწავ-
ლებლებს გარდა გამოდიოდნენ მონასტრიდგან
მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიცვალებულის
შესახებ რიგის მიცემა საჭირო იყო, მაშინაც მხო-
ლოდ იმ პირობისათვის, რომელნიც ეკუთნოდნენ
იმ წარჩინებულს მთამამავლობას, რომელნიც მონა-
სტერს შემწეობას აძლევდნენ ხოლმე. ახლა კი მუ-
დამ გამოდიოდნენ ავად-მყოფების მოსაველეოდ ქი-
რით და გაიძმა ყოველგნით მათი ქება, რომ კარგი
მოვლა იციანო ავად-მყოფების და როგორც კი ვიშვე
ავად გახდებოდა მაშინვე იმათ წაიყვანდნენ. როცა
მონაზვნები დაბრუნდებოდნენ ხოლმე, თან მოქონ-
დათ რომანები და გაზეთები.

ღარწმუნებული ვარ, სანტა-ლორენციასთვინ
'ომ არ შემენიშენინა და არ შემეჩივლა განთავი-

სუფლების სურვილი, ძალიან ადვილად შემემდრო ამ დროში მონასტრიდგან გაეპარულეიყავ. ჩემდა საუბედუროდ, ყველაფერში ვერწმუნებოდი, რაც უნდა ეთქვათ ჩემის გამოშვების შესახებ. შმათგანსი მიზნები სრულად ვერ შევნიშნე, რასთვისაც სანტა ლორენცია მკავებდა მონასტერში. ამასთან სხვა მიზნებიც ყოფილიყო, რომელშიაც ლორენცია სიცილით გამომიტყდა. მარწმუნებდა, რომ უშენოდ შკოლას არსებობა შეუძლებელი არისო. მართალია, მე ისე გულს-მოდგინედ ვასწავლიდი, რომ მთელს ხევილიაში ხმა გაერკელდა: ძარმელეტის მონასტერში მშვენიერი ინგლისელი მასწავლებელიაო და ორის წლის განმავლობაში მოწაფეების რიცხვს ერთი იმოდენი მოემატა. ამიტომაც იძულებული ვიქავი მუხიკის მასწავლებლად ამეკენა თანა-შემწე და გამოვარჩიე სანტა ინკარნაცია, რომელმაც კარგად დაკვრა არ იცოდა, მაგრამ როგორმე ფორტეპიანოზედ ჩხარუნი მაინც შეეძლო. **ოჲ!** რომ იცოდეთ რა ნაირი გასაოცარი ცვლილება მოხდა ამ დროში სანტა ინკარნაციაში! წყნარის, მორჩილის, დაუძღვრებულის და ფერ შიხდილის სანტა ინკარნაციის ნაცვლად, რომელიც ლულუნებდა შტრედსავით და ჩემის გულისათვის სიკვდილს ნატრობდა, ახლა ჩემს თვალ-წინ ეხედავდი მხიარულს ახალ-გაზდა ქალს ბრწყინვალე თვალებით და ვარდის ფერის ლოყებით. შვნ შიშველი აღარ დადიოდა, ხმარობდა სუნნელიებით ნაკურებს ცხვირ-სახოცს და ჩუმ-ჩუმად პაპი-



როსსაც სწევდა. ბავლილ დროში ის არაფის
 უნბობდა თავის წასრულს თავ-გადასაეალს და ახლა
 კი მე გამიმქლავნა, რომ მისი მამა ინგლასელი ღვი-
 ნის ვაქარია სველიაში, რომელიც ყოვლის ღონის
 ძიებით ეწინააღმდეგებოდა მის მონაზვნად შედგომას.
 ისიც მიანბო, რომ მონასტერში შემოვედიო უბე-
 დურის სიყვარულის გამო და მერხედ ბევრს ვნანობო
 ჩემს უგნურობაზედ; მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ
 ახალი წინამძღვარი მართავსო, სრულიად დაუმორ-
 ჩილდიო თავისზედს. შოველთვის, როცა მოწაფეებით
 მონასტრიდგან გამოდიოდა, მამას ნახულობდა; იქი-
 ღამ დაბრუნდებოდა რომანებით და გაზეთებით ჯიბე
 გავსებული. მრთსაც და მეორესაც მაძლევდა საკით-
 ხავად და ეს იყო ჩემთვის დიდი ნუგეში. ჩემგან
 თხოულობდა დამეძახნა მისვის ნატტი—მისი
 მონაზვნის შემოკლებული სახელი.

ნამეტნავი იქნება, მაგრამ მაინც მოგახსენებთ,
 რომ ზოგი ერთი მონაზონი ეწინააღმდეგებოდნენ იმ
 თავისუფლებას, რომელიც ახალმა წინამძღვარმა
 შემოიტანა; ზოგი ამ შემთხვევაში იქცეოდა გულ-
 წრფელად და ზოგი კი მხოლოდ იმისათვის, რომ
 წინააღმდეგობა გაეჩინა. ლორენციამ დაარწმუნა
 უმაღლური მონაზვნები, რომ ის სრულიად თანა
 უგრძობს მათ და არ მოსწონს თითქო ბევრი რამე,
 რაც მონასტერში ამბავია. იმავე დროს წინამძღვარსაც
 აგონებდა შეემსუბუქებინა მონასტრის წესები. მან
 კარგად იცოდა, რომ მონასტერში მალე შემოიღებ-

დნენ უწინდელს წესებს და ამისათვის აღრინდებოდნენ მკაცრად ეჭირა თავი. ეს მისი ყოფა-ქცევა მოხერხებული იყო, რადგანაც თითქმის მას წინამძღვრის მოქმედება არ მოსწონდა და პასუხის-გებისაგან განთავისუფლებას ფიქრობდა, ნამდვილად კი თავის კანდიდატურას ამზადებდა.

ნატტიმ პირველმა გამიმჟღავნა ლორენციას პირ-მოთხოვნა. მრთხელ საღამოზე, როცა მოწაფეებმა დაიძინეს, მე ვიყავი ნატტის ოთახში; ის ლოკინზედ იწვა და პაპიროსს სწევდა. შეცრად წამოიძახა:

— რა უგნური ბავში ხართ, მერსი, რომ ლორენციას ყველა წიგნები გჯერათ! იმას ფიქრშიაც არა აქვს თქვენი აქედგან გამოშვება.

— მაგით რა გინდათ სქთვით? ჩაკვითხე შეწუხებო.

— მამა თქვენი თქვენთვისა წელიწადში ას გირვანქა სტერლინგს იხდის და კვლავაც შეგვებირდა შემოტანას, თუ მონაპუნად შედგებით; ამას გარდა თქვენი აქედარჩენა იმ სარგებლობისათვის იღირს, რომელიც შკოლისათვის მოგაქვთ.

— თქვენ ვგ ვინ გითხრათ? ჩავიბუტბუტე მე.

— მამა თქვენი რომ მოვიდა, მე მაშინ წინამძღვრის ოთახში ვიყავი. წინამძღვარმა გითხრათ, რომ მამა-თქვენს თარჯიმნად ერთი პატრი მოჰყვალა, მაგრამ ვგ სიცრუეა. მე ვიყავი მაშინ-თქვენისა და წინამძღვრის თარჯიმანი.

— აქამდის რად მიმალავდი ამ ამბავს, ნატტი?



— ნუ მიჯაერდები, წამოიძაბა ნატტიმ, ჰაპიროსი გაავლო და ყელზე მომეხვია. შიცი ჩამომართვეს, არასოდეს არ მეთქვა თქვენთვის, რაც გავიგონე, მაგრამ ისე მძულს ლორენცია თქვენდამი პირ-მოთხრობითათვის, რომ გადავსწვიტე სრულიად გამოვანძვარო ის.

— მითხარით ყველაფერი, ნატტი, რაც იცით, ნურათფერს ნუ დამიძალავთ, წამოვსტკვი მე, თქვენ არ იცით ნამდვილის შეტყობა ჩემთვის რა საჭიროა.

— ძარგი, მაშ ყველაფერს გეტყვით, მაგრამ ნუ აღშფოთდებით და კვლავ სამაგიეროც მოუხერხეთ რამე. **თუ** თქვენი გაშვება არ უნდათ, მაშ თქვენ მოიგონეთ, ვითომ მონაზენად შედგომა გსურთ. როცა მორჩილი შეიქნებით, დიდი თავისუფლება გექნებათ და გაპარვის საშუალებასაც იპოვით. **თუ** არა, მონაზენადაც რომ დარჩეთ, მაშინაც არ იქნებით ძალიან უბედური. ჩვენ ახლა კარგა მხიარულად ვსცხოვრობთ. ამას გარდა მამა-თქვე არ უყვარხართ. ის არწმუნებდა წინამძღვარს, რომ ჩემი ქალი გოველს ადამიანზედ უფრო ცოდვილი არისო და ეგონებ მისს ჭკუაზედაც არ იყოს, რადგან დედამისი ჭკუაზედ შემცდარი მოკვდაო. ამიტომაც გთხოვთ მიიღოთ ის, როგორც შეშლილი და თუ მის მორჩენას შეიძლებთ და მონაზენად შედგომასაც შეაგონებთ, იმ შემთხვევაში მე შემოვიტანო ათას გირვანქა სტერლინგს. ღარწმუნებული ვარ, მონასტრის ცხოვრება ჩემს ქალზედ სასარგებლო გავლენას იქონიებსო.

მე მოვისმინე ეს განცვირვებით და გაოცებით სრულებით ვერ გამეგო, რატომ მდევნიდა მამა-ჩემი აგრე უწყალოდ? ნუ თუ მხოლოდ იმისათვის, რომ მე შევიყვარე იმისთანა კაცი, რომელიც მას არ მოსწონდა. ამას გარდა იმასაც ვერ მიმხვდარეკავ, საიდან შეეძლო ათასი გირვანქა სტერლინგის შოვნა და მონასტრში შემოტანა. პარგად ვიცოდი, რომ ის იმდენად მდიდარი არ იყო, რომ ამოდენა ფული ტყვილა უბრალოდ გადაეკრა. შოველივე ეს იმდენად გასაოცარი იყო ჩემთვის, რომ ვიფიქრე, იქნება თვითონ შეიშალა ჭკუილგან მეთქი.

მეტის-მეტის ძალადობით შევიკავე ჩემი გრძობები ნატის წინ, მაგრამ ჩემს ოთახში რომ დავბრუნდი დავეგდე ლოგინზედ და სასოწარკვეთილებით ოხვრა დავიწყე. ახლა კი ცხადად ვხედავდი, თუ რატომ გავიდა ბენენტი მამი-ჩემის სახლიდან ისე, რომ ერთიც არ შემომხვდა. იმას უთხრეს, რომ მე შეშლილი ვარ, და ისიც მომშორდა; იფიქრა უნდა დამიფიწყოს და აღარ იფიქროს ჩემზედ. ნეტავი ვიცოდე, მას მერმედ ის რასა იქმს? მინ იცის, იქნება ცოლიც შეირთო?

— ოჰ! ღმერთო ჩემო! შევეყირე მე ხელების მტყრევით, — რითი დავიმსახურე ამისთანა საშინელი მწუხარება და სატანჯველი!

შეორეს დღეს, როგორც გავიღვიძე, მტკიცედ გადავსწყვიტე, ვისარგებლო პირველის შემთხვევით და გავიპარო ამ მონასტრიდან.

VI.

შაპარვის მოფიქრება უფრო ადვილი იყო, ვინც
 სისრულეში მოყვანა განსაკუთრებით ახალ-გაზდა ქა-
 ლისათვის. მარჯვე მამა-კაცს ადვილად შეეძლო გადა-
 სულიყო ბაღის კედლებზედ, რომლის ახლო იზრდე-
 ბოდნენ მაღალი ხეები, ან გაეზბინა შიგნით დაყე-
 ნებულის კარის მცველის გვერდით და გარეთ მდგა-
 რის მცველისათვის ძალით გასაღები წაერთმია. ესენი
 იარივე ძალიან სუსტი მოხუცი იყვნენ, მაგრამ, რო-
 გორც შეენიშნე, ძალიან გულს-მოადგინელ ასრულებ-
 დნენ თავიანთ მოვალეობას. როცა რომელიმე მონა-
 ზონი ანუ მოწაფე გამოდიოდა მონასტრიდან, იმას
 უთუოდ გამოჰყვებოდა გარედ ალაქაფის კარამდი
 ერთი დედათაგანი და თუ ამნაირის ზედამხედველობით
 არა, ქუჩაზედ არავის გამოუშვებდნენ ხოლმე. როცა
 მნახველები მოვიდოდნენ, გარეთ კარებზედ მყოფი
 მცველი ზარს დაჰკრავდა, შეატყობინებდა შიგნით
 მყოფს მცველს, რომელიც თავის მხრით აცობებდა
 ზართივე რიგის მიმცემს მონაზონს. ის შეხვდებოდა
 მნახველს და მისაღებს ოთახში შეიყვანდა. მონაზე-
 ნების სანახავად დანიშნული იყო ცალკე ოთახი,
 რომელიც მოაჯარით გაკეთილი იყო და ერთის
 მხრით მონაზვნები იყვნენ და მეორეს მხრით მნახვე-
 ლები. მოწაფეები კი თავიანთს ნათესაეებს ნახულობ-

დენ მეორე ოთახში, ლორენციას ზედამხედველობას ქვეშ.

წარმოვიდგინე ყოველ გვარი ჩემის გაპარვის მოსახერხებელი საშუალება და დავრწმუნდი, რომ ჩემის განთავისუფლებისათვის საჭირო იყო უებარი ხერხი და ეშმაკობა; გადავსწყვიტე მეომნა ლორენციასთანვე მისი იარაღით. მე გამოვუცხადე მას: რადგან დედ-მამას ჩემი მონასტრიდან გამოყენა არა სურსთ და არც საშუალება მაქვს მათდა დაუხმარებლად ვიცხოვრო, ამისათვის მზადა ვარ მონაზვნად შევდგე, თუ კი უმზითვოდ მიმიღებენ მეთქი. ლორენციამ განცვიფრებით შემომხვდა. იმე გულ-წრფელსავით ველაპარაკებოდი, რომ ის დავარწმუნე, როგორც ეტყობოდა, რომ მე არა ვიცოდი რა იმ მზითვედ, რომელსაც მამა-ჩემი შეჰპირებოდა. ნაზად გადამკოცნა და შემომცა: შენის ბედნიერებისათვის საუკეთესო გზა გამოგ ჩვეიაო, როგორც ამ ქვეყნიერებაში, ისე საიქიანოსა.

ოჰ! შენ უარგისო მატყუარა! ვიფიქრე მე.

ჩემმა ცბიერობამ არა თუ რაიმე სარგებლობა მომიტანა, სასტიკადაც შევიქენი დასჯილი სიცრუესათვის. სრულებით დამავიწყდა, რომ როგორც მორჩილად მყოფს, მე უნდა ჩამეცვა თეთრი ანუ ნაცრის ფერი ანაფორა. ურამც თუ მხოლოდ კაბა, პალტო და თავსახურავი ჩამომართვეს, ჩამომართვეს საათი და სხვა ყოველი ძვირფასი სამკაულებიც, რომლისა გაყიდვასაც ვფიქრობდი, თუ კი ჩემი განძრახვა შემო-



სრულდებოდა. ახლა აღარ შემიძლო შეარგებლებინა შემთხვევით, მაგალითად, როცა მონასტრის კარები გაღებული იქნებოდა, ქუჩაზედ გავსკვეულიყავ. ჩემის სამოსელით მაშინვე მიცნობდნენ. სვეტიცხოვეში მონახენებს ყურადღებას არავენ არ აქცევენ, მაგრამ მორჩილები თავის სამოსლებში არასოდეს არ გამოდიან, რადგანაც მონასტრის გალაფანს იქით ისინი მორჩილებათ აღარ ითვლებიან. ჩემს ფორმის მორთულობას შეადგენდა თეთრი ხალათი შავის ყოშებით, სარტყლით და კაბიშონით. ბაღში პირბადესაც ვხმარობდი, რომლითაც თავი კეკლუცად მოვირთვდნარჩენს ჩემს ცხოვრებაში არავეითარი ცვლილება არ მომხდარა: სასმელ-აჭმელი ისევე იმეორდა; მხოლოდ დღეში ორჯერ ლოცვაზედ ყოფნის მაგიერად, ვხლა სამჯერ უნდა მომესმინა; თვეში ერთხელ აღსარების ნაცვლად, ახლა ყოველ კვირაში უნდა გაენდობოდნი მომღვარს და ორს კვირისში ერთხელ, სამის საათით ღვთის-მშობლის საკურთხევლის წინ უნდა მელოცნა.

სასოწარკვეთილებამ სრულიად შემეპყრო, როცა დაფინახე, რომ ჩემის ნება-ყოფლობით მე კიდევ უფრო მაგრად ჩავიკეტე ჩემის საპყრობილის კარები; მაგრამ ჩემთვის აუცილებელი საჭირო იყო დამემალა უდიდობა, რომ კიდევ უფრო არ მტენო ჩემის მღვთმარობისათვის. შიხი-ღა საშუალება მჩიებოდა დახსენსათვის, მონახენსად შეემღვარვიყავ და მესარგებლებინა იმ მკირქდის თავისუფლებით, რომელიც

მონაზვნებს ჰქონდათ. რაც შეეხება მონაზვნურ³³ თქმას, ჩემს თვალში აღარ ჰქონდა მას არავითარი უმანკობა და არც ვალდებულებითი ძალა. მონასტერი იყო ჩემთვის საპყრობილე და მონასტრის გამგენი—საპყრობილეს ზედამდგომლები.

სამი წელი და ორი თვე გავატარე მონასტერში, სანამ მორჩილად შევდგებოდი, შემდეგ გავიდა კიდევ ორი წელიწადი, რომლის განმავლობაში შესამჩნევი არა მომხდარა-რა. მოწაფეების რიცხვი შეიქმნა სამოცდა-ათამდის; მეტის მიღება არ შეგვეძლო, რადგან საკმაო სადგომი არ გვქონდა და ამის გამო განიძრახეს ახლის სადგომისაშენება. მანითქვა სახელი ჩვენის მონაზვნების სასიამოვნო ცხოვრებაზედ; ამის გამო მორჩალების რიცხვი გამრავლდა, თუმცა წმინდათა ცხოვრებისადმი ლტოლვილებმა მათში სრულიადაც არ ჰყოფილა. მორჩილთ უმრავლესობა დიდკაცთა ოჯახებიდან იყო. მონასტერში მყოფი ქალები ეკუთვნოდნენ ორს კატეგორიას: ერთს შეადგენდა გაუბედურებული არსებანი, რომელთაც ცხოვრებაში გამოეცადათ ფრიად სამძიმო მწუხარება, მეორეს-ლარიბის მშობლების ახალ-გაზდა ქალები, რომელთათვის დედ-მამას დიდი მზითვის მიცემა არ შეეძლოთ. როცა ისპანიის დიდებულს ოჯახში იმყოფებოდა რამდენიმე ქალი, მშობლები ყველაზედ მახიანჯს ეკლესიას შესწირავდნენ. ახალ-გაზდა ქალი ემორჩილებოდა დადგენილს ჩვეულებას და ამიტომაც არჩევდა უფრო დადებულს და სიმკაცრით



ნაკლებს მონასტერს. რასაკვირველია, ამ გვარი მონასტრის პოვნა ძალიან ძნელი იყო. ბენედიქტის და ავეუსტინის ორდენების მონასტრებში, თუმცა ნამეტანი მკაცრი წესები არ იყო, მაგრამ პირველ მონასტრებად მაინც არ ითვლებოდნენ. რედვებტორის მონასტრებშიაც იმყოფებოდნენ დიდი ოჯახის შვილები, მაგრამ მონასტრის მძიმე და სასტიკი წესები ყველას აფრთხობდა. ქარმელეტის მონასტრები პირველ მონასტრებად ითვლებოდნენ, სადაც წესები და კანონები ნაკლებად მკაცრი არ იყო, მაგრამ მაინც. შეამსუბუქა თუ არა წინამძღვარმა სასტიკი წესები, მონასტერში შემოვიდნენ ახალ-გაზდა ქალები, რომელთაც მხიარულად დროს გატარება სურდათ, თუმცა სასტიკის წესების სახელი მაინც ჰქონდა მონასტერს. მართლაც, ახალ-გაზდა მორჩილების უმეტესობა ძალიან თამამი და მხიარული იყო, ისე რომ მათმა ბაასმა სრულიად შეარყია იმისთანა სუსტი ხასიათის მქონე მონაზვნები, როგორც, მაგალითად, იყო სანტა ინკარნაცია.

მერ გავბედვ შემეტყობინებია ნატტისათვის ჩემი განზრახვა, ვიცოდდი მისი აზრი და სისულელე; მეშინოდა, რომ მის სარწმუნოებრივს გრძნობებში უეცრად ახალი ცვლილება არ მომხდარიყო და შენანებით არ გაემჟღავნა, რომ მონასტრიდგან გაქცევა მირჩია. მერ დავენდე კიდევ მის უანგარო ჩემდამი სიყვარულს. მე თუ მას ვუყვარდი, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის მოყვარე ქალი იყო და რასა-

კვირველია, ენერგიულს საშუალებას არ იხმარდა ჩემის შეწვევისათვის, რადგან მე ერთად-ერთი ინგლისელი ქალი ვიყავი მონასტერში, რომლის განშორებას ის არ მოინდომებდა, თუმცა კი ხშირად მარწმუნებდა: შენ ჩემგან თავ-ვამოდებულს დახმარებას უნდა მოელოდეო, რადგანაც ძალიან მოხარული ვიქნები და მზადა ვარო, მივაყენო ლორენციას ყოველ-გვარი უსიამოვნებო, მაგრამ მე მაინც ვე-
კობდი.

— მე არ მჯერა, მერსი, რომ თქვენ გულწრფელი კათოლიკი იყოთ, მიიხრა მან ერთხელ, როცა ჩვენ ვისხედით კლასსში, საცა ვასწორებდი მოწაფეების ნახატს.

— რატომ ფიქრობთ ამას?

— ბავიგონე, თქვენ რომ თქვენს ოთახში ინგლისურს გალობას იმღეროდით.

— ბანა სიმღერის ნება არა გვაქვს? წარმოვ-სთქვი მე და წამოვწითლდი.

— რა საკვირველია არა; მაგრამ ეს მე არ შემეხება და ნურც თქვენ გეშინიათ.

— მე არ მეშინია. თქვენ კი გულითადი ფრანგი ხართ, ნატტი?

— ო, - ოჰ, მე რაც გინდათ, ყველაფერი ვარ, მიპასუხა მან მთქნარებით.

ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მომბეზრდა ეს მონასტერი. ნეტავ არ იყო, რომელიმე თვალი მაქცი გადამიტანდეს სველიიიდგან ინგლისში და



ჩამაცმევდეს რიგიანს კაბას, მაშინ მე გავყვებოდი ცოლად ლამაზს ვაჟს, ვინც უნდა იყოს, ოღონდ კი ჩემი ქმრობის სურვილი განაცხადოს.

— მაგნაირი გრძნობა მოსაწონია, შევნიშნე მე სიცილით.

— არ ვხუმბრობ, სწორედ ნამდვილს გეტყვებით.

— მაშ, რატომ არ სთხოვთ მამა-თქვენს აქედგან გაგიყვანოსთ? თქვენი სიტყვებისაგან სჩანს, რომ ის დიდის კმაყოფილებით შეგისრულებდათ ამას.

— რასაკვირველია, მაგრამ უნდა გამოვუტყდე, რომ სულელი ვიყავი და ეს მე არ მინდა. სახლში ყველას ვებრალები და წმინდათ მრაცხვენ. შოველთვის თავს ვაჩვენებ, თითქო ძალიან ღვთის მოყვარე ვიყო.

— მაშინაც, როცა რომანები მოგაქვთ..

— არა, მე ვეუბნები, რომ რომანები თქვენთვის მინდა. მუანზე მამას თქვენი ამბავი და მუდამ თქვენს ქებაში ვარ, თუმცა კი მენანება, რომ ამდენს ხანს მონაზვნად არ შედექით. ძიღვეაც ვარწმუნებ მას, რომ ყოველს ღონის ძიებას ვხმარობ, შევაგონოთ, რაც შეიძლება მალე მონაზვნად შესდგეთ. **მკ** საშინელ ბევრს ვცრუობ!

— ზეტყობათ. მგონია მამა-თქვენი ძალიან გულ-კეთილია თქვენთვის და თქვენც უნდა გიყვარდეთ ის.

— ღიად, ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს სიტყვა-
რული ხომ არაფერია. აი ქმარი რომ მყავდეს და
კარგად მექცეოდეს, შემეძლო საშინლად შემეყვა-
რებინა.

— მამა-თქვენი ტყუილად დაგთანხმებით მო-
ნასტერში შემოვსლაყედ.

— მამა-ჩემი ძალიან მეწინააღმდეგებოდა, იმი-
ტომ რომ თვითონ პროტესტანტია და მეც ამისა-
თვის ვიძალე. სახლშიაც რომ ყველას არ დაეშალა
ჩემთვის, იქნება ჩემს ფანტაზიას ისევ ისე გაეელო.

— ახლა, მამა-თქვენმა რომ წინადადება მოგ-
ცეთ: მასთან გაემგზავროთ ინგლისში, იცხოვროთ იქ
მშვიდობიანად, ვინ იცის, იქნება კვლავაც გათხოვ-
დეთ, დაეთანხმებოდით?

— პრაფრიათვის, დაჩოქილიც რომ მთხოვოს,
მანც არა. აი ვინმე ლამაზი ჭაბუკი, მოსული ტა-
ნისა, შეე-უღვაშებიანი რომ მეტყოდეს ჩემთან
წამოდი, გავიპაროთო, მაშინვე დავეთანხმებოდი, ერთს
წამსაც არ დავფიქრებოდი, იმიტომ რომ ეს ძალიან
შესაქცევი იქნებოდა.

ამ სიტყვებით გაიქცა სამხარეულოში იმის
შესატყობად, თუ რას აკეთებდნენ, რადგან ბოლოს
დროს იმან საქმელების ამორჩევაში დიდი გემოვნ-
ება გამოიჩინა.

მე განძრახვით დავეკითხე ნატტიკა თავის მამა-
ყედ. რადგან შევიტყე, რომ ის პირიანი პროტეს-
ტანტი იყო, განვიძრახე თუ კი მონასტრიდან



გაპარვას მოვახერხებდი, მივსულვიყავ მასთან და მეთხოვნა, რომ მოეცა ინგლისში დაბრუნების საშუალება; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, გადიოდა კვირეები, თვეები და ერთი შემთხვევაც არა მქონია შემესრულებინა ჩემი განძრახვა, თუმცა მ'ად ვიყავი თავ-განწირულებით ძალა მომეხმარა გარეთ კარების გასაღებათ, თუ შიგნით კარებიდგან ბედნიერად გამოვიდოდი. აგრე გაიარა ერთმა წელმა და ჩემი მაცდურობის პირველმა პერიოდმაც განვლო. მორჩილების აღთქმა დაედევ და მეორე მორჩილების ხარისხედ გადავედი. ახლა მეცვა შავი ანაფორა თეთრი ყოშებით. თითქმის ამავე დროს წინამძღვარი ავად გახდა წყალმანკით. მქიმმა თავიდანვე სთქვა, იმისი მორჩენა შეუძლებელიაო. ამიტომაც მონასტერი ხელ-ახლად არჩევანის ციებაში იყო და ყველანი შესტკეროდნენ ლორენციას, როგორც მომავალს წინამძღვარს.

მრისთვის განმავლობაში, წინამძღვრის ავად-მყოფობის დროს, ლორენციამ არაერთარი მონაწილეობა არ მიიღო მონასტრის გამგეობაში, სკოლას გარდა. ის მეტად ჭკუიანი იყო და წინ და წინ უფლების დაპყრობით არ შეამცირებდა იმ პატივს, რომელსაც მისდამი გრძნობდნენ. ალერსიანობით ცდილობდა მოემადლიერებინა ყველანი და იმათ რიცხვში მეც. საუბეღუროდ, ისე მოხდა, რომ დიდებულის პირების დახმარების იმედი აღარ იყომისი მეგობარი, გერცოგინია მნორიუსი თავისს

უფროს ქალს, ლორენციას აღრინდელ მოწაფეს, ათხოვებდა, მდიდარის გრანდის შალდებრევასის უფროს ვაჟს აძლევდა. ამ გრანდს ჰყავდა მახინჯი ქალი---ბურგოსის კარმელეტის მონასტრის მონაზონი და მან სთხოვა გერკოგინია მონორიუსს გამოერჩიათ ის სევილიის იმავ ორდენის მონასტერში წინამძღვრად. რააკვირველია, ლორენცი, ღარიბის ოფიცრის შვილი, ამისთანა მოცილეს ბრძოლას ვერ გაუწევდა. როცა არხივისკოპოსმა კალმერტის ორდენის წევრების კრებაზედ, ლორენციას შეუტყობლად, წარმოადგინა კანდიდატათ მარიამ ქრისტინა შალდებრევასი და რამდენისამე ენა-მჭევრის სიტყვებით მოიხსენა მისი სიმდიდრე, კავშირი და კეთილ-მოქმედება, ყველამ შეუცილებლად, ერთ ხმად ამოირჩიეს. მერმეთ გაიხმო გაცვიფრებული ლორენცია და შეჰპირდა მისის მხარის დაჭერას წინამძღვრის მომავალს არჩევანში შალადოლიდის კარმელეტის მონასტერში, რომელიც უნდა მომხდარიყო, რამდენისამე წლის შემდეგ. ღრმად გამწარებულმა და გაბრაზებულმა ლორენციამ შეხედა მას რისხვით და გამოვიდა ოთანადგან ფერ მიხდილი, როგორც ანდრიანტი. მისდა ბედათ აღრინდელის წინამძღვრის დროს ის არ ამპარტაენობდა და ამიტომაც მტერი არ ჰყავდა. მონაზვნები თანაგრძნობდნენ მას ამ შეპოხვევაში. მეც მეცოდებოდა, თუმცა მიზეზი მკონდა გაჯარვებული ცოფილვიყავ მასზე. მართლაც ის ისეთი ლამაზი, ნიჭიერი, ეროვანი



და ალერსიანი იყო, ისეთი დიდებული წამორსაღ-
დებობა ჰქონდა, რომ შეეძლო სამაგალითო წინამ-
ძღვარი ყოფილიყო. დაწუნებული იყო, მაგრამ
მანც საკვირველის ღირსებით ეჭირა თავი, განაკრპო
თავის მოვალეობის აღსრულება და მოთმინებით
მოელოდა ახალის წინამძღვრის მოსვლას.

ჩვენ გვითხრეს, რომ წინამძღვარი მახინჯიაო,
მაგრამ გამოგვეცხადა კუზიანი, ოცდა ხუთი წლის
ჯუჯა, დიდის თვალებით, რომელნიც ხან დიდე-
ბულად გამოიყურებოდნენ ხოლმე, ხან აქა იქ
შეკრთომით გადარბოდნენ. დიდის ცერემონიით
შემოვიდა იგი მონასტერში. მონაზვნები ორ წყებათ
დაემწკრივნენ გარეთ ეზოში. წინამძღვარმა გაიძრო
ბაშმაკები და ისე ჩამოვიდა ეკიბაჟიდგან, აუცილებელ
საჭიროდ ჩასთვალა დამორჩილებოდა ორდენის
მკაცრს წესებს; მაგრამ ფეხშიშველობის ნაჩვევი არ იყო
და საშინლად იმანქებოდა, ქვებით მოკენჭულს მიწა-
ზედ რომ ფეხს ადგამდა. ამნაირად ვეღა ამ სცენებმა
მიიღეს სასაცილო ხასიათი. მონაზვნებთაგანი ბევრი
შეშინდა და მაშინვე გაიხადეს ბაშმაკები; მაგრამ
წინამძღვარმა რა კი დაინახა, რომ წინათ ყველას
ეცვათ, შევიდა თუ არა თავის ოთახში, მაშინვე
ფეხს ჩაიცვა. მას შემდეგ თავის დღეში ფეხ-შიშველა
აღარ გაუვლია.

მეგონა, რომ შემეძლებოდა, გამემჟღავნებია
ახალის წინამძღვრისათვის ჩემი მწუხარება, მაგრამ
მალე გამოჩნდა, რომ ის სრულიად წინამძღვრის

მოვალეობის აღმასრულებლად არ გამოდგებოდა. მეტის მეტი ახალ-გაზდა იყო და მასთან ფიციურის ნაკლებლოვანების გამო არ შეეძლო ყველაფერი აეტანა, რააც ორდენის სასტიკი წიებები მოითხოვდა. აკენიღგან შეიხვეული იყო, რომ სხვებმა ევამდლათ მი.თვის; ბურგოსის მონასტერში პირ-ვერობით გარს ეხვივნენ, როგორც წარწიჩებულს, მდიდარი მამის შეილს, ამიტომაც ის იყო ანჩხლი და უჩამოვნო არ ება, თუმც ბუნებით კი გულკეთილი. თვალები მშვენიერი ჰქონდა, რომლის გამო თავი ლამაზათ მიაჩნდა. მართხელ ბოშის მარჩიელმა დედა-კაცმა უწინაწარმეტყველა, თქვენ წმინდა შეიქმნებითო და ეგონა, რომ ახლა წინამძღვრად კეთილმოქმედებისათვის ამომიჩრესო. ღიღი ხანია ოცნებობდა დაფუძნებინა ახალი ორდენი, რომ როგორმე დაემახურებინა წმინდა დედის გვირგვინი მონასტერში რამე ახლის წესის შემოღებისათვის. ხან ჰჳიქრობდა მთელი კურთხევანის შინაარსის მოქარგვას პაპის სამოსელზედ, ხან მოიგონებდა შეეთხზა ტკბილის სასმელის რეცეპტი, ხან უნდოდა ერთიანად ყველა დების დახმარებით დაეწერა იმისთანა სარწმუნოებრივი ეპოპეია, რომელსაც გაეჳასებინა ერეტიკის მილტონის «დაკარგული სამოთხე». მისი განძრახვა ყოველ კვირაობით იცვლებოდა და ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ ექესისთვის განმავალობაში, წარმოუდგენელი არეულება მოახდინა მონასტერში.

VII.

ეს არეულება ჩემთვის სასარგებლო შეიქმნა: მე თანდისთან მეკარგებოდა ყოველივე იმედი და მხნეობა, მაგრამ უეცრად გარემოება შეიცვალა და მე მომეცა საშუალება, ამესრულებინა ჩემი აზრი და გავბარულოვიყავ.

მონასტერში, როგორც ყოველს სხვა დაწებულებაში მაშინ შეიძლება მშვიდობიანობა და მოსვენება, როცა კარგი გამგეობა არის. სევილიის არხი-ებისკოპოსს და გერცოგინია მონორიუსს, უთუოდ, ეგონათ, რომ ახალი წინამძღვარი ლორენციას დაიხლოვებდა და მისი რჩევით ისარგებლებდა ჩვენს ასე გვეგონა და ეს რომ ამხდარიყო, რასაკვირველა, საქმე კარგად და რიგიანად წავიდოდა; ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ლორენცია ხალიით ჩაიგდებდა გამგეობის საქმეს, ოღონდ კი წინადადება მიეცათ მისთვის; მაგრამ წინამძღვარმა თან მოიყვანა ბურგოსიდგან ორი მისი საყვარელი მონაზონი, რომელნიც როგორც უნდოდათ ისე ამოქმედებდნენ იმას. შრთი იმათგანი სანტა როზა იყო მისი ლარიბი ნათესავი, ყმაწვილობიდგან ამხანაგი და გულითადი მეგობარი. მეორე და სანტა შრსულა იყო ჯან-მთელი გლეხის ქალი, წინამძღვრის ძიძის შვილი, რომელიც საყმაწვილიდგან მას ემსახურებოდა და მონაზვნათაც იმიტომ შედგა, რომ მას არ

მოშორებოდა. პირველი ძალიან ანჩხლი, მუდამ გა-
ბუტებული არსება, წინამძღვრის მეგობარი, მრჩეველი
და მესაიდუმლე იყო და მეორე, გამოტეხილად რომ
ვსთქვათ მუახლე იყო, მაგრამ თავის თავზედ ეკო-
ნომიის მოვალეობასაც იღებდა: თაობდა სამხარე-
ულოში, სამრეცხლოში, საკუჭნაოში. წინამძღვრის
სახელით ბრძანებას სცემდა და ამით შეურაც-ჰყოფდა
ბევრის მონაზვნების თემოყვარებას, რომელნიც იმის-
თანავე დიდი ოჯახის შვილები იყვნენ, როგორც
თვითონ წინამძღვარი. რასაკვირველია, იმათ არ
უგონებდნენ და საბრალო წინამძღვარი ყოველგან
თვითონ უნდა დასწრებოდა; რადგან ბევრი სიარული
არ შეეძლო ფეხების ტკივილის გამო, ის როგორც
ავადყოფი კენესით მიჩლახუნობდა და უმადურებას
ხმა მალლა წარმოსთქვამდა. შემდეგ მზარეული და
მრეცხელიც გამოსცვალეს, დააყენეს ისინი, რომელ-
ნიც შრსულას ყველაფერში ეთანხმებოდნენ. სადი-
ლების კეთება აღარინ დღეზედ უარესი დაიწყეს. მო-
ნაზვნებს ისე ურიგოთ ეჭირათ თავი, თითქოს ცელქი
შაგირდები ყოფილიყვნენ. ზოგნი პირბადით და-
ბურული შევირდებოდა სამხარეულოში და გამოი-
ტანდა ყველაფერს, რაც საკუჭნაოში იყო; სხვებმა
სრულიად გასცალეს ხილით სავსე ბაღი. წინამძღვარმა
შესჩივლა არხივისკოპოსს, და მან შეკრიბა ყველა
მონაზვნები და მიექცა მათ დიდებულის სიტყვით;
ყოველის მხრით ისეთი ხველება შეიქმნა რომ
არხივისკოპოსის სიტყვები სრულიად აღარ ისმოდა



გაბრ აზებულო, მოთმინებიდგან გამოვიდა და გაშორდა.

ნატტი, რასაკვირველია, პირველი მოთავეთაგანი იყო ამ არეულობაში. ამ უწყსოებას ის მხიარულად დროს გატარებად სთვლიდა. ღაფიწყდა ლორენციას სიძულილი და მონაზვნების უმრავლესობასთან ერთად ხმა-მალლა დაჰკვიროდა: ლორენცია მოატყვილესო, ის უნდა ყოფილიყო წინამძღვრად. ამ საზოგადო თანაგრძობას იმედი უნდა მიეცა ლორენციას შეურაც-ყოფილის თავმოყვარებისათვის, მაგრამ ის რიგიანად იტყეოდა და თუ არ ახტრობდა უწყსოებას, არც აძლიერებდა; ის მხოლოდ შემთხვევას ულოდინებდა და მანამდინ კი შკოლაში თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა; მაგრამ ერთხელ, როცა შრსულამ რაღაცა უბრძანა მას, მან ხმა ამოუღებლად, დაკეტა ყველა კლასები და შკოლის გამგეობაზედ ხელი აიღო. ნატტიმ და რამდენიმე სხვა მასწავლებლებმაც (ისინი ათამდინ იყენენ) წაბაძეს მის მაგალითს, ისე რომ მე და მოხუცი ზიანა მარტო დავრჩით სამოცდა ათ მოწაფეებთან, რომელთაც ბუნტი შექნეს და გამოაცხადეს, რომ სანამ სანტა ლორენცია არ დაბრუნდება, მანამდინ სწავლას არ შეეუდგებიო.

ამ მოულონელმა ფრიად საუბედურო შემთხვევამ (რომელიც უსათუოდ ლორენციას მომზადებული იყო) სულ ერთიანად შეარყია წინამძღვარის ავტორიტეტი. როზას და ურსულას თან ხლებით მოიბრძინა შკოლაში, სიბრაზით ათროლებულის

საქართველოს
საქართველოს

ხმით უბრძანა მოწაფეებს განეგრძოთ სწავლა. ლის ღონის ძიებით ვსკდილოზდი წესიერება დამემ-
ყარებინა, მაგრამ შეუძლებელი იყო. შფროსი მო-
წაფეები, მარაოების მოგერებით ხმა-მალლა ჰყვიროდ-
ნენ: «თუ კითხვა იცის, თქვენი მოახლე შრსულა
დააყენეთ შკოლის უფროსად.» ღანარჩენი ყველანი
ხმა მალლა იციოდნენ. ეს კიდევ არაფერი: თექეს-
მეტის წლის ღონა ლიუსია პარლამიენტოსიმ, რომ-
ლის ოჯახი აშლილი იყო წინამძღვრის ოჯახთან,
დაიყვირა: თქვენ მალდებრევესებს ისე სიცოცხლე არ
შეგიძლიან, თუ ვინმე შრსულასთანა ავი მაჩან-
ჩალა არ იკოლიეთო. ამისთანა ყბედობისათფს, მე
ვუბრძანე ლიუსიას ოთახიდგან გამოსულიყო, მაგრამ
წინამძღვარმა, რაც ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— მე თქვენ დღე'ვე გამოგაგდებთ შკო-
ლიდგან!

— ღიდის კმაყოფილებით გავემგზავრები,
მიუგო ლიუსიამ და დაცინებით მადლი გაღუხადა:
ყველას ვეტყვი, რომ ძარმელეტის ორდენის სევი-
ლის მონასტერში ახლა მეფობს კუზიანი ჯირკი.

ნატტი ძალიან მიჯაერდებოდა, რომ წინამძღ-
ვარის ავტორიტეტს გამოვესარჩლე, ამისთანა გარე-
მოების დროს; მაგრამ მიზენი არა მქონდა ლორენ-
ციას მხარე დამეჭირა, რომელსაც ჩემთვის არა გაუ-
კეთებია რა, როცა უფლება მის ხელში იყო. მე
ახლა ხელემძღვანელოზდი განსაკუთრებით პირადის



ინტერესებით და ვფიქრობდი: რაკი დაევხმარები წინამძღვარს შაშინ, როცა ყველანი მოშორდნენ, ის ჩემი ერთგული მეგობარი შეიქმნება მეთქი და არც ეცდებოდი. მხოლოდ ჩემის თავიანობის წყალობით შეკოლა არ დაშლილა, თუმცა ერთის კვირის განმავლობაში გამორიცხეს ოცდა-ათი მოწაფე. ჩამდენიმე მორჩილები თავის ნებით გავიდნენ და ოცამდინ ლეთის მოყვარე მონაზვნებმა თხოვნა მიართვეს ორდენის რჩევას გადაიყვანონ ისინი მეორე ქარმელეთის მონასტერში.

ზახელებულმა წინამძღვარმა ჩამდენიმე-ჯერ მოელაპარაკა აზხიებისკოპოსს, შურის გებას ფიქრობდა. მანამდინ მე დამიახლოვა და შეკოლის უფროსად დამაყენა და შემპირდა, მე და სანტა როზა დღეში ორს გაკვეთილს მივსცემთო. ამას გარდა მსთხოვა: სანტა ინკარნაციას შეაგონე როგორმე, რომ დაბრუნდეს ისევ შეკოლაში. მე ამაზე დიდი შრომა არ დამჭირებია, რადგან სანტა ინკარნაციას უჩემოდ კალიან მოსწყენო და ამასთანავე დამეხმარა ლორენციაც რომელი საც განცხრახა სამაგიერო შურის გარდახდა.

რადგანაც წინამძღვარი და სანტა როზა, ლორენციანედ ბევრად უფრო ნასწავლი იყვნენ, რაკ აკვარველია, მოწაფეები მეტს შეიძენდნენ ამ ცვლილებით, რომ წესიერებისა და მშვიდლობიანობის აღმდგენა შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ ეს აღარ ოხერხდა. რომ ეს აღრეულება როგორმე დაეწყინარებინა, წინამძღვარმა განიძრახა აქედამ სხვა მო-

ნასტერში ორმოცი მონაზვნის გაგზავნა და მათ
 ნაცვლად სხვა მონაზვნების გადმოყვანა, მაგრამ,
 რაღაც უბედურად შრსულას წამოსცდა ეს ამბავი.
 მონაზვნებმა ეს განძრახვა გაიგეს თუ არა, ყველამ
 პირი შეთქვეს წინამძღვართან საომრად. ამ დროს
 წინამძღვარს დამხმარებელი და შემწე აჩაფინ ჰყავდა
 იმას არ შეეძლო ძალა რამე ეხმარა, ურჩის
 მონაზვნების წინააღმდეგ; არც პოლიტიკის და სალ-
 დათების მოწოდება შეეძლო დასახმარებლად. ღარჩა
 მხოლოდ ერთი გზა—ეჩივლა არხიეპისკოპოსთან და
 ეს კიდევაც მოიქმედა. მაგრამ მან არ ისურვა ხელ-
 მეორედ მონასტერში გამოცხადებულიყო. მშინოდა,
 რომ ხელ-ახლად არ შეერცხვინათ და არ გაეპატიუ-
 რებინათ. ამიტომაც მონაზვნებს სრულიად წინამძ-
 ღვრის მუქაჲს არ ეშინოდათ და კიდევაც გამხნე-
 დნენ იმ ამბების გამო, რომელიც გავრცელდა სე-
 ვილიაში მონასტრის სკანდალების შესახებ. ამას
 წინამძღვარს აბრალებდნენ და ძრახვიდნენ. ამი-
 ტომაც მონაზვნები არხიეპისკოპოსთან სკდილობ-
 დნენ, რომ წინამძღვარი მოეშორებიათ. შეიკრიბნენ
 სასადილო ოთახში და შეადგანეს წინადადება ორ-
 დენის რჩევის მისართმევად: ისინი თხოულობდნენ,
 რომ რჩევას მოეთხოვა წინამძღვარისათვის დაუყო-
 ნებლივ აღგილიდგან გადამდგარიყო. ამ უბედურ
 დროს ორდენის რჩევა შესდგებოდა სუსტ-მოხუც
 მონაზვნებისაგან, რომელნიც სრულიად ემორჩილე-
 ბოდნენ ლორენციას და მის გავლენის ქვეშ იმყო-



ფებოდნენ. ლორენციამ მიიღო თავის თავ^{ზე}ედ არეულების გმირის როლი; დაარწმუნა მონაზვნები, მიეღოთ გარდაწყვეტილება წინადადებისა დაგვარად და თვითონ წაიღო წინამძღვრის სდხომის მოსამართლეთ განაჩენი.

იყო მშენიერი ავეისტოს დილა და, როცა ედგებოდი სრულიად ფიქრშიაც არ მომსვლია, რომ დადგა ჩემის დიდი ხნის სასურველი განთავისუფლების დღე ხუთიწლის დამწყვედვის შემდეგ. მე და წინამძღვარი ვისხედით კლასის ერთ ოთახებთაგანში, როცა ლორენცია ნელ-ნელა შემოვიდა, წინამძღვარს ცივად თავი დაუკრა და რალაც ქალადი მიართვა.

წინამძღვარი შეკრთა, წამოხტა ადგილიდგან და ამპარტაუნად თავი გარდაიგდო, მერმეთ წარმოსთქვა საშინლად ა.წ.შფოთებულმა და გარისხებულმა:

— სად არიან დები როზა და შრსულა? მე უნდა მოველაპარაკო მათ.

— მრდენის რჩევის ბრძანებით როზა და შრსულა ჩაკეტილნი არიან თავიანთ სენაკებში, მიუგო ლორენციამ გულ-გრილად: იმათ გამოუშვებენ მხოლოდ თქვენთან ერთად ბურგოსში გამგზავრების დროს.

— როგორ გაბედეთ თქვენ იმათი დამწყვედეა ჩემდა უნებურად? რისხვით წამოიძახა წინამძღვარმა.

— მე ჩემი ვალი შევასრულე, დედავ, მიუგო ლორენციამ, ისინი ცულ რჩევას გაძლევდნენ

თქვენ, გაცდენდნენ. მათ მიითვისეს უფლება, რომელიც არ ეკუთვნოდათ და ამნაირად თქვენი ავტორიტეტი ერთბაშად გამოგალალეს. თქვენ უნდა გქონოდათ მოლაპარაკება ორდენის რჩევასთან, მაგრამ ერთხელაც არ შეგიკრებიათ იგი და ჩვენთვის ნება მომეცით გითხრათ — ორდენი თქვენზედ მალლასდგას. ძორმელეტის მონაზვნები არსებობდნენ თქვენზედ წინეთაც და შემდეგშიაც კარგს მდგომარეობაში იქმნებოდა. ჩვენ არ შეგვიძლიან მოგცეთ ნება, რომ თქვენის უნიჭობით ჩვენს მონასტერს სახელი გაუფუჭოთ. რადგანაც თქვენ ცხადათ გამოააშკარეთ, რომ მონასტრის გამგეობა სრულიად არ შეგიძლიათ, ამისათვის ჩვენ ვიღებთ თავის თავზედ გამგეობას, ვითომც თქვენ ავად გახდით, ანუ ჭკუა შეგეშალათ.

— შეუბოვარო ქალო! დაიყვირა ღუბჭირმა და რისხვით ფეხები დააბრაგუნა. ამისთანა ურჩობისათვის ყველას საშინლად დაგსჯით. მე პაპასთან ვიჩივლებ.

— თქვენ კი არა, ჩვენ ვიჩივლებთ პაპასთან, უპასუხა ცხარის კილოთი ლორენციამ. თუ დღესვე არ დაანებეთ თავი წინამძღვრობას და ბურგოსში გაემგზავრეთ, ჩვენ წაველთ პაპასთან დასეთხოვთ გამოგცვალონ. რადგან, ეტყობა, არხივისკოპოსს თქვენი მხარე უჭირავს, ასამდინ მონაზონი წაუღებენ საქვეყნოდ ჩვენს წინადადებას მისს სასახლეში. მაშინ ის ვერ გაბედავს უარი გვითხრას ჩვენს მართლმსაჯულებაში. მოსათქმელებლად გაძლიევთ თქვენ ექვსი



საათის ვადას. მერმეთ მომიბრუნდა მე და დაუმატა:

— მერსედეს, წინამძღვარს ემორჩილეთ მხოლოდ სამი საათი: შემდეგ მთელის მონასტრის უფლება გადადის პორმენტის ორდენის რჩევის ხელში.

შემდეგ ძლივს თავი დასდრიკა და უცბად გაგეშორდა. მე დაღუმებული მოწამე ვიყავ ამ გასაოცარის სცენის. ლორენციას გასვლის შემდეგ, წინამძღვარმა მთხოვა დამეხმარეო. ჩაჯდა სავარძელში და კინალამ გრძნობა დაჰკარგა. ცხადათა სჩანდა, რომ მის მეფობას ბოლო ეღებოდა. ზულ-გრილად რომ მოესაზრა, რაც შეემთხვა, დარწმუნდებოდა, რომ არხივისკოპოსს მისი მიმხრობა არ შეეძლო ორდენის რჩევის წინააღმდეგ, მაგრამ ძალიან გარინხებული იყო და ცხადათ თავის მდგომარეობას ვერ ხედავდა. მხოლოდ ფიქრობდა შური ეგო და წინააღმდეგობა გაეწია უკანასკნელ უკიდურესობამდის.

— არხივისკოპოსი ამ საათში უნდა ვნახო, წარმოსთქვა მან. ის გუშინ საზაფხულო სადგომში გაღვიდა, ქალაქიდგან ორი მილია. მინ უნდა გავგზავნო მასთან?

— ნება მომეცით მე წავიდე, დედავ, მიუგე მე, ვეჩქარებოდი მესარგებლებინა ამდენის ხნის სანატრელის შემთხვევით, რომ გავპარულეო.

— ღიად, ღიად, მერსედეს, წადით, მითხრა საბრალო ქალმა, ეგონა, იმიტომ გამოუცხადე არხივისკოპოსთან წასვლის სურვილი, რომ გულდაგულ მისი სამსახური მსურდა. თქვენ გულ-კეთილი

ქალი ხართ და ჩემი ერთგულიც, როცა ყველანი შემომეცალნენ. თქვენ გენდობით, ახლავე უნდა წახვიდეთ ქალაქს გარეთ არხივასკოპოსთან სასახლეში და უნდა უთხრათ, რომ საშიშარს მდგომარეობაში ვარ, ძალადობას მემუქრებიანთქო.

— შევლაფერს ვუანბობ, რაც ვნახე, მოუვუგე მე. მოუთმენლობისაგან ვიწოდო, მინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე დამეღწია თავი მონასტრიდან.

— ისიც უთხარით, რომ თქვენს წინ შეუჩაყოვია მომაყენეს. შრთი წამიც არ დაჰკარგოს, ახლავე მოვიდეს აქ და პაპასაც ტელეგრამით აცნობოს: ძარმელეტის ორდენის რჩევა დაითხოვოს. შემომხედა ტანისამოსზედ და მითხრა: აგრე წასვლა არ შეგიძლიათ.

ნება მომეცით, სანტა ინკარნაციას მონაზვნის ანაფორა ჩავიცვა, უთხარი მე.—ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლება.

— მართალია, მართალი, დაუძახეთ მას ახლავე.

ძარი გავაღე და დაუძახე ნატტის, რომელიც მეზობლად მეორე ოთახში იყო, შემოვიდა თუ არა, კარები შემოვიხურე: მეშინოდა არავის შეემჩნია. მეგონა, წინააღმდეგობას გამიწევდა, მაგრამ, როცა გაიგო საქმე რაში იყო, მხოლოდ გაწითლდა გოცუებისაგან და მერმე ეშმაკურად თვალი დამიპარპალა.



წინამძღვრის თან დასწრებით ტანისამოსი შევიცვალე. ჩავიცვი თეთრი ანაფორა, შავი სტიხარი წითელის ჯვრით, თეთრი საყელო, სარტყლის ნაცვლად ბაწარი, თავსახურავი და პირბადე, რომელიც თმას მიმალოვდა. ხელი მაგრათ მოეუჭირე ნატტის, რომელიც ჩაცმაზედ დამეხმარა და შემდეგ ყურში ჩამიჩურჩულა:

— პირბადე ჩამოუშვი, თორემ საშინელი აღშფოთებული სახე გაქვს. დანახვით ისეც დანახავთ.

ამასობაში წინამძღვარმა წერილი დასწერა, მომაწოდა ორის ოქროთი და მითხრა:

— შვიკაჟი აიყვანეთ, ერთ წამსაც ნუ დაკარგავთ. პირბადე ჩამოიშვით და თან გამომყევით.

ხელი მომიკიდა და ოთახიდან გამომიყვანა. საშინლად მეშინოდა, ორდენის რჩევას არ ებრძანებია კარის მცველისათვის, რომ მე არ გავეშვით, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო შეიქნა: ჩვენ მშვიდობიანად გავიარეთ შიგნით კარები და როცა გარედგან ალაქათის კარის პატარა კარი გაგვიღეს, წინამძღვარმა ხელი დამკრა ბეჭებზედ და მითხრა:

— წადი, ჩემო შვილო, ღმერთმან დაგლოცოს და გაკურთხოს.

როგორც გავიგონე კარები დახურეს, მაშინვე გავკურცხლე რაც ღონე და ძალა მქონდა, მაგრამ მალე გონზედ მოვედი და ნელ-ნელა შეუდექი გზას; რამდენიმე ქუჩა ჩავიარე და გაეჩნდი ბაზარში, სადაც ერთს ვაჭარს ქალს დავეკითხე: სად დგას ნატტის

მამა მეთქი. ამის შემდეგ მალე გავჩერდი სახლის წინ, რომელზედაც ეკიდა ფიცარი ინგლისურის ზედ-წარწერით: « შილიამ ბარტრიჯი და მისი ვაჟი, სირაჯები » შევედი ეზოში და დავეკითხე ინგლისურად ხნიერს კაცს, რომელსაც კილოფის ქული ეხურა, თეთრი ტილოს ჟოკეტკა ეცვა და სიგარას ეწეოდა.

— არ შეგიძლიანთ მითხრათ, შინ არის მისტერ ბარტრიჯი?

— თვითონ მე გახლავარ ბარტრიჯი, მომიგო მან თავის დაკვრით და მაშინვე დაუმატა შეწუხებით: ხომ არა შემთხვევია რა ჩემს ქალს?

— არა, მისტერ ბარტრიჯი, მაგრამ თქვენ, უთუოდ, ვიამბობდათ ის ჩემზედ. მე ვარ ადა ბ... ხუთი წელი ზედი-ზედ ძარმელეტის მონასტერში ვიყავ ძალად დაქვრილი. მოვედი თქვენთან სათხოვნად, რომ მომცეთ ინგლისში დაბრუნების საშუალება. იაეთი აღელვებული ვიყავი, რომ ხმა მიკანკა ლებდა და მისტერ ბარტრიჯს შესაბრალისის ხვეწნით შევსცქეროდი.

— ის ცდილობდა როგორმე მალე დავემშვიდებინე.

— შემოდით მისს ბ...., მითხრა მან და ხელი მომკიდა. — რასაკვირველია, მხალა ვარ გემსახუროთ, თუ კი რასმეს შევიძლებ თქვენთვის. საშინელებაა მონასტრები! ძალიან მენანება, რომ წასრულის არუულების დროს არ დასწვეს ისინი.

შემიყვანა კაბინეტში და სტაქნით ღვინო



მომაწოდა; გული შემიწუხდა და სევდამ მძლია. ცოტათი დავმშვიდდითუ არა, წინამძღვარი მომაგონდა, უნბე მისტერ ბარტრიჯის, რისთვისაც ვიყავი მონასტრიდგან გამოგზავნილი. წერილი და ფული გადავეცი, ვსთხოვე გაეგზავნა არხიებისკოპოსთან სანდო კაცის ხელით, ისე რომ არავის გაეგო, რომ ამ წერილმა მის ხელში გაიარა. ზავზავნა ნოქარი, უბრძანა ჩუმაღ გადაეცა და მაშინვე დამაშინვე დაბრუნებულიყო.

— აბა, ახლა, მისს ბ...., მითხრა დაბრუნებულმა: მიამბეთ თქვენი ამბავი, მაგრამ მეტად ნულარ სწუხხართ. თქვენ მალე დაბრუნდებით ინგლისში.

— შურადღებით მომისმინა ჩემი მოთხრობა და როგორც გამოცდილი და საქმის კაცი, მაშინვე უმთავრესს მის მხარეებს მიაქცია ყურადღება. პირველის შეხედვისათანავე მივხვდი, რომ მასში ვიპოვნიდი საიმედო მეგობარს. ის იყო გულს-მოდგინე პროტესტანტი და გულწრფელად გამიტყდა, ვსწუხვარო, რომ ჩემი ქალი ჯენი (ნატტის აგრე უწოდებდა) მონაზვნად შესდგაო. მე გავხარე: ნატტი მონასტრიდგან გამოსვლის უარს არ არის მეთქი. ჩემი აზრიც შევატყობინე: თქვენ აღვილად დაიბრუნებთ თქვენს ქალს, თუ, რასაკვირველია, ცოტათი ეშმაკობას იხმართ მეთქი.

— თქვენი ამბავი ჩემთვის ძალიან ბნელია, მითხრა მან, როცა გავათავე ლაპარაკი. მამა თქვენი

თუ შეშლილი არ არის, მაშ როცა თქვენ გამწყვდევდით მონასტერში, ის ხელმძღვანელობდა უთუოდ ფულას ანგარიშით, რომელიც თქვენ არ გაგეგებათ.

— თქვენ ამბობთ, მას მეორე ცოლი ჰყავს; თქვენც ერთად-ერთი ქალი ხართ პირველი ცოლისაგან?

— ღიად, დედა-ჩემს ქორწინების, შემდეგ ნახევარის წლის მეტი არ უცოცხლია.

— მემკვიდრეობა რაიმე არ ღარჩენია?

— მე არა ვიცი - რა.

— ჰო! ამას ყოველივეს ჩვენ შევიტყობთ. მე თქვენ მოგვიმთ ვეჭილის ადრესს, რომელიც ამ საიდუმლოს ახსნის. ნაშუადღევს 45 წამხედ მიდის კეცხლის ეტლი მადრიდში, დაუმატა მან და საათს დასცქერებოდა. მანემდის მე მოვასწრებ ჩემს ცოლსა და ქალს გაგაცნოთ და შემდეგ ჩვენ ერთად გავემგზავრებით ინგლისისკენ.

— მისტერ ბარტრიჯი, მე არ მინდა თქვენ ამდენად შეგაწუხოთ.

— მა სრულიად არ შემაწუხებს. მე ხშირად დავდივარ ინგლისში საქმეებისათვის და თქვენის გულისათვის მგზავრობა მეტადრე არ გამიჭირდება. ძლისა თქვენი ხნისა, დიდის კმაყოფილებით დაგითმობსთ რამდენსამე თათის ტანისამოსს; ის ალტაცებაში მოვა, ამისთანა რომანულს ისტორიაში გარეით.

— ჩემს დღეში ვერ გადაგიხდით, მისტერ



ზარტრიჯი, თქვენს გულ-კეთილობას, უთხარი მე
თვალ-ცრემლიანი.

— კმარა. ძალიან მოხარული ვარ, რომ
შემიძლიან გამოგადგეო, მიპასუხა მან.— შინ იცის,
იქნება, თქვენის გავლენის წყალობით, ჩემი ქალი
შინ დავაბრუნო. მაშ, მიბრძანდით ტანისამოსი
გამოიცვალეთ, მანამდის მე ჩემოდანს ჩავალაგებ.

მისტერ ზარტრიჯიმ აღასრულა თავის სიტყვა
და პირველს საათედ, თუთხმეტ წამ ნაკლებ, ესე
იგო, ორი საათის წინეთ იმ დანიშნულს ვადამდის,
რომელიც წინამძღვარს მოწინააღმდეგე მონაზვნები-
საგან ჰქონდა მიცემული, მე უკვე მივდიოდი რკინის
გზით მადრიდში. მისტერ ზარტრიჯე ჩემს პირდა-
პირ იჯდა და არჩევდა ბრადლოს სამგზავრო წიგნში
ლონდნის მოკლე გზას.

VIII.

მე ვმოგზაურობდი მისტერ ზარტრიჯის სახე-
ლით, რადგან ჩემი ვინაობის წერილი არა მქონდა.
შაში ერთი კვრა დავრჩით. მისტერ ზარტრიჯის არ
უნდოდა, ლამეები ვაგონში გამეტარებინა, მარწმუ-
ნებდა: შენთვის ფრიად საჭირო არისო, ჯან-მთელად
და მხნედ დაბრუნდე ინგლისშიო. ის იმდენად გულ-
კეთილი იყო ჩემთვის, იმდენად ალერსიანი და საამუ-
რად მომუსაიფე, რომ მეტად გაკვირვებული ვიყავ,

ნატტი როგორ უწევდა წინააღმდეგობას ამასთანავე კეთილ მამას მეთქი.

მრი დღეც არ გასულა, მისტერ ბარტრიჯი სახელს მეძახოდა და მეც ისე ვექცეოდი, როგორც დიდის ხნის საყვარელს ნათესავს.

სალამოზედ მივედით ლონდონში; გავჩერდით ერთ დიდს ვესტენდის სასტუმროთაგანში. მეორე დღეს დილით საუ.მეზედ, მისტერ ბარტრიჯიმ გამომიცხადა: რამდენიმე ცნობები კიდევ შევკრიბეო.

— ზუშინ წავედი ჩემს კლუბში, მითხრა მან: — და გადავითვალე რე სამღვდელო პირების სია. — თქვენი მეგობარი მისტერ ავენენტი რეკტორად ყოფილა უილტონში, ძენტის საგრაფოში, ოცდაათ მილზედ ლონდონიდან. ისიც გავიგე, მამა-თქვენს ვაჭრობა მიუტოვებია: მისი სახელი არ სწერია სირაჯების სიაში, როგორც ორის წლის წინეთ. მახსოვს, ოდესმე საქმე მქონდა მის ამხანაგთან, მისტერ ლონგდომთან. ღღეს დილით მე იმასთან შევალ, მერმეთ უილტონში წავალ. ბნებავსთ, წამოხვიდეთ ჩემთან.

— ხომ ურიგობა არ იქნება? ვკითხე მე გულის კანკალით.

— მს დამოკიდებულია მისდამი თქვენს გრძნობაზედ, მიპასუხა მან. მინ იცის, იქნება უკეთესი იქნეს, რომ მარტო მე მოველაპარაკო, მანამდის თქვენს ტანისამოსზედ მოიფიქრეთ. სევილიაში მოდას ძალიან ჩამოვრჩით და ცუდი არ იქნება, აქვე იყიდოთ ყოველივე ტანისამოსი. ამ სიტყვებით გად-



მომცა კონვერტით ასი გირვანქა სტერლინგი ზანკის ბილეთებით. მასტერ ზარტრიჯი იმდენად გულკეთილად და უნრალოდ მექცეოდა, რომ მე არ მერცხვინებოდა მისგან მოწყალების მაღება.

შულის დახარჯვას ეუფრთხილდებოდი, რადგან არ ვიცოდი მომავალში რა მომელოდა. მასეინება ცოტა არ იყო მარგებელი შეიქნა ჩემის აშლილის ნერვებისათვის, მაგრამ, აღვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მე მაინც ერთობ აღელვებული ვიყავი.

მონასტრიდან კი გამოვიპარე, ვფიქრობდი მე, მაგრამ ახლა რა უნდა ვქნა? ყოველს დღეს და ყოველს საათს, ხუთის წლის განმავლობაში, მარტო ჩემს განთავისუფლებაზედ კი არ ვფიქრობდი, ვფიქრობდი ზენრი ძვენტჯედაც. მინ იცის, აქამდის იქნება სულ დამიფიწყა და ცოლიც შეირთო. ნეტავ, როგორ მიიღებს მასტერ ზარტრიჯის? თუ ცოლიანია და ოჯახის მამა, მაშინ ძველის წყლულის გახსენება დიდს ტანჯვას მიაყენებს მას და ყველაფერი ამოდ ჩაივლის და არც არაფერი გამოდნება. მამა-ჩემზედ კი სრულიად არ ვიცოდი, რა უნდა მეფიქრნა. რალაც მებრალეობდა შემეწამებინა მისთვის ცუდ-კაცობა და დამამცირებელი რაიმე ბრალდება; მაგრამ მეორეს მხრით მასტერ ზარტრიჯის იქნეულობამ, რომ დედა-შენმა უთუოდ მემკვიდრეობა დასტოვა და მამა-შენს უნდოდა ის ქონება ხელში ჩაეკლო, ჩემზედ ძალიან გავლენა იქონია. საშინ-

ლად დამაფიქრა, აგრეთვე იმ სიტყვებმაც, რომელიც
შარტრიჯიმ ვაგონში მიიხრა:

— სრულიადაც არ გამაკვირდება, თუ ის მამა-
თქვენი არ გამოდგა.

როცა გულ-კეთილის მისტერ შარტრიჯის შე-
ნიშვნები მომაგონდა, გადავწყვიტე, სახლში სავაჭ-
როდგან მიმავალმა, სომერსეტ გაუზში შესვლა, სა-
დაც არხივში ყველა ქორწინებისა და მონათვლის
მოწმობის პირებს ინახვენ.

მე მეგონა, ამ საჭირო-ცნობების შეკრება ბევრს
დროს მოითხოვს მეთქი, მაგრამ ანბანზედ აწყო-
ბილი სიები ისე რიგიანად და სწორედ მიჰყავსთ სო-
მერსეტ-გაუზში, რომ თუთხმეტის წამის შემდეგ, ჩემ
წინ ეწყო ჩემის დედ-მამის, შრენსისა ბ... და მლაიტა
ბარნარის ქორწინების მოწმობა.

დედა-ჩემი დაქვრივების შემდეგ მეორე ქმარს
გაჰყოლოდა და ბარნარი მისი მამის კი არა, პირ-
ველის ქმის გვარი ყოფილა; თვითონ დედი-ჩემის
გვარი მისს დინი აღმოჩნდა.

ნახევარის კრონით *) მე მივიღე ნამდვილის პირი
ძვირფასს ქალღმერთად დაწერილი; მაგრამ ეს ცოტა
იყო ჩემთვის, კიდევ ავიღე ექვსი სხვა მოწმობის პი-
რები: როგორც დედი ჩემის პირველის ქორწინების,
ნათვლის და სიკვდილის, აგრეთვე მისი პირველის
ქმისა და ბოლოს ჩემი მონათვლისაც. ამ მეტრიკაში
მე ვიხსენებოდი ალა ბარნარის სახელით. ამ ნაირად

*) ინგლისური ფულია, უდრის ჩვენთვის მანეთს და ცხრა შაურს



აღმოჩნდა, რომ მე ვიყავი ერთად-ერთი შეილი დედა-ჩემის პირველის ქმრის ხელში და ის კაცი, რომელიც ასე უწყალოდ და სასტიკად მექცეოდა, სულაც მამა-ჩემი არ ყოფილა. ამ ახალმა ცნობებმა იმდენად გამახარა, რომ მზად ვიყავი შეპატივებია მისთვის ყოველივე ბოროტი, რაც კი შემახვედრა.

— აქედგან პირ-ლა-პირ ანდერძების არხივში წავედი და მოვითხოვე მამა-ჩემის მისტერ ბარნარის ანდერძის პირი. რამდენიმე წამის შემდეგ მომცეს ამ საბუთის პირიც, რომელშიაც მამა-ჩემი უტოვებდა დედა-ჩემს თავის სიცოცხლეში 25, 000 გირვანქა სტერლინგს, რომელიც სიკვდილის შემდეგ ჩემთვის უნდა გადმოეცათ. რაც უნდა ყოფილიყო, ამ ფულების ნახევარი მაინც მე უნდა ამელო, თუ ვინიცობაა ქმარს წავეყვებოდი, ან სრულ-წლოვანი შევიქნებოდი. ანდერძის აღმასრულებლად და აგრეთვე ჩემ მზრუნველად იმ შემთხვევაში, თუ დედა მომიკვდებოდა და ყმაწვილი დავრჩებოდი, დანიშნული იყო მისტერ ბარნადი. მისტერ ბარნადის ყოფა ქცევა ადვილი გასაგები იყო. მან დედა-ჩემზედ ჯვარი დაიწერა და მის სიკვდილს შემდეგ მასახელებდა თავის ქალად, უნდოდა დაემალა ჩემგან ჩემი საშუალება; ჩემს ქორწინებასაც იმიტომ ეწინააღმდეგებოდა, რომ ამით ჩემი ნამდვილი გვარი და მამი-ჩემის ანდერძი არ გამოაშკარებულყო. და ის საშუალება, რომლის წყალობით ის ჩემის ფულებით სარგებლობდა, ჯერ კიდევ საიდუმლო იყო ჩემთვის.

სამს საათზედ სახლში დაებრუნდი. მისტერ ბარტრიჯი ჯერ არ მოსულიყო. ჩამოვედი სასადილო ოთახში და საუბრე მოვითხოვე. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა კარგს გუნებაზედ ვიქმნებოდი ამ საბუთების შოვნას შემდეგ. ახლა შემეძლო დამემტკიცებინა, როგორც მისტერ ბარტრიჯისათვის, ისე ბარტი ავენენტიისათვის, რომ მე ჰკუთხედ შემცდარი თავის დღეში არ ვყოფილვარ. მისტერ ბარნადმა ძალიან ეშმაკური ღონის ძიება იხმარა დავემორებინე ადამიანებს და მომკლებოდა მათი თანაგრძობა.

ნასაუბრეს მანდოდა ჩემს ოთახში წავსულვიყავ. ამდროს კარი გაიღო და სასადილო ოთახში შემოვიდა მისტერ ბარტრიჯი, კმაყოფილებით სახე-გაბრწყინებული.

— წამოდით ჩემთან, მითხრა მან: ბარტი ავენენტი მოვიყვანე, ახლა ორივეს ერთად დაგტოვებთ. მე და თქვენ მერე მოვილაპარაკებთ თქვენს საქმეზედ.

პასუხის მიცემა ვერ მოვასწარ, ისე უცებ გაიღო კარი და მე და ბარტი ავენენტი შევხვდით პირის-პირ ერთმანერთს.

აღა! შემომყვირა ბარტიმ და გულზედ მიმიკრა.

ის სრულიად არ გამოცვლილიყო, არც ცოლი შეერთო. არც მე დავეწყებივარ, თუმცა ნაღვლიანად კი მიგონებდა. ბარტიმ მიაშბო: მისტერ ბ... გამომიცხადაო, დედა შენი შეშლილი იყო და ვითომც შენც



გეტყობოდაო, რომ სრულ-წლოვანებამდის, უთუოდ, უნდა შეშლილიყავი. ამ ამბავმა თითქოს მეხი დამცემოდეს ისე გამაოცაო და შევვირდი, რომ იმ უბედურს წამამდის მასთან არა ვითარს მიწერ-მოწერას არ ვიქონიებ მეთქი. მერმეთ თავის სამრევლოც მიეტოვებია რექტორის რჩევით, რომელიც, რასაკვირველია, მისტერ ბ... შეგონებით მოქმედებდა. ბარრის ლონდონიდან წერილიც გავგზავნა, სწერდა: ჩემს წინადადებას ისევ ისე ვაღგავარო და ჩემთან წერილიც მისს კონვერტში ჩაედო. ამ წერილის პასუხად ბარრის მიეღო ერთი ისპანიის ექიმის მოწმობა, რომ მე შეშლილი ვიყავი. რამდენსამე თვის შემდეგ ისიც ეცნობებია, რომ მე სარწმუნოება გამოვიცვალე და კათოლიკის მონასტერში შევედი, რადგან მონაზვნური ცხოვრება, ვითომც, უფრო გამომადგებოდა, იმიტომ რომ ყოველთვის დანიშნულს ფროს განმეორებით შევიშლებოდი ხოლმე.

—მე კარგად არ მჯეროდა თქვენი ავად-მყოფობა, დაუმატა ბარრიმ, —საიქვოდ მიმაჩნდა, რადგან თქვენს წერილს არასოდეს არ მაჩვენებდაო. შოველ სამ თვეში, უთუოდ, წერილს ვუგზავნიდი, ვსთხოვდი თქვენი ამბავი ეცნობებია, მაგრამ ამ უკანასკნელს ორს წელიწადს პასუხსაც აღარ მიგზავნიდა. რაც უნდაყოფილიყო ფიქრში არ მომივიღოდა, თუ ძალად მონასტერში დაგამწყვედათ. მისმეს რომ წამოსცდენოდა ჩემთან ეს ამბავი, მე მაინც არ დავიჯერებდი და შეუძლებელიც მეგონებოდა ეს მისი საქციელი.

— ისპანაში ყველაფერი შესაძლებელია, ბარ-
რი. თქვენ ვერ წაჩმობდგენთ რა უპატრონო ვიყავი
ამ მონასტერში.

— აგრე უწყალოდ მოგექცენ თქვენ? მკითხა
ბარრიმ და საშინლად ამოიხრა: საკუთარი მამა რომ
არ იყოს თქვენი, გირჩევდით სასამართლოში მიგემა-
რათათ.

— მადლობა ღმერთს, ბარრი, ის მამა არ არის
ჩემი. წაიკითხეთ ეს ქაღალდები.

ამ დროს ოთახში შემოვიდა მისტერ ბარტრი-
ჯი. მრევმ ერთად წაიკითხეს საბუთები და მითხრეს,
თქვენი დედი-ნაცვალი ოთხის წლის წინათ მომკვდა-
რათ და გაბედვით შეგიძლიათ უჩიელოთ მისტერ ბ...
მე მაინც არ მინდოდა მისი საპყრობილეში დამწყე-
დევა. ის დედი-ჩემის ქმარი იყო, და თუმცა უწყალოდ
მომექცა, მაგრამ საკმაო სასჯელად ვრაცხდი მისთვის,
თუ რომ მისი ბოროტება გამოაშკარდებოდა საქვე-
ნოდ და ამით ის იქნებოდა იძულებული დაებრუ-
ნებია ჩემი ფულები.

საქვეყნოდ გამოაშკარებას მირჩევდა განსაკუთ-
რებით ბარრი. ამ საშუალებით მას იმედი ჰქონდა,
მოიხსობოდა ის ზღაპრული ხმები ჩემს შეშლაზედ,
რომელიც ვაფრცვლებულიყო ყველა ჩვენს ნაცნო-
ბებში.

— ღიად, ეს მიუცილებელად საქიროა, სთქვა
მისტერ ბარტრიჯიმ და დახედა საათს: უმჯობესია
დროს ნუ დავკარგავთ და ახლავე წავიდეთ მისტერ ბ...



სადგომზედ, თან წაფიყვანოთ ჩემი ვეჭილი და პოლიცია, რომ შევაშინოთ ის, მოუსპოთ გაქცევის საშუალება. თუ გადავდევით და წასვლა არ დაუჩქარეთ, ის გაიგებს ადას გამოპარვას მონასტრიდგან და თვითონ გაიქცევა ინგლისიდგან.

—მართალია, ეს ადვილად შესაძლოა. თქვენ ერთი კვირა იყავით გზაში, მითხრა ბარბიმ.

—ჩემდა ბედათ მონასტერში ისეთი არეულება იყო, როცა გამოვიპარე, რომ არა მგონია რამე მოეწეროს წინამძღვარს.

—მე ახლა ცოტაღა მჩჩება ჩემი მოთხრობის დასაბოლოებლად. მისტერ ბარტრიჯიმ და ბარბი ავენენტიმ მიიწყვიდეს მისტერ ბ. სახლში, რომელიც სულ დაიბნა, როცა გაიგო მათი მოსვლის საგანი. მას არა გაუგია რა ჩემს გამოპარვას ედ და როგორც ჩაჭერილი, რომელსაც გასაძრავი გზა არა აქვს, იგი გამოტყდა თავის დანაშაულობაში, როგორც ავაჯაკების უმრავლესი ნაწილი. წარმოუდგინა მან თავის შევიწროებული მდგომარეობა, გვითხრა: უკანასკნელ, დროში ვაჭრობაში ბევრი ვიწარალეო, ამიტომ არ შემიძლიანო სრულათ დაგებრუნოთ თქვენი ფულიო. დარჩენოდა 15,000 გირვანქა სტერლნგი, რომლიდგან მასვე დაეუბრუნე შესამედი, რადგან არ მინდოდა დედი-ჩემის ქმარი ულუკმო პუროდ დარჩენილაყო. როგორც მივიღე ეს ფულები, მაშინვე მოვითხოვე მისგან აფიციალური წერილი, რომელშიაც ის აშკარად ტყდებოდა

საქართველო
საქართველო

თავის სასირცხო ყოფაქცევაში. ამ წერილის დავარიგე ყველა ძველ ნაცნობებში. შემდეგ მივეცით ამერიკაში წასვლის ნება, რომლითაც მან და უყონებლივ დიდის სიხარულით ისარგებლა.

ჩემის ინგლისში დაბრუნების შემდეგ, გავიდა სამი კვირა და მე ავენენტზედ ჯვარი დავიწერე. ჩამდენიმე თვის შემდეგ მისტერ ბარტრიჯის წერილი მივიღე, რომელშიაც მწერდა თავის ქალის სახელში დაბრუნებას. მერმეთ თვითონ ნატტიც მწერდა: «უშენოთ მონასტერში ვერ გავძელიო და უნეს მაგალითს მივბაძეო,» მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მისი გამოპარვის უმთავრესი მიზეზი სასტიკი წესები იყო, რომელიც ახალმა წინამძღვარმა განაახლა.

საბრალო კუზიანი იძულებული იყო ხელი აეღო წინამძღვარის წოდებაზედ, რადგან არხიეპისკოპოსს არ სურდა ებრძოლა მთელს ორდენტან. ის გაემგზავრა ბურგოსისკენ და დააფუძნა იქ თავის ახალი ორდენი იმ აზრით, რომ გაეწია იმისთანაღვაწლი და შრომა, რომელსაც მის სიკვდილის შემდეგ მიენიჭებია მისთვის უმანკოების გვირგვინი. მისი ადგილი სევილიაში ლორენციამ დაიჭირა, რომელიც აქამომდე მართავს მონასტერს.

ჩამდენიმე თვის წინეთ, ნატტიმ მიიღო აღრინდელი თავის სახელი—ჟენნი ბარტრიჯი. ჩამოვიდა მე და ჩემის ქმრის სანახავად შილტონში. ის ისევ აღრინდელი პროტესტანტის ქალი შეიქნა და



ისპანიაში დაბრუნების სურვილიც აღარ ჰქონდა. მისმა სილამაზემ და დარბაისლობამ მიიქცია მდიდარის, ორმოცდა-ხუთის წლის ვაჭრის ყურადღება, ნიტტიაც მოეწონა ის და ჩვენ კიდევ ვიდღესასწაულეთ მათი ქორწინება.

გ. ნ. ლორთქიფანიძისა.



ა კ ა ლ დ ა მ ი ბ ი

მოთხრობა

პირველ საუკუნეთა ქრისტიანების ცხოვრებიდან

ნათარგმნი

ან. ღა უ. ნიუთლადის ძალუბისაგან

I.

ჩვენ გთხოვთ, მკითხველებო, გამოგვეყვით რო-
მის ქალაქის ქუჩებში. ჩვენ გვსურს მოგიტხოთ
ამბავი, რომელიც მოხდა ძრისტეს აქეთ 302 წლის
სექტემბრის თვეში. მზე ჩასვლას ეპირებოდა, ცა მოწ-
მენდილი იყო, გრილი ნიავი ჰქროდა და ხალხი
სალამოს სეირნობით შესაქცევად და ქალაქის
ყოველ-გვარ ახალ ამბების შესატყობლად ძეის-
რისა და სალლიუსტიის ბაღებში მიდიოდა.

იმ უბანს, საითკენაც ჩვენის მკითხველების
წყევანა გვინდა, მარსის მინდვრის უბანი ჰქვია და
მდებარებს ტიბრისა და ძველის რომის შვიდს გორაკს
შუა.

რესპუბლიკის უკანასკნელს დროებში მარსის
მინდორზედ მხედრებს ავარჯიშებდნენ და გლადი-
ატორებს აბრძოლებდნენ ხოლმე; მაგრამ იმ დროს,
რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს ადგილი შენო-
ბებით იყო გაყვებული. პომპეიმ აქ თეატრი ააშენა;



აგრიპპამ — პანტეონი *) და მის გვერდით მან-
 ნოები გააკეთა. მან-და-თან აქვე ააშენეს კერძო
 სახლებიც; ერთს ამგვარს სახლში შევიყანთ ჩვენს
 მკითხველს. მარეგანის შესახედაობით ეს სახლი მო-
 საწონი არ არის; მისი ნაშენობა ერთობ მძიმეა,
 ასე გეგონებათ, ეს სახლი რაღასაც შეუწუხებია და
 დაღრეჯილაო. მისს უბრალო, დაბალს კედლებს
 აქა-იქ პატარ-პატარა თანჯრები აქვს გამოჭრილი. ამ
 მომცრო ოთხ-კუთხიანს სახლს ერთი მხრით აქვს
 კარი, რომელთანაც ორი სვეტი სდგას. მარ-
 მარილოს იატაკზედ, ზედ კარის შესავალთან და-
 წერილია სამღვთო სიტყვა: SALVE (გისაროდენ).
 ძარებში რომ ფეხს შესდგამთ, სვეტებიანის დერეფნით
 გარშემოვლებულს ეზოში შეხვალთ.

ამ მარმარილოს ქვით დაგებულს პატარა ეზოს
 შუა ადგილზედ წყნარად მოაქრიალობს ტუსკულუმის
 მთიდგან ქლავდიოსის წყლის არხით გამოყვა-
 ნილი წყარო. ბროლავეთ ანკარა წყალი მორბის
 ზევიდან და ჩადის წითელს მარმარილოს აუზში, რომ-
 ლიდგანაც კლაკვნით და ჩქრიალით ისევ გადმომდი-
 ნარებს და მეორე უფრო განიერს აუზში ჩადის. წყ-
 ლის მზაფები მის გარშემო მდიდრულს ქილებში
 დარგულს ძვირფას მცენარეებსა ნამვენ. სვეტებიანს
 დერეფანში სდგას ძვირფასი მებელი: სპილოს ძვლითა

*) პანტეონი არის სახლი, რომელშიაც ბევრი პატივი ყველა
 დღითავეს ანდრიაანტონის სეგამდენს.

და ზოგი ვერცხლითაც შემკული სკამები, ძვირფასი
 ხის სტოლები; დატვირთული ბრონზისა და ოქროს
 კანდელებით, ვაზებით და საოცარის, ამ დროში ჩვენ-
 თვის მიუწოდებლის, უმაღლესი ხელოვნებით გაკე-
 თებულის აღაღმებით. პედლები შემკული ნახატე-
 ბით, რომელთაც ერთი-მეორიდგან ჰყოფენ ბაქ-
 ნები, საიდგანაც ძლიერ წმინდათ და კარგად გაკე-
 თებული ანდრიანტები და აღაღმები მოჩანან. ძამარე-
 ბით შეკრულს სახლის თავანს შუაზედ დატანებული აქვს
 დიდი მრგვალი სანათური, რომელსაც ,,IMPLUVIUM,, -
 ჰქვია და მზისა და წვიმისაგან დასაფარავად სქელი
 ტილო აქვს გადაფარებული. ეს რაღაც ფანჯარის
 მაგავსი სანათური ძლიერ ცოტა სინათლეს უშვებს
 ძირს, ამისგამო შიგნით ეზოში საკმაოდ ბნელია,
 თითქოს მუდამ ბინდი იყოსო. მაგრამ კი როგორა
 გრილა აქ ზაფხულის და შემოდგომის ცხელ დღეებ-
 ში! ამ ხელოვნებითს ბინდში, საკმაოდ ძნელია იმის
 დანახვა, რაც მოშორებით არის. ამ ეზოს კარების
 პირდაპირ, თაღებს იქით, კაცს შეუძლია გარ-
 ჩიოს მეორე, ამაზედ უფრო მდიდრულად მორთული
 ეზოს შესასვლელი კარი. ეს ეზო სულ მარმარი-
 ლოს ქვით არის მოგებული და მუდახილები მოვარა-
 ყებული აქვს. მარმარილოს სვეტებზედ შეკრულია შიგ-
 ნითა დერეფნის თაღები, რომელიც მთელს ამ პატარა
 ეზოს აქვს გარშემოვლებული. ამ დერეფანში ზის ხნიე-
 რი ქალი; პირის სახე დამშვიდებული და ჩაფიქრებული

აქვს, თითქმის ნაღვლიანობაც ეტყობა სახეზედ. პირ-
 ველის შეხედვისთანავე იგრძნობთ, რომ ამ ქალს დიდი
 მწუხარება გამოუყვლია და ბევრი საყვარელი არსება
 დაუკარგავს, მაგრამ სულით კი არ დაცემულა. თით-
 ქმის სრულიად გათეთრებული თმა უბრალოდ აქვს
 დაეარცხნილი, უბრალოდ არის შეკერილი მისი კბაც,
 რომელზედაც არც მოწყობილობა, არც მდიდრულად
 მოქარგული სახეები და არც ძვირფასი ოქროს სამკა-
 ული არა აქვს გაკეთებული, როგორც ჩვეულება
 ჰქონდათ რომაელს დიდიკაცის ქალებს. მხოლოდ
 ერთი წვრილი ოქროს ძეწკვი ჰკიდია გულზედ, ეს
 ძეწკვი ყელზედ ახვევია და, როგორც ეტყობა, ამ
 ქალისათვის ძვირფასი ნივთი უნდა იყოს ზედ მობ-
 მული. ეს ხნიერი ქალი რაღაც გადასაფარებელს
 ჰქარგავს ძვირფასს ქსოვილზედ და კერვის დროს
 ხანდახან მოუთმენელად იხედება კარებისაკენ; ხან
 ყურს უგდებს, იქნება ფეხის ხმა ისმოდესო. რაც
 უფრო დრო გადის ამ მოლოდინში, თან-და-თან
 უფრო აშფოთებით უცქერის სახლის კარებს და, ბო-
 ლოვს, მას პირი სიხარულით უბრწყინდება; წინ იხ-
 რება, თითქოს ვისმე მისაგებებლად მიემშურებო-
 დესო, თითქოს დიდის ხნის სალოდინებელს მისთვის
 ძვირფასს კაცს უნებურად ესაღმებო. ნუ თუ, მკით-
 ველო, ამ აწერილობამ და ხნიერის ქალის ნაღვ-
 ლიანს და მშვიდობიანს პირის სახეზედ ცეცხლივით ან-
 თებულმა სიხარულმა ვერ მიგახვდინათ, რომ ეს ქალი
 შვილის მოყვარული დედა არის, რომელიც მის მოსვლას

ელოდა და მის ფეხის ხმაზედ შორიდგანვე იგრძნო მისი მოახლოება.

პი იაიცი შემოვიდა. 14 წლის მეტის არ არის, მაგრამ ტანად კი უფრო მალალია, ვინემ, საზოგადოთ, ამ ხნის ვაჟს შეეფერება. სახით ლამაზია; პირის სახე აქვს გამხნევებულიი მასში გაღვიძებულის აზრებით, და ყოველი კაცი ამ ახალ-გაზდა კაბუკის მნახველი მიხვდება, რომ მას ცხოვრების სერიოზული მხარე კიდევ გაუცენია და, მარტო შექცევებზედ და ბოვმურს რასმეზედ არ უნდა ჰფიქრობდეს. ამ ახალ-გაზდა და ლამაზ სახეზედ ძლიერის ნების, მაგარის ხასიათის და მღელვარე ფიქრების დასაწყისი სჩანს. ძისერი შიშველი აქვს; ამასაც, საზოგადოთ რომაელი ახალ-გაზდა კაცების ჩვეულებასამებრ, მოკლე, მუხლებამდის ჩამოშვებული ტან საცმელი აცვია, კისერზედ ჰკიდია რგვალი ოქროს ბურთი რომელსაც BULLA ჰქვიათ, - ეს მცირე-წლოვანების ნიშანია. შმაწვილს უკან მოხუცი მსახური მოსდევს და დახვეული ტყავის ქალღლები მოაქვს. შველაფრით ეტყობა, რომ ეს ყმაწვილი სასწავლებლიდგან მოდის. შემოსვლისა თანავე დედას მიესალმა და გვერდით მოუჯდა.

— ამდენ ხანს რამ დაგაგვიანა შეილო? ჰკითხა დედამ.— იმედი მაქვს, რომ ფარსაგი არა შეგმთხვევია რა?

— ბარწმუნებ არაფერი, საკვარელო დედა, განსაკუთრებით უსიამოვნო მაინც არაფერი არ შემ-

ხვედრია. შევლაფერს დაწერილებით მოგიყვები; ხომ არას დროს არასფერს არ გიმაღავ ხოლმე.

დედამ წყნარისა და კეთილის ღიმილით გაუღამა; შეიღმა განაგრძო:

— პირველად უნდა გითხრა, რომ დღეს დეკლამაციისათვის (ხმა მალლა ლექსის თქმისთვის) გვირგვინი მავადე. ამას გარდა, ჩვენმა მასწავლებელმა, ძასიანემ მოგვცა დასაწერად შემდეგი ტემა: „ნამდვილმა ფილოსოფოსმა თავის სიცოცხლე ყოველთვის ჭეშმარიტებას უნდა შესწიროსო.“ შევლა ჩემმა ამხანაგებმა ერთი მეორის შემდეგ წაიკითხეს თავიანთი თხზულებები და, მართალს გეტყვი, იმათი თხზულებები საშინელ მშრალად და ცივად დაწერილნი მეჩვენენ, თითქოს მხოლოდ სხვისი ბრძანებით და მათთვის მიცემულის საგანზედ სრულიად უფიქრელად დაუწერიათო. სხვა წაირად მოქცევაც არ შეეძლოთ და არც დანაშაულნი არიან, თუ კარგად ვერ დასწერეს ის, რაც არ იციან. ჭეშმარიტება მათთვის უაზრო სიტყვაა. იმათი ცხოვრება ძლიერ შორს არის შევლაფერზედ, რაც კი ჭეშმარიტებასა ჰგავს. არ გაუცვიათის სწავლა, რომელიც ჩვენ განვიმარტებს, თუ რა არის, ჭეშმარიტება. ამაში დღეს დავწმუნდი, როდესაც შენ და ჭეშმარიტებისათვის მომკდარი მამა-ჩემი მოგიკონეთ; გავხსენე ყოველივე, რაც გამიგონია, რაც მრწამსს და რასაც პატივსა ვსცემ-მეც ჩემის მხრით ძალიან ჩქარა დავსწერე ჩემი თხზულება და გულ-მხურვალედ წაგიკითხე. როგორც

კი რამოდენიმე სტრიქონი წავიკითხე, ჩვენი მასწავლებელი ქასიანი შეკრთა, შემდეგ ჩემსკენ დაიხარა და მითხრა: «გაფრთხილდი, შვილო, აქ არიან ისეთი ყურები, რომელთაც ე! მისთ და არ დაავიწყდებათო».

— როგორა! გააწყვეტინა დედამ ლაპარაკი, — განა ქასიანი ქრისტიანია და შენგან გამოთქმულს აზრებში ქრისტიანი იცნო? მე მხოლოდ მიტომ გამოვარჩიე იმისი შკოლა, რომ იმისას ბევრს კარგს ამბობდნენ, და ახლა, ემადლობ ღმერთს, რომ ეს ასე მოხდა. საშინელს დროში კი ვსცხოვრებთ: საფრთხეი ვართ გარსშემოხვეული, ჩვენს საკუთარს სამშობლოში საიდუმლოდ უნდა ემოქმედებდეთ და ჩვენს საკუთარს სახლში მტრებისა და ცრუ-მოწმეებისა უნდა გვეშინოდეს! ჩვენის სარწმუნოების მოძმეებს ძლივს ვიცნობთ, თუმც კოტანი არიან. თუ შეიტყეს, რომ ქასიანე ქრისტიანია, მაშინვე დაუკეტენ შკოლას. მაგრამ განაგრძე; ნუ თუ იმისი შიში მართლა საფუძვლიანი იყო?

— შგონებ, რომ მართლა. სანამ რამდენიმე ჩემი ამხანაგები ჩემს თხზულებას წმინდას გულით და აღტაცებით აქებდნენ, პორფირის შავი თვალები მრისხანედ დამცქეროდნენ. ის ტუჩებს იკვნეტდა მოუთმენლად.

— შინ არის ეგ პორფირი?

— ჩვენი შკოლას მოწაუგებში ყველაზედ უფროსი და უღონიერესია, მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვა, ყველაზედ უფრო უნიჭოც არი. რასაკვი-

რეგლია თავისუფიჭობაში იმას დანაშაული არა აქვს, მაგრამ უბედურობა ისაა, რომ ავიც არის; მე ვძულვარ და, ჭეშმარიტად, არ ვიცი კი რისათვის? შკოლიდგან რომ გამოვედით და მდინარის ნაპირზედ მოვდიოდით, უეცრად, ყველა ჩემის ამხანაგების წინ დამიწყო ლანძღვა: «მაშ ასე, პანკრატიო, მითხრა მან,—მე და შენ დღეს შკოლაში ერთმანერთს უკანასკენელად შეეხვდითო, ჩვენ ერთსა და იმავე დღეს ვსტოვებთ შკოლასო. შენ დღეს თავი გამოიჩინე, ჩვენ ყველა ტალახში ჩაგვთელე და მე დამცინეო; მაგრამ არც მე დაგივარდები და ანგარიში მერე გაგისწორდებიაო. მე მახსოვს ყველა შენი მაღალ-მხედველობითი სიტყვები და ფრაზები, რომლითაც შენი თხზულება იყო გატენილი და, უსათუოდ, ყველაფერს მამა-ჩემს გადაესცემო. მამა-ჩემი, ხომ იცი, პრეფექტია და ამ ქამად იმისთანა რასმეს ამ ადებს, რომ შენც მოგხვდებიაო. ღელა შეკრთა, მაგრამ მაინც გაჩუმებული იყო. შევიღმა განაგრძო:

— ამას შემდეგ საბრძოლად გამომიწვია, მაგრამ მე ამ წინადადების მიღება არ შემეძლო, რადგანაც ეს ჩვენის სჯულის წინააღმდეგია. მე მშვიდობიანად ვუპასუხე, რომ არ მდომია იმისათვის შეტრაცხების მიყენება, არც ჩემის თავის გამოჩენა, როგორც იმანა სთქვა, და არც არავს დაცინება. მერე, რომ ჩხუბი არ გაგრძელდებოდა, მე დაწინაურება დავაპირე და ფეხი ავიჩქარე, მაგრამ კორ-

ვინი დამეტაკა, ხელი წამავლო და დაიყვირა: « არა, ვერ წამიხვალ, შენ სულ მდაბალო, ვირის-თავის თაყვანის მცემელო! *) შენ არ მეუბნები სადა სცხოვრობ, მაგრამ მაგას შეეიტყობ, შეეიტყობ და ღღევანდელს საქმეს გადაგიხდით. ეს სიტყვები რომ მითხრა, შემომკრა კიდევ. შმაწვილი ატირდა, მაგრამ თავის მღელვარებას სძლია და განაგრძო:

— რომ იცოდე, საყვარელო დედა, თუ როგორ მიძგერდა გული და როგორ მიდუღდა სისხლი! მე ვიწვოდი სურვილით, რომ ყელში ხელი წამევლო იმისთვის და ჩემ ფეხ-ქვეშ დამეცა; ვგრძნობდი, რომ ამისთვის საკმაო ღონეც მექნებოდა.... ეს განსაცდელი სასტიკი განსაცდელი იყო!.... მაგრამ რასაც შენ მასწავლიდი, ის გამახსენდა და იმას დავემორჩილე.

— ჰო, შემდეგ რაღა იყო? კაია, კპარა, ნუ სტირი! მითხარ რით გათავდა ეგ ამბავი? ჰკითხა დედამ. — როგორ დაახწიე თავი?

— სწორეთ ამ ღროს ჩვენმა მასწავლებელმა, ძასიანემ, მოგვისწრო, მე გამომიხსნა და ძორვის დასჯა მოუნდობა, მაგრამ მე შევეხვეწე, რომ მისთვის ეპატიებინა.

ამ ღროს დერეფანში შემოვიდა მოახლე, რომელმანაცაან თოლამპები, მარმარილოსა და ბრინჯაოს კანდელები. ლუციანა და იმისი ვაჟი, ჰანკრატი

*) ქრისტეანუშს, სსჯათა შორის, სწამუძნენ, ვითომც ისინი ჯირის-თავს სცემდნენ თაყვანს.

ბრწყინვალე სინათლემ გაანათა. დედამ შეილა
 თავზედ აკოცა; ამ კოცნაში გამოიხატებოდა არა მარ-
 ტო დედის ერთა შეილისადმი სიყვარული, არა მარტო
 დედობრივი ამაყოფა, რომელიც ძლიერ ადვილად გა-
 საგებია მუდამ ზრუნვისა და უძილოდ ღამეების გატა-
 რების შემდეგ, როცა დედა თავის შეილს თითქმის
 მოწიფულ, ჭკვიან და ლამაზ ჭაბუკათ ჰხედავს; —
 ლუცინა უფრო ძლიერმა, უფრო ღრმა და ამალ-
 ლებულმა გრძნობამ შეიპყრა. დაღვა ის წამი,
 რომელზედაც ის მთელის წლების განმავლობაში ჰუი-
 ქრობდა; მისმა ვაჟმა შკოლას თავი დაანება და ქვე-
 ყანაში საცხოვრებლად უნდა გამოსულიყო. პანკრატი
 იმის ერთად-ერთი შეილი იყო და, სრულ-წლოვანო-
 ბის შემდეგ, უნდა მიეღო იმ დროში მეტად საფრთ-
 ხიანი წოდება მღვდლობისა. იმ საშინელს ქრისტიან-
 ნების დევნულობის დროს, ყველაზედ უმეტესესი ხა-
 სიათით, უგონიერესი სწავლული და პატიოსანი კა-
 ცები მღვდლებად ეკურთხებოდნენ ხოლმე. ისინი
 საფრთხო მდგომარეობას თავს ვერ დაახწევდნენ
 და წინ-და-წინვე იცოდნენ, რომ თავიანთი თავი
 ნამდვილად შესწირეს წამებით სასიკვდილოდ. ისინი
 ბედნიერებად სთვლიდნენ თავიანთის სარწმუნოები-
 სათვის სიცოცხლის შეწირვას. წარმართების გაქრის-
 ტიანება და ღარიბებსა და ავით-მყოფებსე ნიდაგ
 ზრუნვა უმეტესად მღვდლების მოვალეობა იყო.
 უსასატიკესის დევნულობის დროს, ისინი პირველნი
 იღუპებოდნენ, ცარკში მხეცებისაგან დაგლეჯილნი,

რომაელი ხალხის შესაქცევლად, რომელიც სერის ყურებაზედ გაუმაძღარი იყო და ამისთანა სანახაობას ყოველთვის კი აღტაცებით უკრავდა ტაშს. მღვდლები მაგალითს აჩვენებდნენ სხვებს და სახარების ქადაგებაში და თავის სარწმუნოების ქეშმარიტების სახალხოთ დამტკიცებაში იხოცებოდნენ. ლუცინამ იცოდა, რომ მრავალმა ქრისტიანმა-დედებმა დაჰკარგა ყველა თავიანთი შვილები; თვითონ იმანაც საშინელი უბედურობა გამოსცადა:—იმისი ქმარი, მისი პანკრატის მამა, იმპერატორის ბრძანებით-ტანჯვით მოჰკლეს.

პანკრატიმ რომ თავის დედას შეჰხვდა, იმის სახის გამოხატულებამ გააოცა. ძნელი ასაწერია ის, რასაც წაიკითხავდა ამ სახეზედ ყოველი კაცი, თვით იმისთანა კაციც კი, ვისაც ნიჭი არა აქვს სახის გამოხატულობით კაცის გრძნობა და ხასიათი გამოიყნოს. ლუცინას სახე თითქოს გაუბრწყინდაო; იმას სახეზედ დღესასწაულებრივი სინათლე და ღირსებით საესე მშვიდობიანობა ეხატებოდა; ეხატებოდა ენტუზიაზმი და ის მალალი გრძნობა, რომელიც მთელს ცას-ქვეშეთში მხოლოდ ადამიანსა აქვს მინიჭებული. მისი სული თითქოს პირის-სახეში სრულად გამოსჰვირსო და მისი მშვიდნი თვალნი სინათლით ბრწყინავდნენ. შაბუკს გული აუდუღდა, დედის წინ დაიჩოქა და ყვლზედ მოეხვია მას.

—რამდენი ხანი ელოცულობდი, რომ ლმერთს ჩემთვის ამ დღის ნახვა მოესწრო, უთხრა დე-

დამ.—ჰოველი შენი გრძობის გახსნას გულმოდ-
 გინეთ ვადევნებდი თვალსა და როცა ეს გრძობა
 კარგი, ქრისტიანული გრძობა იყო ხოლმე, ლმერთს
 ვმადლობდი. მიცი, რომ გამგონე და კეთილი ხარ,
 ლმერთი და მოყვასნი გიყვარს. ჩემდა გამოუთქმელ
 საბედნიეროდ შევნიშნე სიმდიდრის, შექცევის და
 თავმოწონებისადმი შენი გულ-გრილობა, აგრეთვე
 ღარიბებისა და უბედურების სიყვარული. მხედავ,
 რომ შენის მოწამე-მამის კეთილ-მოქმედება დაიმკვი-
 დრე. ღღეს უკოლიდგან გამოდინხარ; აწ ბოვში კი
 არა, მამა-კაცი, მოწიფული კაცი ხარ. ახლა შენ
 უნდა ილაპარაკო, უნდა იმოქმედო და ისე მოიქცე,
 როგორც მამა კაცს და ქრისტიანს შეჭფერის. უთუ-
 ოდ ყველაფერს ამას ძლიერ კარგათა გრძობდნი,
 შენს თხზულებას რომ სწერდი და კითხულობდი.
 ღიალ, ბედნიერია, ვინც თავის სარწმუნოებისათვის
 ჰკვდება, ჰკვდება თავის რწმუნებისათვის, ერთის სიტ-
 ყვით, მისთვის, რასაც ჰეშმარიტებად სთვლის.

—ღიალ, მე მგონია, რომ თუ საჭირო იქმნება,
 მზათა ვარ მოგვკვდე ჩემის სარწმუნოებისა და ჰეშმარი-
 ტებისათვის! სთქვა წყნარად ჰანკრატიმ.

—სწორედ ნამდვილი მამი-შენის უვილი ხარ!
 გინდა, რომ ყველაფერში იმას მიბაძო?

—რასაკვირველია, საყვარელო დედილო! თუ-
 მცა მამა-ჩემი არ მინახავს, მაგრამ მისი სახე გულ-
 ში ჩაბეჭდილი მაქვს. იმისი ცხოვრების, იმისი კე-
 თილ-საქმეების და სასახელო სიკვდილის ამბავები



ბოვშობილდგანვე მესმოდა. შოველს წელიწადს, როცა ქრისტიანები მამა-ჩემის მოსახსენებლად იმის ტანჯვის დღეს ღოგასაწაულობენ და იმისათვის სალოცავად და სატირლად აკალდამებში იკრიბებიან ხოლმე, მე ვკრძნობ, რომ ვული მითრთის და სისხლი მიდუღს. იმისი წილ-ხდომილობა მაღალია, და მეც ბევრჯერ მივქცეულვარ მისკენ აზრით და წრფელის გულით მითხოვია, რომ ჩემთვის მოეცა ღონე და სურვილი იმავე სარწმუნოებისათვის სისხლის დაღვრის.

—ზაჩუმდი, გაჩუმდი! უთხრა დედამ უნებურად შეკრთომით და შეშფოთებით, პანკრატი დედის-ერთა შვილი იყო და, ქმრის სიკვდილის შემდეგ, მთელი თავის სიყვარული მაზედ ჰქონდა მიპკრობილი. ლუცინა მტკიცე ხასიათის, ძლიერის ნების ქალი იყო და თავის სარწმუნოებაზედაც ძალიან მტკიცე, მაგრამ მაინც დედა იყო და, როცა მისმა დედის-ერთა შვილმა თავის სიკვდილის სურვილი წარმოხსენა, გული შეუკრთა.

ჩვენ წინათა ვსტკვით, რომ რომაელს ჭაბუკებს ყელზედ ეკიდათ პატარა ბურთი, რომელიც იმათ მცირე წლოვანობას ნიშნავდა. დედამ ყელიდან შეიღოს ბურთი ჩამოხსნა და უთხრა:

—მამი-შენისაგან სამკვიდროდ მიიღე წარჩინებული გვარი, ცხოვრებაში ძლიერ დიდი ადგილი, ვაება სიმდიდრე, ერთის სიტყვით, ყოველ გვარი უპირატესობა, რომელიც საზოგადოებაში მეტად

ძვირფასად მიაჩნიათ, მაგრამ მე მაქვს ერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც ჩემთვის — და, იმედი მაქვს, შენთვისაც, — ყველა ამეებზე უძვირფასესია. მინდა ის ნივთი ახლა გადმოგცე.

დედამ მთრთოლვარე ხელით მოიხსნა ძეწვეკი, რომელზედაც მარგალიტით და ძვირფასი ქვებით მოქარგული სანაწილე ეკიდა.

— ამაში მამი-შენის სისხლია შენახული. მე იმის სიკვდილზედ დავესწარი და იმდენი გულადობა ვიქონიე, რომ იმის ქრილობებს ეს სისხლი მოვსწმინდე და შენთვის ნაწილად შევინახე.

სიტყვები ტირილმა შეაწყვეტინა; ცრემლები თვალიდგან სკვივოდნენ დახრილს თავზე შეილსა, რომელიც დედამ დალოცა. მაჟმა სანაწილეს აკოცა და ყელზედ ჩამოიგდო. იმას ეჩვენებოდა ამ მისთვის შესანიშნავს წამს, რომ მამის ძლიერი სული გარდმოვიდა მაზედ და მის სულს ახალის ძალით, სარწმუნოებით და გულოვანობით ავსებს. ჰგონებოდა, რომ მამასავით მზად იყო სარწმუნოებისათვის ყოველივე შეეწირა.

II.

სანამ ლუცინას სახლში დედასა და ვაჟს შუა ეს გულის მომწყვლელი ამბავი ჰხდებოდა,

მეორე მდიდარი რომის ანაჟორის შაბის სახლში მოხდა სხვა რამ, რის მოთხრობასაც ჩვენ ვაპირებთ. შაბია მდიდარი იყო. მისი სახლი იყო შორეთული იმ ძველებურის სიმდიდრით, რომლის ნაშთები რომის და ნეპოლის მუზეუმებში ახლაც აკრძვებენ მოგზაურებს. მთავება ჰქონდა ძლიერ და დრონი, მუხი-კურად დაქრელებული და სპარსულის ხალიჩებით მოფენილი იატაკი, კარება და თანჯრებს. ჩინეთის მატერიის ფარდები ჰქონდა და მებელზედ ოქრომკედის ფარჩა იყო გადაკრული. შოველ კედლის თახჩაში სპილოს ძვლისაგან გამოთლილი, ან ვერცლინა და ოქროსგან ჩამოსხმული ძვირფასი უებარი რამ ნივთები ელავა. შვიდთან ამ სახლია პატრონი შაბია წარმოადგენდა მაშინდელას როპაელას ნამდვილს ტიპს. მხიარულის ხასიათის კაცი იყო და ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა, ესე იგი უყვარდა ყოველივე სიტკბოება, რაც კი შესაძლებელი იყო: უყვარდა თავის მკგობრებში მხიარული ღზინი, ცირკში წარმოადგენილი სანახაევები, მუზიკა და იმ დროის საუკეთესო პოეტების თხზულებების კითხვა. ის ჰფიქრობდა, რომ ცხოვრებაში სიტკბოების მეტი არა უნდა იყოს რაო. არ სწამდა არც იუპიტერი, არც მინერვა და არც მერკური, — ძალიან კარგად ესმოდა რომ ეს ღმერთები იყვენენ მხოლოდ მშვენიერი ხელოვნურად გაკეთებული ანდრიანტები და მეტი არა-

ფერი; მაგრამ ჩვეულებას მისდევდა და დიდს დღესასწაულებზედ მათ ტაძრებში დადიოდა. ღლის უმეტეს ნაწილს საზოგადო აბანოებში ატარებდა. იმ დროს აბანოები ახლანდელის ყაფახანებისა და კლუბების მაგერი იყვნენ. იქ შეიძლებოდა კოჭის და ბურთის თამაში, ახლად გამოსულის თხზულებების კითხვა და ქალაქის ყოველის ახალი ამბისა და ქორის გაგონება. იქვე გაკეთებული იყო ოთახები, სადაც მდიდარი რომაელები იკრიბებოდნენ და, — ყველა უსაქმო კაცებზედ ნათქვამისა არ იყოს, დროს ჰკლავდნენ ხოლმე. აბანოებიდან რომელი მოედანზედ მიდოდა; იქ პოლიტიკაზედ სჯიდა და პოლიტიკურს ახალ ამბებს ისმენდა, მეგობრებთან ბაძობდა, მერე საზოგადო ბაღებში შევიდოდა და მაშინდელს დიდებულით კაცების გროვაში შეერეოდა ხოლმე. როცა ბედობით საკმაოდ გაძლებოდა, სტუმრებს იპატიებდა და ვახშმად სახლში ბრუნდებოდა. რომაელების ვახშამი საღამოს რვა საათზედ იწყებოდა და განსაკუთრებით სიმდიდრით, სტოლის ჩინებულით, მორთულობით, მრავალის გემრიელის საქმელებით, კარგის ღვინოებით და ბოლოს ძვირფასის ხილებით იყო შესანიშნავი. რომაელები ვახშამისთვის საშინელ ბევრს ფულს ხარჯავდნენ და განცხროპით სმაჰამა უყვარდათ. ამ შემთხვევაში იპათი მიზეზიანება ახლანდელისა გასტრონომების მიზეზიანობას აღემატებოდა. რომში ყოველი მხრიდან მოჰქონდათ იშვია-

თი მზრინველები და თევზები, ძლიერ გემრიელი ხილი და საუცხოვო ტკბილეულობა.

შაბია გულ-კეთილი კაცი იყო, მაგრამ ეს მისი გულკეთილობა იყო ერთობ მცირე და ვიწროდ შემოსაზღვრული. თავის მონებს კარგად ეპყრობოდა, ქალიშვილს ასათუთებდა, მხიარული მოსაუბრე იყო, ერთის სიტყვით, ბოროტებს არ შერებოდა მაგრამ ეს ხომნამდვილი გულ-კეთილობა არ არის! ბოროტობის უქმნელობა ცოტაა, კაცმა კეთილი უნდა მქნას, ის კიდევ უნდა ეძიებდეს შემთხვევას, რომ კეთილი საქმე ჰქმნას. შინც ამ გვარს შემთხვევას ეძებს, ყოველთვის იბრუნის. მაგალითად, შაბიას არას დროს არ გაუვლიდა თავში, რომ რაც ის ერთს თავის ვაახშმზედ ფულს დახარჯავს, იმის ნახევრით, ერთს ღარიბს ოჯახს მთელი წლის განმავლობაში შეეძლებოდა გაუჭირვებლად ცხოვრება. ამისთანაებზედ ახლაც არ ჰფიქრობენ ხშირად და მაშინ ხომ კიდევ უფრო იშვიათად ჰფიქრობდნენ. ახლა აქა-იქ საავათმყოფო, გლახების დასაყენებელი და მწირების მისაღები სახლები არსებობენ, მაშინ კი ამ გვარი დაწესებულებანი არსად იყო. მაგრამ შაბიას ღარიბებზედ ფიქრისათვის არ ეცალა. ის მხოლოდ თავის თავის გულის თქმის და განცხრომის სიყვარულს მისჩვეოდა. თუმცა მეტის მეტი ეგონისტი იყო, მაგრამ თავისი დედის-ერთა ქალი, ლამაზი შაბიოლაც უყვარდა; ისეთი ძლიერი არის შეილების შესახებ დედ-მამის გრძობა, რომ თავიანთი შეილ-



თეთრ ფელოსტებზეც ვი უყვარსთ. მა'თაღლით, შა-
 ბაას სიყვარული ნათეს ქალისადმი განსაკუთრებით
 გრანივირებული ან იყო. პრიან თეთრი ფონიერი ღედ-
 მამები, რომელთაც რაც უფრო მეტად უყვარსთ
 თაფრანთი შვილები, მით უფრო სურსთ, რომ იქნი
 ყოველის კარგისა კაცის სიყვარულია და პატივის ცე-
 მის ღირსნი შეიქმნენ და ამისათვის ყმაწვილობიდგანვე
 ეგრევე მათგულში აღდამიანის საუკეთესო თვისებებს:
 გულ-კეთილობას, სიბრალულს, შალალ-გრძობ-
 ბას და მოყვას სიყვარულს. შაბანს კი თვისი ქალი
 ძლიერ ჩვეულებრივია სიყვარულით უყვარდა. მრ-
 ვალს მდიდრულს ვაბებსა და ძვირთას სამკაულებზე აჩუ-
 ქებდა ხალმე, ზრუნავდა, რომ ჯიბეში ფული არ
 გამოეღია მისთვის და იმხენი მოახლეები მიეჩინა,
 რამდენსაც ქალი სძვიროდ დაინახავდა. შაბიოლა,
 ძლიერი ღამში და ამასთანავე ძლიერ. ქვეანი და
 წაუღოთლი ქალი იყო. მას რთახები მამას რთახებზე
 კიდევ უფრო მდიდრულად აქონდა მოართულო. სვაძა
 ლოგინი, რომელმაც ის იწვა, ვერცხლის სახე-
 ბით იყო შემსული, მის ბირდაპირ ეწამიანი, გაელ-
 ვარებული ვერცხლის გეება საკეცა და მისაგვერ-
 დით წითელა მარშარილო, სტოალზე მრავალი, მ-
 ღროის რომაელის ქალების ძლიერ საყვარელის
 სუნთვლებით სავსე მწეები და პატარა ქილები
 ეწვონ მეორე ინდოეთის სანდლას ხის სტოალ-
 ზედ ეწვო მდიდრული კალოავები, რომელ-
 შიაც ოქროსა და ძვირთასი ქვების ბეჭ-

დები, საყურებები, ყელაბამებო და დიადემები
 იყოს. მც-და ერთი წლის შაბიოლას, თუმცა ყოვე-
 ლისფერი ჰქონდა: სიმლიდრე, სილამაზე, გვარის შეი-
 ლობა, — მაგრამ მაინც მუდამ მოწყენილი იყო.
 იმისი ხასიათი მამიას სრულიად არა ჰგავდა. მამაყი,
 მზეობარი, გულ-უციხი და თავის-ნება ქალი იყო.
 შველასგან, ვინც კი გარს ეხვია, გამგონობას და
 მოჩჩილებას თხოულობდა; თავის ტოლებიდანაც კი
 თხოულობდა გელაფრის დათმობას. შერთის სიტყვით,
 მეტის-მეტად გასათუთებელი შვილი იყო. მამა იმი-
 საგან აღტაცებაში მოდიოდა, მის ძიძა-გამდელს,
 რომელიც მოახლეების წედამხედვედ ჰყავდა, გაგი-
 ეებით უყვარდა ის და მის ნებას უსაცილოდ ასრუ-
 ლებდა ხოლმე. შაბიოლამ მუზიკა მშვენიერად იცო-
 და, განსაცვიფრებლად იმღეროდა და ცეკვავდა, ბერ-
 ძნული ლაპარაკი იცოდა, ჰკითხულობდა კიდევ
 ბერძნულს წიგნებს და რომში ერთ ძლიერ განათ-
 ლებულ ქალად ითვლებოდა; სერიოზული თხზუ-
 ლებების კითხვა უყვარდა და მისდევდა ეპიკურიის
 ფილოსოფიას, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცმა
 მხოლოდ თავისთვის და თავის სიამოვნებისათვის
 უნდა იცხოვროსო და თავის თავს არაფერში უარი
 არ უნდა ჰყუოსო. შაბიოლას გაგებაც არა ჰქონდა
 არც თავის მოვალეობისა, არც გულ-მოწყალეობის
 და არც მოყვასის საყვარულისა; ყველაფერი საკმაოდ
 ჰქონდა, მაგრამ ყველაფერმა თავი მოაწყინა. შაბი-
 ოლას გაეგონა, რომ არის რაღაცა ხალხი და სწამს



ქრისტე, ღარიბი კაცი, რომელიც რაღაც მცოდნე ბისათვის ჯვარს აცვესო; და ის ქრისტიანები ძლიერ სძულდა, რადგანაც იმათ გაუნათლებელ, მდაბალ და უმადლო ხალხად სთვლიდა. მაგრამ იმათზე მაინც ცოტას ჰფიქრობდა, ისე როგორც ახლაც ცოტას ჰფიქრობენ ხოლმე მდიდარნი და ბედნიერნი გლეხ კაცებზედ, ავით-მყოფებზე და ან იმ კაცებზე, რომელნიც სულით, ან სხეულით იტანჯებიან. ძერაბების ღმერთები, მამა-მისის არ იყოს, არც ამას სწამდა, მაგრამ ტაძრებში სხვების საჩვენებლად დაიარებოდა. ბევრი საქმროები ჰყავდა, მაგრამ ჰხედავდა, რომ მამასთან კარგი და თავისუფალი ცხოვრება ჰქონდა და არ უნდოდა კეთილს მამას მოსცილებოდა და უცნობს ქმარს გაჰყოლოდა, ამის გამო გათხოვება არ ეჩქარებოდა. ჰფიქრობდა: იქნება კიდევ სულელი და ავი ქმარი შემხედეს და იმისგან ბევრი უსიამოვნება შემემთხვესო. თავის საქმროებში განსაკუთრებით არავის არჩევდა და არც განსაკუთრებით მოსწონდა ვინმე.

შაბიოლა თავის მშვენიერს სკამ-ლოგინზედ იწვა; მარცხენა ხელში ვერცხლის პატარა სარკე ეჭირა და მარჯვენაში სპილოს ძვლისტარიანი პაწაწა ხანჯალი, რომლის ტარზედაც პატარა ბეჭედი იყო მიმაგრებული. ამ ნაირად ბეჭდიან ხანჯალს მუდამ თითზე წამოკმულს ატარებდნენ. რათ უნდა ხანჯალი ყმაწვილს ქალსაო, იქნება მკითხოთ. ღრო დაუდგრომელია და იმ ღროში მეტად ბნელი და მძიმე ღრო იყო ყველასთვის, ვინც კი წარჩინებულ და მდიდარ კაცე-

ბად არ დაბადებულნიყენენ. რომელი პატრიცია
 (აზნაური) კაცად მხოლოდ თავის თავს სთვ-
 ლიდა და შემდეგ პლებების (გლეხს), თუ რომ ის
 რომელი მოქალაქე იყო; ყველა სხვა ქვეყნის
 კაცები ბარბაროსებად მიაჩნდა და სიძულვილით
 უყურებდა; მონები კი თითქმის პირუტყვებად მიაჩ-
 ნდა. მას სჯული არ ასწავლიდა, რომ ყველა კაცები
 ერთნი არიან, რადგან ყველანი ერთის ღმერთის
 ერთ ნაირად გაჩენილები არიან. წარმართობას არ
 შეეძლო იმისი სწავლება, რაც ჩვენ მხოლოდ ქრისტიან-
 ნობამ გვასწავლა. მხოლოდ სახარების სწავლა არის
 სიყვარულია და სიშვილის მასწავლებელი. ახლა
 ხომ გესმისთ, თუ რად ეჭირა შაბიოლას ხანჯალი
 ხელში. ის მოახლეს რაღაც შინაურის პირუტყვის
 მსგავსად სთვლიდა და როგორც კი საბრლოს რამე
 შესცდებოდა, ან მოუხერხებლად გააკეთებდა, ყო-
 ველაღვის ხანჯლითა სჩხელიტდა ხოლმე. მაგრამ შა-
 ბიოლა ავის გულისა კი არ იყო; იმას მხოლოდ არ
 ჰქონდა გაგება არც ერთის ქვემარტებისა, რომ-
 ლითაც ახლა განათლებული, ე. ი. ქრისტიანი ერი
 სცხოვრებს. არსად არ არის ხალხის-მოდძეების სი-
 ყვარული ისე გავრცელებული, როგორც ქრისტიან-
 ნებში. აბა, შეხედეთ თათრებს, ჩინელებს, იაპონე-
 ლებს,—ისინი კაცის სიცოცხლეს არაფრად არ ავ-
 დებენ; კაცის მოკვლა საშიშრად არ მიაჩნიათ. მო-
 ველგან, სადაც კი კაცის სიცოცხლის და პიროვნების
 პატრიცის ცემა ნახოთ, იფიქრეთ, რომ ეს განათლე-

ბისა და ქრისტიანობის სწავლის ნაყოფიათქა; განათლება იქ უფრო ძლიერი არის, სადაც კაცის პიროვნობა უფრო შეუხებელია. ზანათლების საფუძველი ქრისტიანობა იყო და ახლა ყველა ხალხი და ოჯახები მისი წყალობით არიან ახლანდელს კეთილ-მდგომარეობაში.

მაგრამ დაფუბრუნდეთ შაბიოლას. სამი მოახლე ცოდვილობდნენ მის გარშემო. სამნივე სხვა-და-სხვა ტომისა და ძვირფასად ნაყიდები იყვნენ, რადგანაც სილამაზეს გარდა, მათ სხვა-და-სხვა გვარი ნიჭიც ჰქონდათ. მართი შავ-კანიან აფრიკელი ქალი იყო, მაგრამ მახინჯი ნეგრის მოდგმისა კი არა, ლამაზი, წმინდა და სწორესახიანი, როგორც ამისინელებში და ნუმიდიელებში ხშირად შეხვდება კაცს. ის ექიმად, ე. ი. ყოველი მცენარის თვისების მცოდნე ქალად ითვლებოდა; საექიმო წამლებისა და საშინელი საწამლაის გაკეთება იცოდა. სახელად პურა ერქვა; ეს სახელი შემოკლებულია სიტყვისაგან: «პურიკა», სადაც ის დაიბადა და საიდგანაც გამოყვანილი იყო. მეორეა, რადგანაც საბერძნეთიდან (ბრეკიიდან) გამოყვანილი იყო, ბრაია ერქვა, იმას მეჭად საუკბოვო სიტყვა პასუხი ჰქონდა და საუკბოვო ლაპარაკი იცოდა; ამას გარდა თავის ქალბატონის სამსახურში და კაბების კერვაში ძლიერ დახელოვებული იყო. მესამე, სირა, შთამომავლობით სირიელი, ქარგვის მოხელე იყო და თავის თანამდებობას უზომო გულს-მოდგინებით ასრულებდა.

ეს იყო წყნარი ხასიათის, ჩუმი, ბრძანების სიტყვა შეუბრუნებლად აღმასრულებელი ქალი და მუდამ მუშაობდა, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა. ატრა და ზრია ყოველია ღონის ძიებით სცდილობდნენ ქალბატონის თავის მოწონებას და ამისთვის უსინდისოდ ეფარისევლებოდნენ.

— რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, უთხრა ატრამ შაბიოლას ფარისევლურის თვალ-დაშტერებით, რომ შემეძლოს დღეს სასადილო ოთახში დგომა და ყურება, თუ როგორ შემოხვალ და როგორის ტრფიალით დაუწყებენ ყურებას ყველა სტუმრები შენს გასაოცარს სილამაზეს და თვალის მომჭრელს ფერს. ეს პირის-წამალი მშვენიერი გამოდგა და, მართალი რომ ვსთქვა, მაგის გაკეთებაზედ ბევრიც ვეწვალე.

— და მე კი მაგისთანა ბედნიერებაზედ მოფიქრებასაც ვერ გავბედავ, ჩამოართვა სიტყვა მცბიერმა ზრიაიმ. — მე მითაც ბედნიერი ვიქნები, თუ რომ კარებიდან შემოჭვრეტა და შენი ახალის, ამ ხანებში აზიდგან მოტანილი კაბას დანაზვა მოვახერხე. უნდა მართალი ვსთქვა, რომ თუმც ქაოვილი მდიდრული და ლამაზია, არც შეკერილობა ჩამოუყარდება უკან. და მაგაზედ არც მე მიშრომია ცოტა, მთელი ღამე ვმუშაობდი, რომ შენთვის მესიამოვნებინა.

— შენ რაღა გსურს, სირა, და ან რა გააკეთე დღეს ისეთი, რომ თავის ქება შეგეძლოს?

— მე სანატრელი არა მაქვს რა, ჩემო კეთილ-

შობილო ქალბატონო, და თავსაც ვერაფრით ვი-
 ქებ: ვფიქრობ, რომ მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა
 აფასრულე.

მს უბრალო და მოკლე პასუხი არ მოეწონა
 გასათუთებულსა და ფარისევლობას მიჩვეულს ქალს,
 რომელშიაც შეერთებული იყო პატრიციული ამა-
 ყობა და ყოველის შესანიშნავის ლამაზი-ქალის სა-
 ზოგადო თვისება, მედიდურობა.

— შენგან სასიამოვნო სიტყვას იშვიათად გაი-
 გონებს კაცი, უთხრა წყენით შაბიოლამ.

— რად უნდა აფასებდე შენ საწყალის მოახ-
 ლის სიტყვებს, შენ, მდიდარი და წარჩინებული პა-
 ტრიციის ქალი, რომელიც მთელის ქალაქის უწარ-
 ჩინებულეს პირთაგან პირფერობას მიჩვეული ხარ.
 ნუ თუ ჩვენს, მოახლეობის ქებას არ შეურაცხყოფ?..

შაბიოლა გაკვირვებული ისმენდა სირას სიტ-
 ყვებს. მისის აზრით, ამ გვარი სჯა მოახლის შესა-
 ფერი არ იყო. ბანა მოახლეს ფიქრი, გრძნობა და
 სჯა შეუძლია! ან როგორ უნდა კაბედოს თავის აზ-
 რის გამოთქმა?

— ნუ თუ კიდევ უნდა გაგიმეორა, უთხრა
 შაბიოლამ ამაყად, — რომ შენ ჩემი საკუთრება ხარ,
 რომ ფულად გიყიდე და შენში დიდ-ძალი ფული
 მივეცი მისთვის, რომ მემსახურო და ის ქნა, რაც მე
 ფიქრში გამივლია. შენს ენაზედაც იმდენივე უფლე-
 ბა მაქვს, რამდენიც შენს შრომაზედ; თუ მე მსურს,
 რომ შენ მაქო და მეუერო, შენ მოვალე ხარ მაქო

და მეუფრო. მე რა მენაღვლება, გინდა, თუ არა!
 სასაცილოც არის! ტყვეს, მოახლეს წარმოუდგენია,
 რომ მასაც შეუძლია ნება იქონიოს! იცი თუ არა,
 რომ თვით შენი სიცოცხლე, მე მეკუთვნის?

— მე მართალია, უპასუხა სირამ წყნარად და
 მშვიდობიანად, — ჩემი სიცოცხლეს, აგრეთვე, რო-
 გორც ჩემი ღონე, ჩემი სხეული და ჩემი შრომაც,
 ერთის სიტყვით, როგორც ყველაფერი, რაც სიცოცხ-
 ლესთან ერთად დასრულდება, შენ გეკუთვნის. ამაში
 ფულები მიგიცია, ეს ყოველივე შენი საკუთრებაა;
 მაგრამ მე მრჩება სხვა საუნჯე, რომელსაც ყველა სა-
 ხელმწიფოების სიმდიდრითაც ვერ იყიდი და რომლის
 შებოროტვაც არაფერს მონობის ჯაჭვს არ შეუძლია.

— მე რალა საუნჯეა? მითხარი, გეთაყვა, უთხრ
 შაბიოლამ ოდნავ დაცინებით.

— ჩემი სული.

— სული? გაიმეორა შაბიოლამ გაკვირვებით,
 რადგან აქამდის არას დროს არ გაეგონა, რომ ტყვეს
 შესძლებოდა წარმოდგენა, ვითომ იმასაც უკვდავია
 სული ჰქონოდეს. როგორ გესმის შენ ეს სიტყვა?

— მე ნასწავლ-კაცებივით და ფილოსოფოსე-
 ბივით დაპარაკი და ახსნა არ ვიცი, მიუგო სირამ, —
 მაგრამ ამ სიტყვით მესმის ჩემი შინაგანი გრძნობა,
 ჩემი სინილისი და ჩემი რწმუნება, რომ მე მაქვს
 უფლება მოველოდე ამ ცხოვრებაზედ უკეთესს ცხოვ-
 რებას და ამ ქვეყნიერებაზედ უკეთესს ქვეყნიერებას.
 მრწამს, რომ ჩემში სცხოვრებს ის უკვდავი სული,



რომელიც ჩემს სხეულთან არ მოჰკვდება. ჩემი უნი-
 ნაგანი გრძობა მა'ი'ღებს ყოველგვარ საზი'ღარ
 მოქმედებას და სულ-მოკლეობას, აგრეთვე მძუ-
 ლებს ფარისევლობა, საცტუვეს და ყოველ გვარ-
 პირ-მოთწეობას.

ღანაჩენი ორი მოახლე ყურს უკვებდნენ.
 მაგრამ სირას სიტყვების აზრი ან ესმოდათ, დამისის
 კაღნიერებით მეტად გაოცებულნი, უძრავად იდგნენ.
 შაბიოლა გაჰკვირდა, მაგრამ ბოლოს მისმა სიამაყემ
 გაიღვიძა და მოუთმენწელად შესძახა:

— სად გაგიგონია მაგდენი სიახლეები? ან ვის-
 გან ვისწავლია მაგრე ლამაზად ლაპარაკი? ჩემხედ თუ
 ვიტყვი, ჩემს სიცოცხლეში ბევრი მისწავლია, და
 ბოლოს მივედი იმ დასკვნა'ელ, რომ ყველა ლაპარაკი
 რაღაც ღრუბლებს ზევით მდებარე ქვეყნიერებაზედ,
 მხოლოდ პოეტებისა და სოფისტებისაგან გამო-
 გონილი ზღაპრები არიან. მეტად მძულან ი'ინი!
 ნუ თუ შენ, უსწავლეელს მოახლეს გგონია, რომ
 ჩემ ედ, შენს ქალბატონ'ზედ მეტად იცი? ან იქნება ფიქ-
 რობდე, რომ როდესაც შენ მოკვდები და შენს
 სხეულს სხვა მონების სხეულებთან ერთად, საპო-
 ვადო საულაფში ჩაგდებენ, მერე, შენი სხეულის
 სიკვდილის შემდეგ, კიდევ იცხოვრებ და არ დაკარ-
 გავ გრძობას, თუ რა იყავი, რომ შენ კიდევ რა-
 ლაც მეორე სიცოცხლე, ნება და თავისუფლება
 დაგრჩება?

— მე ხტულად არმოვეყვები; და ვიმეორებ თქვენის პოეტის სიტყვებს: NON OMNIS MORIAR, უთხრა სარამ აღტაცებით, რამაც შაბიოლა ხელ-ახლავ გააკვირვა. — მე მრწამ, რომ მოვა მკვდრეთით აღდგომის დღე, როდესაც ყველა მკვდრები აღდგებიან და მაშინ ახლანდელიყო შენი მოახლეთი არა, თავის-უფალი და შენის ტოლი არსება ფოქმნები; ეს იმედი სცხოვრებს ჩემს გულში.

— მაგ გვარი უგუნური ფიქრები სჩვევიათ აღმოსავლეთის მცხოვრებლებს და მხოლოდ შენს საქმეს და მოვალეობას გაცდენს. რომელი ფილოსოფოსის თხზულებაში ამოგვიკითხავს ეს არები. რომელს სასწავლებელში შეგვისწავლია? მე კი არაფერი მაგ გვარი არასოდეს არ წამიკითხავს არც ბერძნულსა და არც ლათინურს წიგნებში.

— მე ვისწავლე ჩემს სამშობლოს საწავლებელში, იმ კშოლაში, სადაც ბერძენს ბარბაროს ისაგან არ არჩევენ და თავის-უფალ კაცს მონისაგან?

— როგორა? შესძახა მეტად აღშფოთებულმა შაბიოლამ. — მაშ შენთვის საკმაო არ არის, რომ შენს თავს წარმოიღვენ სიკვდილის შემდეგ თავისუფლად, შენ ახლაც ამ ქვეყანაშიაც ჩემს ტოლად თავის ჩათვლას ბედავ? იქნება კიდევ იმასაც ფიქრობდე, რომ ჩემედ უფროსიცა ხარ? აბა მითხარი ამ საათში, უბრალოდ, პირ-და პირ, ჰო, თუ არა? სთელი შენს თავს ჩემს ტოლად თუ არა?



შაბიოლა თავის სკამ-ლოგინიდგან წამოიწია, ნიდაყვზედ დაებჯინა და ამაყობისა, წყენისა და გაკვირვებისაგან აღელვებული სირას თვალ-დაშტერებით უყურებდა.

— შთამომავლობით, სიმდიდრით, განათლებით, სილამაზით და ჭკუით შენ ჩემზედ მაღლა დგახარ, მაგრამ, თუ მიბრძანებ, რომ ესთქვა ჭეშმარიტად მართალი...

სირა გაჩუმდა, ეტყობოდა, რომ ყოყმანობდა, მაგრამ შაბიოლამ ბრძანებლობით შეჭხედა, და სირამ განაგრძო:

— თვითონ გასაჯე, ვინ უნდა ჩავსთვალოვნეობით უფრო დაბლად: მდიდარი პატრიციის ქალი, რომელიც თვითონვე ამბობს, რომ მისი სიცოცხლე ისე გათავდება, როგორც ყოველი პირუტყვის სიცოცხლე, თუ საწყალი მოახლე, რომელსაც სწამს, რომ მისი სული სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს და წავა ღმერთთან იმ ქვეყანაში, რომელსაც შენ ღრუბლებს-ზემოთი ქვეყანა დაარქვი?

შაბიოლას თვალები აენტო, ის შეიპყრო რისხვამ, ჰგრძნობდა, რომ თავის სიცოცხლეში ეს პირველად მიიღო დარიგება, დამდაბლებული შეიქმნა; მერე ვისგან? მოახლისაგან!... ხელი წამოავლო თავის ხანჯალს და საბრალო სირას ესროლა. ხანჯალი ქალს ხელზედ დაესო და ღრმაჭრილობიდგან სისხლი გადმოედინა. სირამ საშინელის ტკივილის გამო ტირილი დაიწყო. სისხლიცა და ცრემლებიც

შეუკავებლად სდიოდა საბრალოს და ერთმანეთში
 ერეოდა. შაბიოლა იმავ წამს გონჯედ მოვიდა.
 შერცხვა, შერცხვა მოახლეებისა და თავის თავისაც;
 მაგრამ ის გასათუთებული იყო და მოახლის კაცად,
 გონიერ და თავის ტოლ არსებად ჩათვლა არ ეს-
 წავლა; ამის გამო, თუმცა გულში კი რცხვენოდა,
 მაგრამ მაინც არ შეეძლო რიგიანად დაფასება, [თუ
 რამდენადსუო-მოკლეთ მოიქცა. იმასსირა შეეცოდა
 ისე, როგორც შეეცოდებოდა დაჭრილი ძაღლიც.
 ამიტომ სირას მიუბრუნდა და თითქმის ალერსით
 უთხრა:

წალი და ქეროსინას უთხარი, ხელი შეგი-
 ხვიოს! შენი ასე ძლიერ დაჭრა არ მინდოდა. მაგრამ
 მოიცადე, მინდა ჩემი სიფიცხისათვის გიზლო შენ.

შაბიოლამ სტოლიდგან ძვირუასი ბეჭედი აიღო და
 სირას მისცა.

წაიღე ეს ბეჭედი, უთხრა მან, — შეგიძლია
 დღეს აღარ იმუშაეო.

შაბიოლას სინიღისი დაუმშვიდდა; მას ეგონა
 რომ საჩუქრით ყოველ გვარი წყენია გასწორებ
 შეიძლებაო.

მომავალს კვირას, ქრისტიანების სამლოცველოში
 ღარიბების სასარგებლოდ შეწირულ ფულებთა შო-
 რის, ნახეს ძვირუასი ზურმუხტის ბეჭედი; მოხუცმა
 მღვდელმა, პოლიკარპემ, იფიქრა, ამას შემოსწირავდაო
 რომელიმე მდიდარი პატრიციის ქალი, რომელიც
 საიდუმლოდ აღიარებს ძრისტეს სარწმუნოებასო.



მხოლოდ მან, ვინც ქვერივი-ქალის შესაწირავი შე-
ნიშნა, იცოდა, რომ ეს ფქვირფასი ნივთი ერთმა დაჭ-
რილმა და ხელ შეხვეულობა მოახლოვებ შესწირა. ამ-
სობაში ერთი ახალ-გაზდა სტუმარი ქალი ყველას-
გან შეუნიშნავად შევიდა შაბიოლას ოთახში. რო-
მაელი ქალების ოთახებში კარები მაგიერად ხში-
რად მღაღრულ ფარდებზე აფარებდნენ ხოლმე, ასე
რომ სტუმარს აღეიწილად შეეძლო სხვებისგან შეუ-
ნიშნავად შესვლა, განსაკუთრებით იმ წაბში, რო-
დესაც წყრომისაგან სრულიად შეპყრობილმა შაბი-
ოლამ თავისი მოახლოვება დასჭრა. როდესაც სირამ ოთა-
ხიდან გამოსვლა დააპირა და კარებისკენ მობრუნდა,
თითქმის შეშინდა, რომ დაინახა წითელ ფარდებთან
უძრავად მდგომარე ფერ-მკრთალი ახალ-გაზდა ქალი,
რომელიც მისი უცნობი არ იყო. ამ ახალ-გაზდა ქალს
აგნესა ერქვა; თოთხვეტი წლის მეტის არ იქნე-
ბოდა; უბრალო, თეთრი და სრულიად მოუწოთველი
კაბა ეცვა. სახეზედ სიწყნარე და სიმშვიდე ეხატე-
ბოდა; თვალები მტრედის თვალებს უგაედა და თე-
თანაც მტრედს მოაგონებდა ადამიანს. რომის დერე-
ფნებში ახლაც შეიძლება ნახოთ ამ ქალის სურა-
თი, რომელიც მის თანამედროეთა სიტყვით არის
დახატული: ლურჯი თვალები, ნარნარი, ფერ მკრ-
თალი და მშვიდი პირი-სახე და ოქროს ფერი თმა.
მას ისე ხატვენ, რომ თითქმის ყოველთვის ხელში
კრავი უჭირავს. აგნესა იქვე წარჩინებულისა და
მდიდარის ცაცის დედის-ერთა შეიძლია დი შაბიოლას

ზიდაშვილად მოხედებოდა. თუმცა წლოვანებით ვან-სხვაეება იყო მათ შორის, მაგრამ შაბიოლას ძლიერ უყვარდა ეს ახალ-გაზდა ქალი. ჩვენ ზვეით ესთქეით, რომ შაბიოლა მედიდური ქალი იყო, მბრძანებლობა უყვარდა, ყველა და ყველაფერი მას უნდა დამორჩილებოდა; მაგრამ იმისის ქინის დამშვიდება მხოლოდ ორს ადამიანს შეეძლო: ეს ორნი იყვნენ შეროსინა და აგნესა. შაბიოლა ეკუთვნოდა იმ ქალების რიცხვს, რომელთაც სანახევროდ სიყვარული არ იციან და თუ კი ერთხელ შეიყვარეს კაცი, სრულის სულითა და გულით უყვარსთ და თავის საყვარელის კაცისათვის არასფერს არ დაიშურებენ.

— წინა ოთახში მომიცადე, — ჩაუჩურჩულა აგნესამ სირას, რომელმაც ახლო ჩაუარა.

— რა თავაზიანობაა ეს შენის მხრით! რა ნაირად გმადლობ, რომ ჩემთან შემოსულხარ, უთხრა შაბიოლამ აგნესას, — ვახშმად ჩვენთან უნდა დარჩე. მამა-ჩემმა ორი ახლად ჩამოსული უცხო-ქვეყნელი მოიწვია და ისინი უნდა მივიღო. ძლიერ მოხარული ვარ, რომ დღეს მამა-ჩემის ვახშამხედ შენთან ერთად მისვლა შემიძლია. მართი იმ სტუმართაგანი ჩემს ცნობის-მოყვარეობას აღვიძებს. ეს არის შულოვიუსი, რომლის სიმდიდრეზედ, ჭკუაზედ და ნიჭზედ მთელი რომი ლაპარაკობს, თუმცა კი არა-



ვინ არ იცის, თუ ვინ არის და საიდგან მოვიდა ჩვენში.

— პრაფერი საქადლობელია, ჩემო საყვარელო შაბიოლა, უბასუხა აგნესამ, — მე ყოველთვის მობარუელი ვარ, როცა ჩემი მშობლები შენთან გამომიშვებენ ხოლმე.

— შენ ისევე ჩვეულებრივად თეთრად ჩაცმული ხარ, უთხრა შაბიოლამ აგნესას, მისი ჩაცმულობა რომ დაათვალიერა. — ძიდევ უსაყურეებოთ, უბეჭდებოთ და უყელ-საბამოთა ხარ! სწორედ მონოზანს (შესტალას) და ან პატარძალსა გავხარ. მაგრამ ეს რა არის? შესძახა უცრად შაბიოლამ, — ეს რა ლაქაა? სისხლი? ო, დიად, სისხლია! წადი, წადი, ტანისამოსი გამოიცვალე! ახლავე ვუბრძანებ, რომ ერთ-ერთი ჩემი თეთრი კაბა მოგართვან.

— პრაფერისა გულისათვის ქვეყანაზედ, უთხრა აგნესამ, — მართალია ეს სისხლია და უბრალო მონოსის სისხლაც არის, მაგრამ ჩემს თვალში ეს შენსა და ჩემს სისხლზედაც უფრო კეთილშობილური და წმინდა სისხლი არის.

შაბიოლა მიჰხვდა, რომ აგნესა ყოფილა მოწმე, მისი უკეთილშობილო ქცევისა და რომ სირამიმის ახლოს ჩაეღის დროს კაბა გაუსვარა. თავს დამდაბლებულად ჰგონებდა, ჰრცხვენოდა თავის თავისა, მაგრამ არ უნდოდა, რომ ეს შემჩნეოდა და ამიტომ წყენით და სიმწარით უთხრა:

— შენ უთუოდ გინდა ჩემი დაუცხრომელი და დიდ-გული ხასიათი მთელს ქვეყანას გაუმხილო და ყველას შეატყობინო, რომ ჩემი კადნიერი მოახლე, იქმნება, მეტად მკაცრად დაესაჯე?

— არა, სრულებითაც არა; მე მინდა ეს ლაქა შეეინახო იმ მაგალითის ნიშნად, რომელიც საბრალო მოახლემ მიჩვენა. მან დამიმტკიცა, თუ როგორ უდრტყინველად და უმრისხანოდ უნდა იტანოს კაცმა ხორციელი და სულიერი სატკივარი.

— რა გასაშტერებელს აზრებს ამბობ! ღმერთმანი, აგნესა, მე ყოველთვის ვფიქრობ, რომ შენ ამ ქმნილებათ ნამეტანს ბევრს მნიშვნელობას აძლევ. რა არიან ისინი?

— იმისთანავე ადამიანები, როგორც მე და შენ, უთხრა აგნესამ, — ჩვენისთანავე ჭკუა და გრძნობა აქვსთ მინიჭებული. ამის წინააღმდეგ ბაასი შეუძლებელია. ისინიც იმ ოჯახის წევრები არიან, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით; ჩვენის სიცოცხლის მომნიჭებელი ღმერთმა მიანიჭა მათაც სიცოცხლე და, თუ ის ჩვენი მამა არის, მაშ მოწეები და მოახლები ჩვენი ძმები და დები ყოფილან.

— მონა ჩემი ძმა არის! მოახლე ჩემი და! ღმერთმა დაგვიხსნას ამისგან! წამოიძახა შაბიოლავ შიშით. ეს ქმნილებანი ჩვენი საკუთრება არიან და ყველაფერს ისე უნდა მოქმედობდნენ და ფიქრობდნენ, როგორც ბატონები უბრძანებენ.

— ძარგია, ვმარა, უთხრა დამშვიდებით აგნეს-

სამ, — ნუ კი შფოთავ და ამაყობ, ღამეთანხმე, რომ დღეს უბრალო მუახლემ აზრით, სულის სიმტკიცით, მოთმინებით და სიმშვიდით შენზედ უმაღლესად გამოიჩინა თავი. პასუხს ნულარ მომცემ; შენის სახის გამოხატულობაზედ ვატყობ, რომ შენც ამასვე გრძნობ. არა მსურს, რომ ამ გვარი საქმე კიდევ შეგემთხვეს როდისმე. ზთხოვ ერთი თხოვნა შემისრულო.

— შოველისფერს, რასაც კი ისურვებ; ხომ იცი, არასფერში უარს არ გეტყვი.

— სირა მომყიდე; მის შემდეგ, რაც თქვენში ამბავი დღეს მოხდა, შენთვის ხომ სასიამოვნო არ იქნება იმისი ნახვა?

— სრულიადაც არა, აგნეა! უსიამოვნო კი არა, მე მინდა ამ ხანად დავსძლიო ჩემს ამპარტავნულს გრძნობას; ამ მოახლეზედ ვგრძნობ რაღაც..... ღმერთს ვფიცავ, არ ვიცი, როგორ ვსთქვა! ისეთი საკვირველი ქალია! ჩემს სიცოცხლეში პირველათა ვგრძნობ მოახლე-მონის შესახებ რაღაც ჩემთვის გაუგებარს გრძნობას.

— ის ჩემთან უფრო ბედნიერი იქნება, უთხრა დაყენებით აგნესამ.

— რასაკვირველია, უპასუხა შაბიოლამ, — ვის შეუძლია შენთან უბედური იქმნეს? შველა, ვინც კი შენ გაახლოვდება, ბედნიერია; ეს განსაკუთრებით ნიჭი არის და მე თქვენის ოჯახისთანა ოჯახი ჩემს დღეში არ მინახავს. თქვენც სირასაფით რაღაც ახალს

სწავლას მისდევთ და მონებს თავის-უფალის ხალხისაგან არ არჩევენ. შევლას პირის-სახეზედ მოსვენება, სიმშვიდე და ბედნიერება გეხატებათ; ყველანი მხიარულად მუშაობენ და თავიანთ მოვალეობას მხიარულად ასრულებენ. ბატონები თითქოს არც კი არიანო, არაფერ მბრძანებლობს, და საქმე კი კეთდება. მე ყოველთვის ვფიქრობდი, განაგრძო შაბი-ოლამ სიცილით, — რომ იმ ოთახში, შენ რომ არაფერ უშვებ და ყოველთვის კარ-დაკეტილია, ჯამე თილისმა და მომხიბვლელი წამალი უნდა გქონდეს შენახული. შენ რომ ქრისტიანი იყო და მხეცებს მიგცენ დასაკლევად, მგონია, ისინიც კი არ მოგვარდებიან და შენ ფეხთა ქვეშ მოარჩილებით დაწვებიან.....მაგრამ რათ მიყურებ აგრე მოღრუბლულად და ნაღვლიანად? მე ხომ გეხუმრები, განა ვერ ხედავ, რო გეხუმრები?

აგნესა, რომელიც მართლაც ნაღვლიანად და დაფიქრებით უყურებდა მას, შეკრთა და უთხრა:

— მერე რა ვუყოთ? მაგისტანები მოხდება ქვეყანაზედ? თუ ვისმეა მაგისტანა საშინელი სვე ელის, სანატრელი იქმნებოდა იმ შემთხვევაში საკუთრად სირა ჰყავდეს კაცს გვერდით. მომეცი სირა!

— ძმარა, აგნესა, ლმერთს გეთიცვები ვხუმრობდი. მე ძალიან კარგად გიცნობ, და რომ შენ მაგისტანა საოცარი და საშინელი უბედურება გეწიოს ვერც კი წარმოვიღგენ. რაც შეეხება სირას, ეს მართალია, იმას შეუძლია თავის შეწირვა: წარსულს

წელში, შენ რომ სხვაგან იყავი, სახადით გაზნდი მძიმე ავად. ჭველა მოახლეებს ეშინოდათ ჩემთან შემოსვლისა და ჩემს ძიძას ყოველთვის უნდა ეცემა მათთვის, რომ ჩემი სამსახური აესრულებინათ. მარტო სირა არა მშორდებოდა არც დღე და არც ღამე, დაულაღავად მივლიდა და ეფიქრობ, რომ ჩემს მორჩენაში ერთის მხრით იმისგანა ვარ დავალე-ბული.

— მერე ამისთვის ის სულითა და გულით არ შეიყვარე? ჰკითხა აგნესამ.

— შევიყვარეო? მოახლე უნდა შემეყვარებინა? განა ეს შესაძლებელია? რა ბავშვი ხარ ჯერ კიდევ! უხვად დავსაჩუქრე ის: ფულები მივეცა და მრავალი ტანისამოსი ვაჩუქე. არ ვიცი კი, სად შიაქვს ის ფულები და ნივთები, მე რომ იმას ვაძლევ. სხვა მოახლეები მარწმუნებენ, რომ ის არათერს არ ინახავს, შავიღლისათვის დამზადებული არა აქვს რაო. ზოგი-ერთები კიდევ ამბობენ, ვითომც თავის სადილს უნდა უნაწილებდეს ერთს ბრმა გოგოს, რომელიც მასთან დარება.

— მომეცი სირა, უთხრა აგნესამ ხელმეორედ მხურვალეებით, — აკი დამპირდი ყოველისთვის ასრულებას, რასაც გთხოვ? დამითმე! რა თასადაც გინდა, დაათასე და ნება მომეცი დღესვე წავიყვანო.

— რადგან ასე გულით გინდა, კარგი, წაიყვანე; რა მოუშორებელი რამა ხარ! შენთან ევაჭრობა მე არ შემიძლია; ხვალ მამი-ჩემის მოურავთან

გამოგზავნე ვინმე, დაე იმათ შეჰკრან პირობა. ახლა, რა კი ეს მძიმე საქმე გავათავეთ, მამა-ჩემთან დამისს სტუმრებთან წავიდეთ.

— საყურეებისა და უელ-საბამისა შებმა დავაფიწყდა?

— სულ ერთია, ამ ქამად უიმათოთაც იოლად წავალ; დღეს რაღაც ვერა ვარ მორთვის ქეიფზედ.

III.

ყველა სტუმრებდა ახლო-გადა ქალებს სასადილო ოთახში დახედნენ. აქ არ ყოფილა არც დიდი შეკრებილება და არც მდიდრული ლანჩი; იყო მხოლოდ უბრალო ვახშამი, თავის მეკობრებისა და ახლო ნაცნობებისათვის დამზადებული. ჩვენ ყველა საქმელებსა და მასპინძლობას დაწერილებით არ ავსწერთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მდიდრულად და ჩინებულად-მორთულს სახლში ყველაფერი ისე იო მოწყობილი, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა. შაბიოლას მამას ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა და ფულები არ ეზოგებოდა. როცა ყმაწვილი ქალები სასტუმროში შევიდნენ, შაბიამ თავის ქალიშვილს აკოცა და მაშინვე შენიშნა, რომ ქალს არც ერთი ძვირფასი სამკაული არა აქვს გაკეთებული. შაბიოლა გაწითლდა და არ იცოდა, რა ეპასუხნა მამისათვის; იმას ხელ-ახლავ შერცხვა და არ უნდოდა

გამოტეხილიყო, თუ გულ-ფიცხობამ იქამდის წვეინა, რომ თავისი მოახლე დასჭრა და რალა-
 ნაირმა, თავის თავზედ უკმაყოფილებასთან შეერთე-
 ბულმა გარისხებამ მორთულობა დაუშალა. აგნესა,
 თავის ჩვეულებრივის გულ-კეთილობით, დაეშურა ამ-
 ხანაგის გამოხსნას და ხუმრობით უთხრა: უთუოდ შაბი-
 ოლას არ ჰსურდა, რომ ჩემთან, ასე უბრალოდ ჩა-
 მულ ქალთან, მდიდრულის მორთულობით გაბრწყინ-
 ვებული გამოჩენილიყო და სრულიად ჩავეჩრდილეო.
 ეს უმანკო ფრაზა შეიქმნა, ისეთი ხუმრობის მიზეზად,
 რომ აგნესა მთლად არია: შაბია სიცილით არწმუ-
 ნებდა აგნესას, რომ ახლა დროა საქმროებისა და
 გათხოვების ფიქრს შეუდგეს და თავის ტანისამო-
 ზედ უფრო მეტად იზრუნოს, რომ ის ბავში აღარ
 არის, თითქმის მოწითული ქალია. საბრალო აგნესა,
 რომლის აზრები სრულიად სხვა საგნებზედ იყო მი-
 ქცეული, დაიბნა, შერცხვა, საჩქაროდ მიატოვა შა-
 ბია და დაბრუნდა თავის ამხანაგთან, რომელიც
 სტუმრებს ემუსაიფებოდა. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს
 იმათგანზედ ვილაპარაკებთ და პირველად მოვიხსენებთ
 ძალპურნიუსს, ძლიერ ნაკითხს, მაგრამ საოცრად
 მოსაწყენსა და მძიმე კაცს, რომელიც თავის მეცნიე-
 რებით ყოველ კაცს თავს აბეზრებდა. ის იყო მსუ-
 ქანი, მაღალი და განსაკუთრებით შესანიშნავი მახვილი
 კისერი ჰქონდა, რომელიც მის ფართე მხარ-ბეჭიან
 ტანში თითქოს მთლად ჩაფლულიყო. ამ გვარი მო-
 კლე და მხვილი კისერი ყოველთვის აძლევს კაცს

რომელისამე ღონიერის, მაგრამ სულელისა და ნურის პირუტყვის მსგავსებას. მეორე სტუმარი იყო პროკულუსი; ეს სცხოვრებდა შაბიას სახლში და ტკბილად სმა-ჭამა უყვარდა. ამ ორს გარდა, სხვა უფრო საინტერესო კაცებიც იყვნენ. იმათში ჭკუით და სილამაზით ბრწყინავდა ერთი იმპერატორის გვარდიის და იმპერატორის საყვარელი ახალ-გაზდა აფიცერი, სახელად სებასტიანე, რომელიც აგნესას და შაბიოლას სახლეულობასთან მეგობრულს განწყობილებაში იყო. ის ჯერ ოც-და-ათის წლისა არ იქნებოდა, მაგრამ მომავლისათვის კარგად ჰქონდა საქმე განწყობილი: ორივე იმპერატორების საყვარელი კაცი იყო, აღმოსავლეთის იმპერატორის დიოკლიტიანესი და რომის იმპერატორის მაქსიმიანესი და შეეძლო ძალიან ბრწყინვალე მომავალის იმედი ჰქონოდა. ძალიან უბრალოდ ჩაცმული იყო და ძლიერ უბრალოთაც იქცეოდა; დარბაისლური, ჭკუიანური და შემაქცევარი იმისი მუსაიფი საზოგადოებას მიიზიდავდა ხოლმე. იმასთან ლაპარაკი ყველას უყვარდა, ყოველს კაცს უყვარდა იმისი ლაპარაკის გავონება.

სებასტიანე იმ დროის საუკეთესო ახალ-გაზდების თვალ-საჩინო წარმომადგენელი იყო. თავის გულ-უხვობით, კეთილშობილობით, მამაცობით და კეთილ-ზნობით მეტად საქებარი კაცი იყო. ამას გვერდით, ვითომ მოპირ-და-პირეთ უდოა რომის საზოგადოების ახალი ლამპარი, ლამაზი შულციუჟი, რომელზედაც შაბიოლას აგნესასთან წინათ ჰქონდა

ლაპარაკი. ის ახალ-გაზდა და კეკლუცად ჩაცმული იყო! ენა-მჭევრად, მაგრამ ცოტაოდენი უცხო-ქვეყნელის გამოთქმით ლაპარაკობდა. იმის მეტის-მეტითა ვაზიანობა და ზრდილობიანობა უგემურობამდის მიახწევდა ხოლმე. იმის ხელზედ წამოცმული ბეჭდები და ტანისამოსზედ გაკეთებულიათას-ნაირი ოქროს ნივთები ამტკიცებდნენ, თუ რამდენად ზრუნავდა ეს კაცი თავის ტანისამოსისათვის და რამდენს ხარჯავდა მასზედ.

დიდი ხანი არ იყო მას აქეთ, რაც შულციუსი რომში მოვიდა და თან მოჰყვა მხოლოდ ერთი მოხუცი მსახური, რომელიც, როგორც სჩანდა, მისი ძლიერ ერთ-გული უნდა ყოფილიყო. პრაფინ არ იცოდა, საიდან გაჩნდა ეს შულციუსი და მასთან იმიანი მსახურად-ხლებული კაცი; შულციუსის მეგობარი იყო ისა, განთავისუფლებული მსახური, თუ მონა? შულციუსს უცხო ენით ელაპარაკებოდა, შავგვრემანი იყო, უსიამოვნო, თითქმის მხეცური თვალების გამოხატულობა ჰქონდა და აგრეთვე მეტად უსიამოვნო გარეგანი შეხედულობა, ასე რომ სხვა მოსამსახურეებს ეშინოდათ იმისი.

შულციუსი რომ რომში მოვიდა, ერთს დიდ სახლში იქირავა სადგომად რამოდენიმე ოთახი, საუცხოვო მებელით მორთო და მოსამსახურებად მთელს გროვა მოაწვდის შეუყარა თავი. საზოგადოდ, შულციუსს ფულების ფანტვა უყვარდა, მაგრამ ამაზედ უფრო კიდევ ის უყვარდა, რომ იმის ფულების ფან-



ტვაზედ ბევრი ელაპარაკნათ. იმისმა სილამაზემ, სიმდიდრემ, რომში უეცარმა გამოჩენამ, ზრდილობიანმა ქცევამ და თამაშობამ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრა მისკენ. ამ გარყვნილსა და მხოლოდ სიამოვნებაში გართულს რომში კაცისგან ცოტა რამ მოითხოვებოდა: თუ კაცი მდიდარი იქმნებოდა, ნაცნობებს ვახშამხედ ხშირად იწვევდა, სტუმრებს მშვენიერად მართულს ოთახებში ღებულობდა, იმ შემთხვევაში, ყველანი კმაყოფილნი იყენენ და დანარჩენზედ არავინ არრას ზრუნავდა. იმ დროს რომი იყო იმ დაცემულს მდგომარეობაში, როცა სიმდიდრე და საუცხოვო გარეგანი მოწყობილობა ურჩევნიათ ყოველისთვის ქვეყანაზედ. იმპერატორმა შულვიუსი კარგად მიიღო, მეტი რაღა იყო საჭირო? მთელმა რომის საზოგადოებამაც საჩქაროდ გაიცნო ახლად მოსულა კაცი.

შულვიუსი მეტად ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ სასიამოვნო შესახედავი კი არ იყო. ხან-და-ხან, როცა დაფიქრდებოდა, ან როცა თავის თავს და ქცევას არ უკვირდებოდა, სახეზედ მოწყენილობა გამოეხატებოდა ხოლმე. თუმცა კი ადამიანის თვალი შეიძლებოდა სიამოვნებით შესჩერებოდა თითქოს მარმარილოსაგან გამოქანდაკებულს, იმის წმინდა სახის მოყვანილობას, მაგრამ არც მისი ღიმილი და არც მისი შავი თვალების ელვარება არას-კაცის გულს არ მიიზიდავდა.

ცოტა ხანს უკან ყველანი დასხდნენ, ან, უკეთ



ეს თქვით, მოუწვენ სუფრას გვერდით. იმ დროებში მამა-კაცები ხმარობდნენ სკამ-ლოგინს, რომელზედაც ლხინის დროს მხარ-თეძოზედ წამოწებოდნენ. რადგანაც ქალები ვახშმის გათავებამდის სულ უნდა მჯდარიყვნენ, ამისთვის აგენსა და შაბიოლა ერთად დასხდნენ. სებასტიანემ და შულოვიუსმა იმათ პირ-და-პირ გამოიჩინეს ადგილები, და სახლის პატრონმა, რომელსაც მარჯენივ და მარცხნივ ორი სხვა სტუმარი ჰყვანდა, სუფრის შუა ადგილი დაიჭირა. ნალივით გამოჭრილი რგვალი სტოლის ერთი მხარე ცარიელი დასტოვეს, რომ მოსამსახურეებს ჭურჭლის გამოსაცვლელად, ან საქმელებისა და ღვინოების მისართმევად მისასვლელი გზა ჰქონოდათ. სტოლზედ სუფრა იყო გადაფარებული; იმ დროს სტოლსაფრები საზოგადო სახმარად იყო შემოღებული, თუმცა რომაელი პოეტი ზორაციუსის დროს იმის გაგებაც არა ჰქონდათ.

როცა სტუმრებმა შიმშილი მოიკლეს, საყოველთაო მუსაიფი გააბეს.

— ახალ ამბავს რას ლაპარაკობდნენ ღღეს აბანოებში? იკითხა ძალპურნიუსმა. — მე, თქვენ, ვიცი, იქ არ დავდივარ; მაგისთანა უბრალო საქმისთვის დრო არა მაქვს, ყოველთვის ისე ვარ საქმეში გართული, რომ არა მცალია.

— ძლიერ საინტერესო ხმებია! მღვთიურს დიოკლიტიანეს გაუცია ბრძანება, რომ მისი სასახლე სამის წლის განმავლობაში უთუოდ უნდა გათავდეს.

— მე შეუძლებელია! წამოიძახა შაბიუსმა. — ეს დღეებში სალიუსტიის ბაღში მივდიოდი და იმ მუშაობას თვალი გადავაველე; მე თქვენ გარწმუნებთ, რომ წარსულის წლიდგან ძლიერ ცოტა მომატებია მის მუშაობას. შრიცხვი მძიმე სამუშაო საქმეები დაჩნენიათ: საიატაკე მარმარილოს გათლა, სვეტების დახარატება და გაელვარება და სხვა... განა ეს უბრალო საქმეა?

— მე მართალია, შენიშნა შულოვიუსმა, მაგრამ მე ვიცი, რომ მთელის სახელმწიფოს ყოველს მხარეს ბძანებაა გაცემული, რომ სასახლის საკეთებლად რომში მორეკონ ყველა ტუალეტი და დამნაშავენი, რომელთაც მადნების სათხრელად გაგზავნა აქვსთ გარდაწყვეტილი; ამას გარდა, ძალიან ჩქარა წინ წაიყვანენ საქმეს მრავალი ქრისტიანები, რომელთაც ამ სასახლეზედ ამუშავებენ.

— რატომ ამუშავებენ უმეტესად ქრისტიანებს და არა სხვა დამნაშავეებს? ჰკითხა შაბიოლამ ცნობის მოყვარეობით.

— მართალი ვსთქვა, ეგ არ ვიცი, მაუგო შულოვიუსმა, თან თავისის ღამაზის ღიმილით გაიღიმა და ელვარე, მარგალიტივით თეთრი ჩარახმული კბილები გამოაჩინა. — მხოლოდ შემძლია ვსთქვა, რომ ქრისტიანს ათასს სხვა დამნაშავეშიაც კი გავარჩევ.

— როგორ? რით გავარჩევ? ჰკითხა ყველა იქ მყოფმა.

— ჩვეულებრივ დამნაშავეებს ჯათა არ უყვართ და ეს ძლიერ ადვილად გასაგებია; იმათთვის ნიადაგ მათრახია საჭირო, რომ საქმე გააკეთებინო. ამას გა-
 ღდაც, ისინი ბრძოლები არიან, ერთმანერთში მუდამ
 ილანძლებიან და კიდევ სცემენ ხოლმე ერთმანერთს.
 ქრისტიანები კი სულ სხვა ნაირად იქცევიან; შრო-
 მის მოყვარულნი და მშვიდნი არიან. ახიაში ჩემის
 თვალით მინახავს ახალ-გაზდა, წარჩინებული და
 მდიდარი პატრიციები, რომელნიც თავიანთ სახლებ-
 ში მოყვარულია მშობლებისაგან მეტად გასათუ-
 თებულნი იყვნენ. ისინი დაიჭირეს, გაამტყუნეს იმაში,
 რომ ქრისტიანების სექტას ეკუთვნიან და, მაშა-
 სადამე, საუკუნოდ მძიმე სამუშაოდ გაგზავნა გარდა-
 უწყვიტეს. ღამაჯერებთ, რომ ისინი თავიანთის თეთრის
 ხელებით და ნაზის მხრებით, რომელთაც მძიმე
 რამე არასოდეს არ უზიდავსთ, ისე გულ-მოდგინედ
 მუშაობდნენ, როგორც უბრალო მონები! ეს კიდევ
 ცოტაა, ისინი მონებსაც ეხმარებოდნენ და იმათთან
 ერთად უშველებელს ქვებს ზიღავდნენ ხოლმე.
 ეს, რასაკვირველია, ზედა-მხედველებს იმათ ჯოხით
 ცემას არ უშლიდა, რადგანაც ღვთიური იმპერატო-
 რისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, რაც შეიძლება უფრო
 სასტიკად მოპყრობოდნენ მათ და ეცადათ, რომ
 იმათი ბედი, რაც შეიძლება, უფრო სამძიმოდ გაე-
 ხადათ. ქრისტიანები ამას ყველაფერს ითმენდნენ და
 არ სჩიოდნენ.

— არ შემიძლია ვსთქვა, რომ ამ გვარი მართლ-

მსაჯულება მომწონდეს, სთქვა შაბიოლამ, — მაგრამ მსურს კი შევიტყუა, ამ სიმშვიდისა და შრომის მოყვარეობის წყარო ქრისტიანების სისულელეა, თუ იმათი უგრძობლობა? რა კაცები არიან ეს ქრისტიანები?

— აი ქალბურთის კითხვით, უთხრა პროკულუსმა, — იმან, როგორც ფილოსოფოსმა, ყველაფერი იცის, ყველაფერს ახსნის და, რა საფაზზედაც გნებავს, მთელი საათის განმავლობაში შეუძლია შეუჩერებლად ილაპარაკოს.

ქალბურთისი ვერც კი მიხვდა, რომ პროკულიუსი მას სასაცილოდ იგდებდა და მძიმედ და დიდებულად სთქვა:

— ქრისტიანები ეკუთვნიან იმ სეკტას, რომელიც ამ რამდენისამე საუკუნის წინათ ქალდეეთში გაძოხნდა. რამ მიეცი ეს სეკტა იმპერატორის შესპასიანეს დროს შემოიტანეს ორმა ძმამ, პეტრემ და პავლემ. ზოგნი გვარწმუნებენ, რომ პეტრე და პავლე ტყუბი ძმები იყვნენ და იყვნენ ის ორნი ძმანი, რომელთაც ებრაელები მასეს და პარონს ეძახდნენ. ერთმა იმათგანმა თავისი უფროსობა მეორეს მიჰყიდა ერთ თხად, რომლის ტყავისაგან ხელოათმანები შეიკერა. მაგრამ მე ეს არა მიჯერა, რადგანაც ცნობილია, რომ უმცროსმა ძმამ უფროსი ძმა მოჰკლა, რისთვისაც ის მაკედონიის მეფე მარდონეოსმა ჩამოახრჩობინა. ამაზედ განსაკუთრებით ზრუნავდა მოკლულია და, მშენიერი ივდითი. მაგრამ რო-

გორც უნდა ყოფილიყო, და პეტრე და პავლე კი რომში მოვიდნენ; ერთი იმათგანი გამტყუნეს იმაში, რომ პონტოელის პილატეს მონა ქოფილაო და ამისათვის ჯვარს აცვეს. პეტრეს და პავლეს აზრის მიმყოლებმა, რომელნიც ახლა ძლიერ გამრავლდნენ, თაის სარწმუნოების სიმეოლოდ აიღეს ჯვარი და თაყვანს სცემენ. იმათ ცემა პატივისცემად მიაჩნიათ და გაკიცხვით სიკვდილი ბედნიერებად და სწამთ, რომ სადღაც იქ, რაღაც სხვა-გვარ ღრუბლებს ზევით ერთ-მანერთს შეეყრებიან.

ამ უთავ-ბოლო ლაპარაკს ყველანი დიდის ყურადღებით ისმენდნენ. აი ამ გვარად, ზოგიერთი კაცები, რომელთაც ვისზედმე და რასზედმე სრულიადაც არა გაუგონიათ რა, ხშირად იჯერებენ რომელისამე სულელის ან უცოდინარის კაცის ნათქვამს, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ნამდვილს ცნობებს და მერე ამის გამო სამუდამოდ შეიძულდებიან მას, რაც პატივის-ცემის ღირსი უნდა იყოს. როგორც შემდეგში დავინახავთ, ძალპურნიუსს იმის ნახევარიც არ უთქვამს, რასაც ქრისტიანებს აბრალებდნენ.

მაშ ასე, ამ უთავ-ბოლო ლაპარაკს, ახალ-გაზდა აფიცერს გარდა, ყველანი მკვირცხლის ცნობის-მოყვარეობით უგდებდნენ ყურს. ამ აფიცრის სახეზედ კი გამოუთქმელი შეურაცხება გამოიხატა, და მან მძიმედ გადახედა აგნესას, რომელიც უძრავად და ნაღვლიანად იჯდა. ძალმა ძლიეს შესანიშნავად დაუქნა თავი და ძლიეს შესანიშნავადვე ტუჩებზედ

შიილა თითი. სებასტიანე მიჰწვდა, რომ ქალი სასახლე
 და, ნუ გამოებაასები, ჩუმაღ იყავიო. მღელვარები-
 საგან მთელი პირის სახე ალივიო ანთო; თავი ჩა-
 ლუნა და დაუწყო ხელში ტრიალი ფოთლიან შტოს,
 რომელიც ხილთან ეწყო მდიდრულს ლანგარზედ.

შოველივე ამისაგან სჩანს, რომ სასახლე
 მალე გათავდება, სთქვა პროკულუსმა და ჩვენთვის
 დიდი დღესასწაულება და მხიარულება დადგება.
 ღვთიური ღიოკლიტიანე ვანა არ დაეწრება სასახლის
 კურთხევის დროს?

— რასაკვირველია, უთხრა შულვიუსმა, — და ამ
 შემთხვევის გამო დღესასწაულობაც გაგვემართება და
 ბერს თვალის-სეირსაც ვნახავთ მევიცი, რომ ნაბრ-
 ძანებია ნუმიდიაში ლომებისა და მძვინვარეების
 დაჭერა. შენითანა გულადი მხედარი, სებასტიანე,
 სთქვა შულვიუსმა და თავის გვერდით მჯდომარე აფი-
 ცერს მიუბრუნდა, — ამფითეატრის კეთილ-შობილურის
 თვალის სერით აღტაცებაში უნდა მოდიოდეს, განსა-
 კუთრებით მაშინ, როცა იქ დიდის იმპერატორისა და
 დიდის რესპუბლიკის მტრები იხოცებიან. სებასტიანე
 სკამ-ლოგინიდან წამოიწია, შულვიუსს მიუბრუნდა,
 ვლვარე, მაგრამ ძლიერის და მკაცრის თვალით პირ-
 და-პირ შეხედა და მშვიდობიანად უთხრა:

— მე ვერ დავიმსახურებდი გულადის მხედრის
 სახელს, როგორც შენ ახლა დამიძახე, თუ რომ
 ქალის, ყმაწვილის და ან უიარაღო კაცის გარეულ

მხეცებთან ბრძოლის, (როგორც აქ უდახიან, თუმცა მართალი არ არის,) გულ-გრილად ყურება შემდგებოდა. ამისთანა თვალის სერი კეთილშობილური არ არის, თუმცა შენ იმას კეთილშობილური უწოდებ. ღიალ, მე მზათა ვარ და ვალდებულიცა ვარ იმპერატორისა და რეპუბლიკის მტრების წინააღმდეგ ხმალი ვიშიშვლო, მაგრამ უიარაღო კაცთან კი არ ვიბრძოლებ და სიამოვნებით მოვკლავ ლომს, ანუ ვეფხვს, რომელიც მზათ არის გაგლიჯოს უდანაშაულო კაცი, თუნდ ეს იმპერატორის ბრძანებითაც იყოს.

შულციუსს უნდოდა წინააღმდეგი რამ ეთქვა, მაგრამ სებასტიანემ თავისი ლამაზი, მაგრამ ძალუმი ხელი მხარზედ დაადო და უთხრა:

— ბოლომდის მომიმინე! ამისთანა აზრის მექონე რომაელებში მე პირველი არა ვარ და არც ყველაზედ უმჯობესი. ზაიხსენე ციცერონის სიტყვები: „ამ გვარი სანახაობა, რასაკვირველია, მშვენიერია, მაგრამ საოცარი მხეცისაგან დაგლეჯილის სუსტის არსების ყურებით რა სიამოვნება უნდა ჰპოვოს ქკუიანმა კაცმაო?“ სასირცხოდ არ მიმაჩნია, რომ მე რომის იმპერატორებთაგან ყველაზედ უქლიერესის აზრს თანავეუგრძნობ.

— მაშ რვენს ამფითეატრებში ვერას დროს ვერა ვნახავთ? უთხრა შულციუსმა ალერსიანად და ტკბილად, თუმცა მის ხმაში რაღაც სიყალბე ისმოდა და სახეზედ ბოროტება გამოეხატა.

— თუ როდისმე მნახავ ამფითეატრში, გარწმუნებ, რომ უმწეო მსხვერპლის მხარე მეჭირება და არა მის შესაქმელად დამზადებულის მხეცისა.

— საუცხოვოთა სთქვი, სებასტიანე, უნებლიედ წამოიძახა შაბიოლამ და მოწონებისა და, სიხარულისა გრძობისაგან აღტაცებულმა, ტაში დაუკრა. სებასტიანე, როცა კი დაიწყებს ლაპარაკს, ყოველთვის კეთილ-შობილურსა და სუელ-გრძელს გრძობებს გამოთქვამს ხოლმე.

შუღვიუსი გაჩუმდა. ამ დროს ყველანი აღგნენ სტოლიდგან, ერთმანერთს გამოეთხოვენ და სტუმრები თავ-თავისას წავიდნენ.

IV.

სანამ სტუმრები შაბიას ზალაში ვახშამს შეექცოდნენ, სირა შევიდა შაბიოლას ძიძა-მთროსინასთან, რომელიც ძლიერ შეშინდა, ამისი ჭრილობა რომ დაინახა; ჭრილობა მაშინვე მოჰბანა და ხელი შეუხვია.

— საბრალოვ! უთხრა მან, — რა ქენი ისეთი, რომ ჩვენი ქალბატონის რისხვა დაიმსახურე? უსათუოდ ძლიერა გტკივა? სწორედ დიდი რამ დანაშაული უნდა გქონდეს მასთან, რომ ასე გაგჯაფრებია. საშინელი ჭრილობაა — და ჩემი ქალბატონი კი მეტად კეთილი გულის ქალი არის! რამდენი



სისხლი გდის! ღმერთო ჩემო! მართი მითხარი, რა
 დააშავე ასეთი?

— მე იმასთან მსჯელობა ვაგებდე.

— მსჯელობაო! მსჯელობა ქალბატონთან?
 ღმერთო! უთუოდ შეშლილხარ! ზაგონილა, რომ
 მოახლეს დაეწყოს მსჯელობა ქალბატონთან, მერე
 ისეთ ნასწავლთან, როგორც ჩვენი ქალბატონი
 არის? მასთან გამოდევების თვითონ ძალპურნიუსსაც
 კი შეეშინებოდა! ახლა აღარ მიკვირს, რომ ის....
 ისე აღელვებულა, რომ არც კი შეუნიშნავს, თუ
 რა ნაირად დაუჭრიხარ. მაგრამ შენ ჩუმად იყავ!
 იცოდე, ნურავის უამბობ ამას!.... საჭირო არ არის,
 ვინმემ შეიტყოს, რომ.... რომ ერთის სიტყვით, რომ
 შენ მასთან ბაასი გქონია, შენთვის საქებარი არ იქნება
 ე. მართი ლამაზი შარფი ხომ არა გაქვს რა? ხელ-
 ზედ შემოგახვევ, ვითომ მორთულობათა გაქვს; მაშინ
 შენი ჭრილობა აღარ გამოჩნდება და ველარც ვე-
 რაინ შენიშნავს. სხვა შენს ამხანაგებს ბევრ-ნაირი
 სამკაულები და მორთულობა აქვსთ და შენ კისრუ-
 ლიად არაფერი. მგონებ, შენ მორთვა არ გიყ-
 ვარს? წავიდე ერთი, დაეხედო!

მფროსინა შევიდა მოახლეების ოთახში, რომელიც მისი ოთახის გვერდით იყო, სირას ზანდუკი
 გააღო, ამოანგრია ყველაფერი, რაც შიგ იყო და ნახა
 მარგალიტით და ძვირფასის ქვებით შემკული რაღაც
 ოთხ-კუთხიანი საუცხოვო ქსოვილი. მეტად გაუკვირდა,
 სირას რომ ამისთანა ძვირფასი ნივთი უნახა. ძმაოდ

სთხოვდა მას პირველ სისხლსავეთ გაწითლებული სირა, ეს ძვირფასი ქსოვილი ზანდუკშივე დასტოვე და ნება მომეცი, ხელზედ არ შემოვიხვიო; მე, როგორც მოახლეს, არ შემშვენის ამითანა ძვირფასი ნივთის ხმარება და შენახული მაქვს მხოლოდ ჩემის სამშობლოს და ჩემის დედ-მამის სახლში ბედნიერის ცხოვრების სახსოვრად. მაგრამ მეფროსინამ არ უსმინა და ძალად შემოახვევინა ხელზედ ის ქსოვილი, რადგანაც სურდა, შაბიოლას მოქმედება ყველასაგან დაეფარა.

ამას შემდეგ სირა გამოვიდა პატარა წინა-ოთახში, რომელიც მეკარის ოთახის გვერდით იყო და სადაც მოახლეებს ნება ჰქონდათ თავიანთი ნათესავეები და მეგობრები მიელოთ. იქას ხელში ტილო-გადაფარებული კალათი ეჭირა. პატარა ხანს უკან, იმავე ოთახში შემოვიდა ერთი ღარიბულად, მაგრამ სუბთად ჩაცმული თექვსმეტისა, თუ ჩვიდმეტის წლის ქალი, ყელზედ მოეხვია სირას და მსურვალე სიყვარულით ჩაეკრა გულში. ეს ქალი იყო პირად ძლიერ ლამაზი, მაგრამ დაბადებიდგანვე ბრმა.

— ლაჯექი, სეცილია, უთხრა ალერსიანათ სირამ და სკამიკენ წაიყვანა. — ღღეს გემრიელი ვახშამი მოგიტანე; კარგა გუნებიერად სჭამე.

— მე მგონია, რომ შენთან მაინც ყოველდღე კარგს ვახშამს ვსჭამ!

— ჰო, გვარძანს; მაგრამ ღღეს ქალბატონმა



თავის სტოლიდგან გამომიგზავნა საუკეთესო საქმელები.

— რა კეთილი გულისა ხართ ორნიც! მაგრამ შენ ხომ... არც კი ვიცი, რა ესთქვა შენზედ.... რატომ შენ თვითონაც არ გასშინჯავ ამ გემრიელს საქმელებს?

— მართალი გითხრა, ჩემოვის ძს უფრო სასიამოვნოა, რომ შენ სჭამო. ჩემო საბრალო სეცილია, უთუოდ დაღალული იქნები.

— ბამიგონე, სირა, ასე არ ვარგა. მე მდიდრეზრებით სხვის შრომითა და მოწყალებით ჭამა და ჩაცმა არ შემიძლია და სიამოვნებით ვუნაწილებ სხვა ღარიბებსაც, რასაც მე მაძლევენ, მაგრამ შენი ვახშმის წართმევა კი არ შემიძლიან. ეს ჩემის მხრით ძალიან ცუდი იქნება.

— ჰო, კარგი, კარგი! ამ ვახშმისაგან ნახევარს ჩემს ამხანაგებს წავეულებ, მე კი სრულიად არა მშიან დღეს.

— სირა მოახლევებთან შევიდა და შაბიოლასაგან გამოგზავნილი საქმელი ვერცხლის თევზით წინ დაუდგა. მინი ხარბები და გაუმადრები იყვნენ და ჩშირად არც ესმოდათ, თუ რათ აძლევდა სირა სხვებს ყოველისფერს, რასაც იშოვნიდა. მაგრამ მალე დაანებეს თავი ვაკვირვებას და ამაზედ ფიქრსაც; სირას გულ-კეთილობით განუკითხავად სარგებლობდნენ. მისს ვახშამს მოსვენებით მიირთმევდნენ და ყველაფერი თავისთვის მიჰქონდათ, რასაც ეს აძლევდა იმათ და ამის ნაცვლად არა თუ სიყვა-

რულოს გოდნობდნენ იმისას, მადლობასაც კი არ ვუბნებოდნენ. მონებამ ყოველ-გვარი ბიწიერება დაასწავლა მათ და დაუკარგა ნიჭი მათდამი კეთილგანწყობილების დაფასებისა.

ოთახში შესვლია დროს, სირამ დაქრილის ხელიდგან თავისი მდიდრული ხელ-სახვევი მოიხსნა, ამიტომ რომ არ უნდოდა მიეცა მიზეზი გამოკითხვისა, თუ საიდან იშოვნა მან ეს ძვირფასი ნივთი. იქიდგან გამოსვლის დროს ისევ შეიხვია ხელი, რადგანაც შურაოხინას საყვედურს ერიდებოდა. როდესაც წინა ოთახში გამოვიდა, უცებ გაოცდა და მაშინვე სვეტს აქოეუარა. სირამ შეუღვიუაი დაინახა და გაფითრდა; გული საშინლად უძგერდა, აკანკალებული მუხლები ეკეცებოდა. შიშისაკან არეუღმა სირამ საჩქაროდ პირ-ჯვარი გადაიწერა და იგრძნო, რომ კაზებში გაპარვია ღონე მიეცა; მაგრამ ამ ჩქარის მოძრაობის დროს, სურათად შემოხვეული ხელ-სახვევი ხელიდგან მოეხსნა და ძირს დაუვარდა. შულვიუსმა, რომელსაც სირას იქყოფნა არ შეუნიშნავს, იატაკზედ დაგდებული ქსოვილი დაინახა, აიღო და ესეც იმ ახალ-გა და ქალივით ათრთოლდა და გაფითრდა; მიიხედ-მოიხედა, ოთახში არავინ არ იყო. ხელ-სახვევი აიღო და საჩქაროდ ტანისამოსს ქვეშ ამოიმალა. იმისი თვალები შიშით დააცქერდნენ ძვირფას ქსოვილზედ დაჩნეულს სისხლის ლაქებს.

შულვიუ იფერ-მკრთალი და აღელვებული დაბრუნდა შინ, მაშინვე თავის მოხუცებულს მსახურს

დაუძახა და კარები ჩაიკეტა. მერე ქსოვილი ხმა-
 ამოუღებლად ამოიღო და დასდო სტოლზედ,
 რომელზედაც ლამაზა ენთო. ამ ქსოვილის დანა-
 ხვაზედ მახუცი მსახურიც გაყვითლდა. რამოდენიმე
 ხანს ორნივე დაღუმებულნი იდგნენ და თვა-
 ლიერებდნენ ძვირფასად შემკულის ქსოვილს.

— ეს ისევ ქსოვილია, ამაში იჭვი არ არის,
 სთქვა მსახურმა; — მაგრამ ის ქალი კი მოჰყვდა,
 არც ეს არის საიჭვო.

— შენ ამაში დარწმუნებული ხარ, მერატი?
 ჰკითხა შულოვიუსმა თვალ-დაშტერებით.

— იმდენათა ვარ დარწმუნებული, რამდენად
 კაცს შეუძლია იყოს დარწმუნებული, როცა მიცვა-
 ლებული თავისის თვალით არ უნახავს... სად ნახე ეს
 გადასაფარებელი? ან ეს რა სისხლი აჩნია ჯედ?

— შოველისფერს ხვალ გიამბობ; ახლა ნამეტ-
 ნავად აღელვებული ვარ. არ ვიცი ეს რა სისხლია,
 ან ვისია? იქმნება ეს იმას ნიშნავდეს, რომ საშინელი
 შურის გება არის ჩემთვის გამზადებული?

— რა სისულელია! რას ბოდავ?! დაინახა ვინმემ,
 რომ შენ ეს... გადასაფარებელი აიღე!

— არავის არ დაუნახავს.

— მაშ ჩვენ გადავრჩენილვართ. უმჯობე-
 რია, ეს ჩვენს ხელში იყოს, ვანემ სხვის ვასმეს ხელში
 ამალამ მოვიფიქროთ, რა უნდა ვქმნათ.

— ჰო, კარგი, მაგრამ ამალამ შენ ჩემ, ოთახ-
 ში უნდა დაწვე.

მონივ დაწვენენ; შულეიუსი მდიდრულს კრავატზედ
 და მერატი დაბალს ლოგინზედ. შკანასკნელს დიდ-ხანს
 არ დასძინებია და მოუსვენარად მძინარე შულეიუსის
 პირის სახეს დასცქეროდა; შულეიუსი შფოთავდა და
 ბოდავდა. მსიზრმებოდა, რომ ის არის შორს ქვეყანა-
 ში, განიერის მდინარის პირზედ გაშენებულს ლამაზ
 ქალაქში. მდინარის ნაპირიდგან მიცურავს გემი, რომ-
 ელსაც ტალღები აქანებენ, და ვილასიც ხელი მდიდ-
 რულად მოქარგულს ქსოვილს უქნევს გამოსათხოვ-
 რად... მერე სცენა იცვლება. გემი ზღვაში სცურავს,
 საშინელი ფურთონა აქანებს მას, ანძაზედ ისივე მდი-
 დრულად მოქარგული ქოვილი აქვს მობმული და
 ფრიალებს. გემი კლდეა ეტაკება და იმსხვრევა; სა-
 შინელი ტირილისა და კივილის ხმა გამოისმის და ყვე-
 ლაყვრი ჰქრება განძინებულს ტალღებს ქვეშ.
 ტალღებს ზევით მხოლოდ ანძის წვერი სჩანს და
 მაზედ მდიდრულად მოქარგული ქოვილი ისევ ისე
 ფრიალებს! მაგრამ უეცრად, შავ-შავს ზღვის ფრინვე-
 ლებს შორის რალაც შავი ქმნილება გამოჩნდება. ეს
 შავი ქმნილება მოჰფრინავს ელვარე, დიდრონი შავი
 ფრთების ქნევით. მის ხელში ანთებული ჟინჯლილი
 ბრწინავს და კვამლდება. შავი ქმნილება მდიდრუ-
 ლად მოქარგულს ქსოვილს უახლოვდება, ხელს სტა-
 ცებს, მიუჩინავს და წყრომითა და სიძულ-
 ვილით გაშლის მას. — მაგრამ იმ ქსოვილს მდიდ-
 რულად მოქარგული სახე კი აღარ აჩნია, იმაზედ ცე-

ცხლის ასოებით ეგზნება მხოლოდ ერთი სიტყვა:
 ნ ე მ ე ზ ი და! (შურის ძიება.)

V.

სირამ რომ დაინახა, შუღვიუ'ი სახლიდგან გავი-
 დაო, შეშინებისაგან მობრუნდა და სეცილიასთან
 წავიდა. საბრალო ბრმას ვახშამი გაეთავებინა და სი-
 რას უცდიდა. სირამ წყალი მოიტანა და, მაშინდელის
 ქრისტიანულის ჩვეულებისა მეზრ, ხელი და ფეხი და-
 ბანა; მერე თავი დაფარცხნა, თმა დაუწნა. ქველათურს
 ამას სირა ისეთის ალერსითა და სიყვარულით უაკე-
 თებდა, როგორც მოქმედებს გულ-კეთილი დედა,
 როცა თავის საყვარელს ქალიშვილს აცმევს. სეცი-
 ლიაც თავის მზრით სულ ტიკტიკობდა, მაგრამ ეს
 ტიკტიკი ზებრალო და სულელური კი არ იყო: ის ტიკ-
 ტიკობდა წმინდის გულით, რასაც ამხილებდა
 მას სწორი ჭკუა; და წმინდა გული და სწორი ჭკუა
 ხომ ყოველთვის კარგსა და კეთილს რასმე ასწავლის
 კაცს.

ამ დროს აგნესა გამოვიდა, შაბიოლაც თან
 გამოჰყვა. აგნესა კარებთან შეჩერდა და შაბიოლას
 სირა და სეცილია დაინახა.

ბრმა სკამზედ იჯდა და სირა მის სქელს თმას
 ვარცხნიდა. სტოლზედ ვახშამის ნარჩენი ეწყო. შაბიო-
 ლას შეებრალო ისინი. ზერ მას არასოდეს არ ენახა,
 რომ ვი.მეს შეწყალების გულისათვის თავისი ვახშამი

მიეცეს ღარიბებისათვის და თავის ნებით მიეღოს მოახლის მოვალეობა. იმან აგნესას უთხრა ჩუმაღ:

— ამ მოახლემ დღეა დამიმტკიცა, რომ ეგ ჭკუიანი ქალი არის და ახლა ამტკიცებს, რომ საუცხოვრო გული აქვს. ამ საღამოს რომ მკითხე, როგორ შეგეძლო ეგ, მოახლე არ შეგეყვარებინაო, ძლიერ გამიკვირდა, — მაგრამ ახლა, უნდა გამოვსტყდე, ვგრძნობ, რომ შემძლია ეგ შევიყვარო და ვნანობ, რომ ეგ ქალი შენ დაგიტოვე.

ამის შემდეგ შაბიოლა აგნესას გამოეთხოვა და თავის ოთახში დაბრუნდა. აგნესა ცეცილიასთან მივიდა.

— ბი რა ყოფილა შენი საიდუმლო, ცეცილია! უთხრა მან, — ჩემთან სადილის ჭამა იმიტომ არ ინდომე, რომ სირასთან სჭამ სადილ-ვახშამს? ძალიან მოხარული ვარ, რომ შემძლია შენს აქ ყოფნაში ეუთხრა ამას ერთი სასიამოვნო ამბავი. სირა! შაბიოლამ შენი თავი დამითმო და ნება მომცა დღესვე წაგიყვანო. ხვალდგან შენ თავის-უფალი იქმნები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მერეც ჩემთან იცხოვრებ დასავეით.

ცეცილიამ სიხარულით ტაში დაუყრა. სირას მოეხვია და დაიყვირა:

— ახ, როგორ მიხარია! ახ, რა ნაირად მიხარია, ჩემო საყვარელო, საყვარელო სირა!

სირას გული აუღულდა და მღელღეარებისაგან მთრთოლვარე ხმით უპასუხა აგნესას:



— რა კეთილი და სულ-გრძელი ქალიხარა შენ ყოველთვის სხვებისათვის ზრუნავ და ყოველთვის ეძებ შემთხვევას ვის მოეხმარო და ვის რა სიკეთე უყო. შენ ჩემზედაც გიფიქრია... ჩემთვის გვერდი არ ჩაგივლია. მადრიობელი ვარ, მაგრამ ამ სახლის მოშორება არ შემიძლია და არც მინდა. მე შენ გარწმუნებ, რომ აქ ცუდად არა ესცხოვრობ.

— ძი მაგრამ, შენ თავის-უფალი იქმნები, უთხრა აგნესამ, — ხვალვე განგათავისუფლებ.

— მე, რასაკვირველია, ვიცი; მართალია, მე მოახლედ არ დაებადებულვარ, მხოლოდ გარემოებამ... ლეთის განგებამ მომიყვანა აქ... საბრალოს თვალებიდან ცრემლები გარდმოსცინდნენ და დიდ-ხანს სტიროდა. ცეცილია და აგნესა გაჩუმდნენ მისის მწუხარების პატივის-ცემისათვის. ბოლოს სირამ თავის თავს სძლია და დამშვიდებით სთქვა:

— მე შენ გეუბნები, რომ აქ ლეთის განგებამ მომიყვანა და მაჩვენა გზა, რომელითაც უნდა ვიარო რომ ჩემს საკუთარს ბედნიერება? ედ არ ვიზრუნო. მიზანი ნაჩვენები მაქვს, ვხედავ მას და მას რომ დავშორდე და არ ვივლტოდე მისკენ დიდ-ცოდვად მივითვლი; მე შაბიოლასთან უნდა დავრჩე.

— ამიხსენი შენი განძრახვა. რის იმედი გაქვს?

— მე ერთის რასთვისაც ვლოცულობ, ერთისა აზრით ვაცოცხლობ, ეს ჩემი მიზანი და ლტოლვა არის. მოჰხდეს ის, რაც ლმერთს ენებოს, მაგრამ მთელს ჩემს სიცოცხლეს ამ მიზანს შევსწირავ. და

შენ კი, გულ-კეთილო და კეთილ-შობილო ქალო,
 ნუ ჩადგები ჩემსა და ამ მიზანს შუა!

— როგორც გინდოდეს, სირა! როგორც გინ-
 დოდეს, ჩემო საყვარელო დაო! ნება მომეცი დათ
 გიწოდო. ღარჩი იმ გზაზედ, რომელიც შენ გამოვირ-
 ჩევია. მე საუცხოვოა და შენს მიზნამდის უთუოდ
 უნდა მიახწიო, რადგანაც ისე გულ-მხურვალედ
 მიესწრაფები მისკენ, რომ შენს საკუთარ ბედნიერე-
 ბას და თავის-უფლებასაც არაფრად ავლებ.

ამ დროს მსახური შემოვიდა და აგნესას მოახ-
 სენა შენთვის სახლიდგან ტახტრავანდი გამოუგზავ-
 ნიათო. აგნესა გამოეთხოვა სირას და ცეცილიას და
 შინ წავიდა. მინც კი შორიდგან უყურებდა ამ მდი-
 დარის და დიდი-კაცის ქალის მოახლე-სირასთან და
 მათხოვარ-ცეცილიასთან გამოთხოვებას, ყველა საშინ-
 ლად გაჰკვირდებოდა; კაცს ეგონებოდა დები ეთხო-
 ვებიან ერთმანერთსო და არა ისეთი პირნი, რომელთ
 შორის საზოგადოებას დიდი სამღვარი დაუდევს. მაგრამ
 პირველი ქრისტიანები მაცხოვრის სიტყვის გარდამა-
 ვალნი არ ყოფილან: ისინი ყოველ-კაცს თავის ტოლად
 სთვლიდნენ, რადგანაც ყველანი ერთის ლეთის შეი-
 ლებათ მიაჩნდათ; პირველს ქრისტიანებს ახსოვდათ
 ქრისტეს ძლიერი სიტყვები: „შეიყვარე მოყვასი
 შენი ვითარცა თავი თვისიო,“ და წმინდად
 იმარხვიდნენ მასან შინა სიყვარულსა და სიბრძნესა.

VI.

აგნესამ, შინ წასვლა რომ დააპირა, ცეცილიას უთხრა, სახლამდის გაგაცილებო, მაგრამ ცეცილიამ გაახსენა, რომ ის ბრძა არის, მაშასადამე იმისთვის დღე და ღამე ერთნაირად ბნელია და რომ ის ყოველთვის ხელის ცეცებით დადის ხოლმე რომის ქუჩებზედ. ამ გვარად სიარულში ისე დახელოვნებული იყო, რომ აკალდამებში წინამძღოლად ყოველთვის ის დაჰყავდათ. ამ აკალდამების მიხვეულ-მიხვეული დერეფნების გზა რომის ქუჩებზედ კიდევ უკეთესად იცოდა. მრთ ფერობისაგან დაღალულმა თვალმა შეუძლია ყოველს კაცს უმტყუნოს და გზა დაუბნოს, მაგრამ ცეცილიას კი არას დროს არ მოატყუილებდა საკუთარი მახსოვრობა და ხელის შეხება.

ამასობაში შაბიას სახლში ერთი ფაცა-ფუცა შეიქმნა: მფროსინამ დაინახა, რომ სირას ხელზედ მდიდრული ხელ-სახვევი აღარა აქვს და ბრძანება გასცა, მოსძებნეთ ახლავეო. მოსამსახურებმა მთელი სახლი ჟინჟლილებათ დაირბინეს, ყოველ კუთხეში სძებნეს, ყველაფერი შესძრეს, იუბედეს ბევრი, დიდად გაიკვირვეს და ბევრიც არჩიეს, მაგრამ ხელ-სახვევი მაინც ვერ ნახეს. მფროსინა სწყყრებოდა, ბრძანებდა, როგორც უნდა იყოს უსათუოდ მონახეთო, და მედიდურად ამბობდა: „ქურდები ხომ არ მოვიდოდნენ იმისთვის? შინ მოიპარაფდა? ჩვენ

ყველა ერთგული და ნაცნობი კაცები გეყავს! ან, ბატონები ხომ არ წაიღებდნენ იმ თავ-საფარს? მონახეთ, უსათუოდ უნდა მოინახოს! მიწაში ხომ არ ჩაძვებოდა! — მაგრამ ყველა ეს სიტყვებო ამოიყო, ხელ-სახვევი ვერსად ვერ იპოვეს და ძილის დრომ რომ მოაწია, ყველანი დაწვნენ და დაიძინეს იმ იმედით, რომ ხვალ ვიპოვნიოთ.

მეორეს დღეს მფროსინამ ყველა მოახლეებისა და მონების განჯინები და სკივრები დაათვალიერა, თვითონ იხრიდა მოხუცს წელს და სტოლებსა და დივნებს ქვეშ იხედებოდა, მაგრამ მაინც ვერა იპოვა რა. მაშინ მოხუცმა ქალმა ამისთანა ძვირფასი ნივთის დამკარგველს სიჩრას გულითადი სიბრალული განუცხადა და ვარდაწყვეტით უთხრა, რომ ხელ-სახვევი რომელიმე თილისმობით მოიპარესო. და ყველამ იცის, რომ ეს სულ სხვა საქმეა! მაშ ძებნაც აღარ არის საქირო. ძიძას იქვე აფრაზედა ჰქონდა. „ეს მან ჰქმნა, ეს იმისი საქმეაო,“ იმეორებდა ის თავისთვის ბუტბუტით. — „ტყუილად კი არ დაეხეტება ღამ-ღამე, სახლში აღიონამღის აღარ ბრუნდება და რაღაც ბალახებსა ჰკრეფს. ის, სწორედ, შელოცვილი ბალახების საქმეა. თვითონ კი ამბობს, ბალახებისაგან, ქალბატონისთვის პირზედ წასასმელ წამლებს ვაკეთებო, მაგრამ სულ ტყუილია, უსათუოდ სულ მოჯადოებულო ბალახები შემოაქვს აქ! ეს ამბავი შაბიოლას უნდა ეუთხრა... ან კი რა უნდა ველაპარაკო მას? გარდინარხარებს და იტყვის: რა შელოცვა, რის



თილისმაო! სულ ტყუილია, მოგონილია, ქვეყანა ედ
ჯალო არ არისო! როგორ არ არის? შა ხელ-სახვევი
კი გაქრა, თითქოს მიწამ შთანთქაო და,—მაშ შე-
ლოცვაც ყოფილა ქვეყანაზედ და თილისმაც. მართობ
ნასწავლი ქალია, დასკი, რამ შეენიერად იცის ყო-
ველისფერი!“

რაც შეეხება სირას, რომელიც ხვას არ იღებდა
და განსაკუთრებული მიზეზიც ჰქონდა სიჩუმის, ის
დარწმუნებული იყო, რომ ხელ-სახვევი შულოვიუსმა
იპოვნა და წაიღო. საბრალო ქალს ძალიან ეშინოდა,
რომამ შემთხვევას მისთვის უბედური შედეგი არ ჰქო-
ნოდა, ბოლოს კი გადასწყვიტა გუნებაში: ჩემს თავს
ღვთის ნებაზედ მიეუშვებო და სრულიად დამშვიდდა,
რადგანაც მის სინიღისს არაეითარი ბოროტი ან
სამძრახილი რამ არ აწუხებდა.

შაბოლამ კი ტანისამოსი გაიხადა, მოახლები
ოთახიდგან დაითხოვა და მარტო დარჩა; წიგნი
აიღო ხელში, მაკრამ ვერ იკითხა. ამ სალამოს
განსაკუთრებით ამაოდ და უმიზნოდ ეჩვენებო-
და თავისი ცხოვრება..... თავის მომაცუნნი წიგნი
ძირს დაუშვა და დაფიქრებით გაიხედ-გამოიხედა. იმის
თვალი ხანჯალზედ შეჩერდა; შაბიოლას შეეზიზლა
ამ განრისხების დროს ნახმარის იარაღის დანახვა და
სირცხვილიაგან ლოყები დაუწითლდა. მაშინვე წა-
მოდგა, კოლოფი გააღო, ხანჯალი შიგ ჩაავლო
და დაკეტა, თანაც ფიცავდა არასოდეს ხელს აღარ ვახ-
ლებ ამასო. სირასაგან იმისი აზრი აგნესაზედ გადავიდა.